

სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2022, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2022, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2022, №8

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2022, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. **ზოგადი დებულებანი**
სამოქალაქო საქმეების
უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოსადმი 4
2. **სასამართლო შეტყობინება და დაბარება**
სასამართლო უწყების ჩაბარება 18
3. **საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით**
აღიარებითი სარჩელი 37
აღიარებითი ჩვენება 47
4. **სარჩელის უზრუნველყოფა**
სარჩელის უზრუნველყოფა 73
სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით 81
5. **სასამართლოს მთავარი სხდომა**
სასამართლოში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები 89
6. **დაუსრულებელი გადაწყვეტილება**
მოპასუხის გამოუცხადებლობა 99
7. **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება**
გადაწყვეტილების გაუქმება და
საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად 129
მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები 154
8. **საქმის წარმოების განახლება**
განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლების შესახებ 165

1. ზოგადი დებულებანი

სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოსადმი

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-25-2019

22 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „გამყიდველი“ ან „მეორე კასატორი“) სარჩელი აღ-
ძრა სასამართლოში გ. შ-ას (შემდგომში – „მოპასუხე“, „მყიდველი“
ან „პირველი კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დაე-
კისროს: 30.01.2010წ. ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრუ-
ლი ნასყიდობის ფასის დათქმულ ვადაში გადაუხდელობის გამო და-
რიცხული პირგასამტეხლოს – 24 840 ლარის გადახდა; 19.04.2011წ.
ხელშეკრულების საპრივატიზებო საფასურის დათქმულ ვადაში გა-
დაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოს – 50 585,28 ლა-
რის გადახდა.

2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. ქ. თბილისის მთავრობასა და მოპასუხეს შორის 2010 წლის
30 იანვარს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძ-
ველზეც მოპასუხეს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... მდებარე
714 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგე-
ბობები №1 და №2, საერთო ფართობით 400,77 კვ.მ., №3, საერთო
ფართობით 23,19 კვ.მ. (ს.კ. №...); ასევე, ქ. თბილისში, ... მდებარე 1
567 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებო-
ბა №1, საერთო ფართობით 717,36 კვ.მ. და №3, საერთო ფართო-
ბით 26,5 კვ.მ. (ს.კ. ...). ნასყიდობის საფასური, 345 000 ლარი მოპა-
სუხეს უნდა გადაეხადა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი
წლის ვადაში;

2.2. მოპასუხემ განცხადებებით მიმართა ქ. თბილისის მერს და

მოითხოვა ახალი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, ახალი საპრივატიზებო პირობებით;

2.3. ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 მარტის დადგენილებით მოიშალა 2010 წლის 30 იანვრის ხელშეკრულება და მოპასუხეს დაევალა ნასყიდობის საფასურის დათქმულ ვადაში გადაუხდელობის გამო წარმოშობილი პირგასამტეხლოს – 24 840 ლარის გადახდა, 2011 წლის 25 დეკემბრამდე (პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდა 2011 წლის 31 იანვრიდან 2011 წლის 13 აპრილის ჩათვლით), თუმცა მოპასუხეს არ შეუსრულებია აღნიშნული ვალდებულება;

2.4. ქ. თბილისის მთავრობასა და მოპასუხეს შორის 2011 წლის 19 აპრილს გაფორმდა უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს საკუთრებაში გადაეცა წინამდებარე განჩინების 2.1. პუნქტში მითითებული უძრავი ქონება. მიყიდველს საპრივატიზებო საფასური, 320 160 ლარი უნდა გადაეხადა 2011 წლის 25 დეკემბრამდე;

2.5. მიყიდველმა დადგენილ ვადაში არ გადაიხადა საპრივატიზებო საფასური, რის გამოც მას დაეკისრა პირგასამტეხლო – 50 585,28 ლარის ოდენობით. პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდა 2011 წლის 25 დეკემბრიდან 2012 წლის 31 მაისის ჩათვლით (2012 წლის 31 მაისს მოიშალა აღნიშნული ხელშეკრულება).

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი:

3.1. 2010 წლის 30 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობას, ნასყიდობის საფასურის გადახდასთან ერთად, წარმოადგენდა სახანძრო ობიექტის (500 კვ.მ. ფართობით და 64 კვ.მ. აუზით) აშენება ქ. თბილისში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. ამისათვის მოპასუხეს, ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა გადასცემოდა ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურთან და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული პროექტი, მშენებლობის ნებართვა და მიწის ნაკვეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს არ შეეძლო სახანძრო უსაფრთხოების რაიმე ობიექტის მშენებლობა, თუნდაც ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემთხვევაში;

3.2. მოპასუხეს სამშენებლო პროექტი ჩაბარდა 2010 წლის დეკემბერში, მშენებლობისათვის გათვალისწინებული ნახევარი ვადის გასვლის შემდეგ. ამასთან, პროექტით ნაცვლად 500 კვ.მ. შენობის აშენებისა, გათვალისწინებული იყო 700 კვ.მ. შენობის აშენება, რითაც, ცხადია, მნიშვნელოვნად ძვირდებოდა მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯები;

3.3. გარდა ამისა, მერიამ ვერ უზრუნველყო სახანძრო ობიექტის ასაშენებლად საჭირო მიწის ნაკვეთის შერჩევა და შეთანხმება ... ქუჩაზე;

3.4. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა არ მომხდარა მოპასუხის ბრალით, არამედ აღნიშნული განპირობებული იყო თავად მოსარჩელის ბრალით, რის გამოც პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს მოპასუხეს;

3.5. მოპასუხემ, ასევე, მიუთითა, რომ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლო არის შეუსაბამოდ მაღალი.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა – 25 000 ლარის გადახდა.

5. მხარეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივრები.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2010 წლის 30 იანვარს გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება: 1) ქ. თბილისში, ... მდებარე 714 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1 და №2, საერთო ფართობით 400,77 კვ.მ., №3, საერთო ფართობით 23,19 კვ.მ. (ს.კ. №...); 2.) ქ. თბილისში, ... (ნაკვეთი ...) მდებარე 1567 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1, საერთო ფართობით 717,36 კვ.მ. (მათ შორის, პირველი სართული, საერთო ფართობით 370,81 კვ.მ.; მე-2 სართული, საერთო ფართობით 346,55 კვ.მ.) და ნაგებობა №3, საერთო ფართობით 26,5 კვ.მ. (ს.კ. №...). ხელშეკრულების 2.1. პუნქტის თანახმად, ნასყიდობის საგნები გაიყიდა 345 000 ლარად და თანხის გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების დადებიდან ერთი წელი;

7.2. 30.01.2010წ. ხელშეკრულების 4.3 პუნქტის თანახმად, ერთ-ერთ საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის ვადაში, ქ. თბილისში, ... და ... ქუჩების გადაკ-

ვეთაზე არსებულ 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №...), სახანძრო განყოფილების განთავსების მიზნით, 500 კვ.მ. შენობისა (ცალკე მისასვლელი გზით) და სახანძრო აუზის (ფართობი 8X8) აშენება;

7.3. 30.01.2010წ. ხელშეკრულების 4.7 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დამატებითი 3 თვიანი ვადის დარღვევის შემთხვევაში, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება. ამასთან, მყიდველს საკუთრებიდან ჩამოერთმეოდა ხელშეკრულებით გადაცემული ქონება და განხორციელებული ინვესტიცია, ხოლო გადახდილი თანხა უკან არ დაუბრუნდებოდა. გამყიდველს, ასევე, რჩებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

7.4. 30.01.2010წ. ხელშეკრულების 5.2. პუნქტის თანახმად, გამყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა ქ. თბილისში ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №...) სახანძრო განყოფილების განთავსების მიზნით, 500 კვ.მ. შენობისა (ცალკე მისასვლელი გზით) და სახანძრო აუზის (ფართობი 8X8) პროექტის მომზადება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურთან და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით;

7.5. 30.01.2010წ. ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განისაზღვრა პირგასამტეხლო ნასყიდობის თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

7.6. ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 მარტის №07.53.280 დადგენილებით მოიშალა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2010 წლის 30 იანვარს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება და მოპასუხეს დაევალა 2011 წლის 25 დეკემბრამდე გადაეხადა ნასყიდობის ფასის დათქმულ ვადაში გადაუხდელობის გამო წარმოშობილი პირგასამტეხლო;

7.7. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2011 წლის 13 აპრილს გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად მოპასუხეს დაეკისრა ვალდებულება 2011 წლის 25 დეკემბრამდე გადაეხადა 2010 წლის 30 იანვრის ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის ფასის დათქმულ ვადაში გადაუხდელობის გამო წარმოშობილი პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრა 24 840 ლარით;

7.8. ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 15 აპრილის №08.46.329 დადგენილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოპასუხესთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რაზეც საქართველოს პრეზიდენტმა 2011 წლის 06 მაისის განკარგულებით განაცხადა თანხმობა;

7.9. ქ. თბილისის მთავრობასა და მოპასუხეს შორის 2011 წლის

19 აპრილს გაფორმდა უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მიყიდველს საკუთრებაში გადაეცა: ქ. თბილისში, ... მდებარე 714 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1 და №2, საერთო ფართობით 400,77 კვ.მ., №3, საერთო ფართობით 23,19 კვ.მ. (ს.კ. №...) და ქ. თბილისში, ... (ნაკვეთი ...) მდებარე 1567 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1, საერთო ფართობით 717,36 კვ.მ. (მათ შორის პირველი სართული, საერთო ფართობით 370,81 კვ.მ.; მე-2 სართული, საერთო ფართობით 346,55 კვ.მ.) და ნაგებობა №3, საერთო ფართობით 26,5 კვ.მ. (ს.კ. №...). საპრივატიზაციო თანხად განისაზღვრა 320 160 ლარი;

7.10. 19.04.2011წ. ხელშეკრულების საპრივატიზებო პირობებზე განისაზღვრა: 1. საპრივატიზებო საფასურის გადახდა 2011 წლის 25 დეკემბრამდე; 2. 30.01.2010წ. ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის ფასის დათქმულ ვადაში გადაუხდელობის გამო წარმომობილი პირგასამტეხლოს – 24 840 ლარის გადახდა 2011 წლის 25 დეკემბრამდე; 3. ქ. თბილისში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №...) ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული, შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით აღჭურვილი 500 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (ცალკე მისასვლელი გზით) და სახანძრო აუზის (ფართობი 8X8) აშენება, ნასყიდობის ხელშეკრულების საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებიდან 24 თვის ვადაში;

7.11. 19.04.2011წ. ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განისაზღვრა პირგასამტეხლო ნასყიდობის თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

7.12. 19.04.2011წ. ხელშეკრულების 5.1 პუნქტის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია, ამ ხელშეკრულების საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმების შემთხვევაში, 4.1 და 4.2 პუნქტებით განსაზღვრული თანხების სრულად გადახდის დადასტურების შემდგომ, ნასყიდობის საგანზე მიყიდველს დაუდასტუროს საკუთრების უფლება შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის გზით, ამ ხელშეკრულების 4.3 და 4.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით;

7.13. ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 31 მაისის №15.25.541 დადგენილებით 2012 წლის 31 მაისიდან მოიშალა ქ. თბილისის მთავრობასა და მოპასუხეს შორის 2011 წლის 19 აპრილს გაფორმებული

ხელშეკრულება და მყიდველს დაეკისრა 30.01.2010წ. ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის ფასის დათქმულ ვადაში გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო 24 840 ლარის ოდენობით. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს დაევალა ხელშეკრულების მოშლის დროისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული და სხვა შესასრულებელი ფინანსური ვალდებულებების ოდენობის განსაზღვრა;

7.14. ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 12 ივნისის წერილით მოპასუხეს ეცნობა, რომ მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ერიცხებოდა დავალიანება: 2011 წლის 19 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის 50 585,28 ლარის ოდენობით, ასევე, 2010 წლის 30 იანვრის ხელშეკრულებით ნასყიდობის ფასის დათქმულ ვადაში გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო – 24840 ლარის ოდენობით;

7.15. მოპასუხეს არ შეუსრულებია ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი თანხის გადახდის ვალდებულება.

8. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მყიდველის მიერ ნასყიდობის თანხის გადახდამდე გამყიდველს საპასუხო ვალდებულების შესრულება, კერძოდ, პროექტის შედგენა უნდა მოეხდინა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლით და წინამდებარე განჩინების 7.2 და 7.10 პუნქტებში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ ნასყიდობის საფასურის გადახდა და მოსარჩელის მიერ მიწოდებული პროექტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელება არ წარმოადგენდა ურთიერთდამოკიდებულ ვალდებულებებს და ნასყიდობის საფასურის გადახდა არ უკავშირდებოდა კრედიტორის მიერ შესასრულებელ (პროექტის გადაცემის) ვალდებულებას. შესაბამისად, სახეზე არ იყო დასახელებული სამართლებრივი ნორმის გამოყენების წინაპირობები.

9. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები პირგასამტეხლოს შემცირებასთან დაკავშირებით და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: 30.01.2010წ. ხელშეკრულებით ნასყიდობის საფასურის გადახდის ვადად განისაზღვრა ერთი წელი; ხელშეკრულება მოიშალა 2011 წლის 13 აპრილს, მალევე, ახალი გარიგების დადებით, შესაბამისად გადახდის ვალდებულება დაირღვა 2 თვითა და 13 დღით და წარმოიშვა ახალი ვალდებულება; 19.04.2011წ. ხელშეკრულებით ნასყიდობის საფასურის გადახდის ვადად განისაზღვრა 2011 წლის 25 დეკემბერი; ხელშეკრულება მოიშალა ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 31 მაისის

დადგენილებით; საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, ის მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა აშენებულიყო სახანძრო, გადაეცა სხვა პირს საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის და სამსახურის 2011 წლის 25 მაისის №710 რეგისტრაციით გაიცა მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის; უდავოა, რომ სახანძროს აშენება წარმოადგენდა ორივე გარიგების აუცილებელ საპრივატიზებო პირობას, რომლის გარეშეც არ დაიდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულება და, თანხის გადახდის შემთხვევაში, შესაძლოა არც გადასცემოდა მესაკუთრეს შეძენილი ქონება; ორივე გარიგების დარღვევის პირობებში მოსარჩელემ, ერთ შემთხვევაში, ახალი ხელშეკრულება დადო (მართალია იმავე მყიდველთან, თუმცა ეს ვითარებას ვერ შეცვლის) და, მეორე შემთხვევაში, საპრივატიზებო პირობებით განსაზღვრული ქონება გადასცა მესამე პირს.

10. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალდებულების დარღვევის პერიოდისა და ამ დარღვევის შედეგად დამდგარი გონივრული ზიანის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, რის გამოც არ არსებობდა გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობები.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

12. პირველმა კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

12.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ ნასყიდობის საფასურის გადახდა და მოსარჩელის მიერ მიწოდებული პროექტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელება არ წარმოადგენდა ურთიერთდამოკიდებულ ვალდებულებებს. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა ემყარება საქმის გარემოებათა არასწორ შეფასებას და საქართველოს სა მოქალაქე კოდექსის 369-ე მუხლის არასწორ განმარტებას;

12.2. მხარეთა შორის გაფორმებული იყო ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა თითოეული მხარის მიერ რამდენიმე პირობის შესრულების ვალდებულებას. ეს ვალდებულება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ მოსარჩელეს თანხის გადახდის სანაცვლოდ მოპასუხისათვის გადაეცა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. ხელშეკრულება ორივე მხარისათვის ითვალისწინებდა დამატებით საპრივატიზებო პირობებს. კერძოდ, მო-

სარჩელე ვალდებული იყო შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით მოემზადებინა და მოპასუხისათვის გადაეცა სახანძროს მშენებლობის პროექტი, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს საკუთარი სახსრებით უნდა აეშენებინა სახანძრო ნაგებობა;

12.3. აღნიშნული გარემოებები ცალსახად ადასტურებენ, რომ მხარეთა შორის გაფორმებული იყო ორმხრივმავალდებულებელი ხელშეკრულება, რომლის თანახმად შესრულება და საპირისპირო შესრულება ურთიერთდამოკიდებული იყო. ნასყიდობის თანხის გადახდამდე მოსარჩელეს უნდა შეესრულებინა საპასუხო ვალდებულება და მყიდველისათვის გადაეცა შესაბამის უწყებებთან შეთანხმებული პროექტი. შესაბამისად, მოპასუხეს შეეძლო უარი ეთქვა ვალდებულების შესრულებაზე მანამ, სანამ იგი არ მიიღებდა საპირისპირო შესრულებას (სსკ-ის 369-ე მუხლი);

12.4. ხელშეკრულებაში მოსარჩელის ვალდებულების შესრულების კონკრეტული ვადის მიუთითებლობა ვერ გამოდგება იმის საფუძველად, რომ თავდაპირველად მას არ უნდა შეესრულებინა მოპასუხისათვის პროექტის გადაცემის ვალდებულება და შემდეგ არ მიეღო მისგან საპასუხო შესრულება – აშენებული სახანძრო ნაგებობა და მინის ნაკვეთის საფასური. თუ მოსარჩელე მოპასუხეს არ გადასცემდა მშენებლობის პროექტს, მოპასუხე ვერ განახორციელებდა სახანძროს მშენებლობას. შესაბამისად, იგი მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას სრულად შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება თანხის გადახდის თაობაზე. ეს გარემოება მხედველობაშია მისაღები იმის გათვალისწინებითაც, რომ მოპასუხეს ეკისრებოდა არა მარტო ნასყიდობის საფასურის გადახდა, არამედ იმავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაგებობის აშენების ხარჯების გაღებაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენდა. ამ თანხის გაღების (სახანძროს აშენების) გარეშე კი, მოპასუხეს თავისი ვალდებულება შესრულებულად ვერ ჩაეთვლებოდა;

12.5. ამდენად, მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას, ნასყიდობის საფასურის გადაუხდელობაში მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რის გამოც არ არსებობდა მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების (თუნდაც შემცირებული ოდენობით) საფუძველი;

12.6. მოცემული დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მოსარჩელემ მოპასუხესთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე მინის ნაკვეთი გადასცა მესამე პირს საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად, რითაც საერთოდ საფუძველი გამოეცალა მხარეთა შორის

რის დადებულ ხელშეკრულებას. აღნიშნული გარემოება დადასტურებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომაც, თუმცა მასზე არ იმსჯელა. ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება საერთოდ დაუსაბუთებელია.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მეორე კასატორმა მოითხოვა განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

14. მეორე კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

14.1. საყურადღებოა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა, 30.01.2010წ. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 14-ჯერ, ხოლო, 19.04.2011წ. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 7-ჯერ ნაკლებია ძირითადი ვალდებულების მოცულობაზე;

14.2. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის მსჯელობას რასთან მიმართებით არის შეუსაბამო მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა და რატომ უნდა შემცირდეს სწორედ იმ ოდენობამდე, რასაც პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებს. პირგასამტეხლოს შემცირების არგუმენტი არის ის, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლო არის არაგონივრული. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება პირგასამტეხლოს ბუნებას. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლიანობა.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 03 ივნისის განჩინებით მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

17. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავა მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენებას და ად-

მინისტრაციული სამართლის სფეროს მიკუთვნებული საკითხის სამოქალაქო სამართლის ნორმათა ფარგლებში შეფასებას ემყარება, შესაბამისად, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა.

18. წინამდებარე საქმეში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება. მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობს ქ. თბილისის მთავრობასა და მოპასუხეს შორის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, რომელიც დაიდო „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

19. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... მდებარე 714 კვ.მ. და 1567 კვ.მ. მიწის ნაკვეთები და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. ხელშეკრულებით, გარდა საპრივატიზებო საფასურის გადახდისა, დამატებით საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა ქ. თბილისში, ... ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე 500 კვ.მ. შენობა-ნაგებობისა და სახანძრო აუზის აშენება. მშენებლობის განხორციელებისათვის მიწის ნაკვეთი და შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული პროექტი უნდა გადაეცა მოსარჩელეს. ხელშეკრულების 4.4. პუნქტის თანახმად, ზემოთ დასახელებული ობიექტების მშენებლობის დასრულებამდე და დასრულებიდან ორი თვის განმავლობაში, ... მდებარე 1567 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე არსებული სახანძრო ობიექტი ინარჩუნებდა თავის ფუნქციას. ამრიგად, საგულისხმოა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება გარკვეულ საჯარო-სამართლებრივ მიზნებს ემსახურებოდა, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახანძრო ობიექტის მშენებლობას.

20. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის (ძალადაკარგულია – 05.02.2014, №1958) პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად (ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი რედაქცია), ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების კატეგორიებს, მისი შექმნის წესსა და ქონებრივ უფლებებს, ასევე თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ საფუძვლებსა და ძირითად პირობებს. იმავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ქონება არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ყველა

ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მათ შორის, ქონება, რომელსაც თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფო, ან რომელსაც თვითმმართველი ერთეული შექმნის ან შეიძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხოლო, იმავე კანონის მე-19¹ მუხლის პირველი და მე-12 პუნქტების შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვას, განკარგვას, მათ შორის, პრივატიზებას და სარგებლობის უფლებით გადაცემას, ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, კერძოდ, ქალაქ თბილისის მთავრობა. ხელშეკრულებები ძალაში შედის საქართველოს პრეზიდენტის თანხმობის საფუძველზე.

21. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება განმარტებულია როგორც – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

22. მითითებული სამართლებრივი ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების საჯარო-სამართლებრივად მიჩნევისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მიზანს. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს (იხ. სუსგ საქმე №ბს-31-27(კ-13), 26 დეკემბერი, 2013 წელი).

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის 2011 წლის 19 აპრილს დადებულ ხელშეკრულებას გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათი, შემდეგი გარემოებების გამო: ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულების დადების საფუძველია საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ და ხელშეკრულება დადებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, კერძოდ მითითებული კანონით მინიჭებული უფლების – თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვისა და სანაცვლოდ სახანძრო ობიექტის მშენებლობის განხორციელების მიზნით. შესაბამისად, როგორც მისი შეფასება, ასევე მისგან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევაზე მსჯელობა, უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით.

24. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნულ მუხლში კონკრეტულად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები და დადგენილია, თუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს – ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

25. მოცემულ შემთხვევაში, შეფასების ობიექტს წარმოადგენს საჯარო კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოშობილია ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის, თუმცა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მიზანი, ისე მისი წარმოშობის საფუძველი საჯაროსამართლებრივია. აღნიშნულის სანინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ საჯარო ხასიათის ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის საფუძვლიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად შეამოწმა, რის გამოც, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

26. ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული

საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზე დასაშვებია (შედარებისთვის იხ. სუსგ საქმე №ას-559-530-2015, 30 ოქტომბერი, 2015 წელი).

27. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26) და ითვალისწინებს დავის განხილვასა და გადაწყვეტას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

28. ყოველივე ზემოაღნიშნულიან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული საქმის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

29. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასა-

მართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დანყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. შ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-1188-1148-2016

24 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. ჯ-ის (შემდეგში: პირველი მოსარჩელე ან დასაქმებული), ლ. გ-ის (შემდეგში: მეორე მოსარჩელე ან დასაქმებული), ა. ხის (შემდეგში: მესამე მოსარჩელე ან დასაქმებული), გ. ხ-ის (შემდეგში: მეოთხე მოსარჩელე ან დასაქმებული) სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა;

2. ბათილად იქნა ცნობილი სს „თ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, დამსაქმებელი ან კასატორი) გენერალური დირექტორის 2015 წლის 22 ივლისის №კ-516 ბრძანება და შედეგად დასაქმებულები აღდგენილ იქნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე:

2.1. პირველი მოსარჩელე – ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის სამმართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის საზოგადოების შიდა უსაფრთხოებისა და ინტერესების დაცვის განყოფილების ბიზნეს-ცენტრების საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის ინჟინერ-ინსპექტორის თანამდებობაზე. მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად, 1060 ლარი, 2015 წლის 23 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

2.2. მეორე მოსარჩელე – ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის სამმართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის საზოგადოების შიდა უსაფრთხოებისა და ინტერესების დაცვის განყოფილების ბიზნეს-ცენტრების საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის

ფის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად, 2300 ლარი, 2015 წლის 23 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 24 დეკემბრისა;

2.3. მესამე მოსარჩელე – კორპორაციული განვითარებისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს კორპორაციული განვითარებისა და საწარმოო საქმიანობის უზრუნველყოფის დირექტორის მრჩეველის თანამდებობაზე. მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად, 4385 ლარი, 2015 წლის 23 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

2.4. მეოთხე მოსარჩელე – ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის სამმართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად, 2400 ლარი, 2015 წლის 23 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

2.5. დამსაქმებელს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდა გათავისუფლების დღიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი დამსაქმებლის (მოპასუხე ორგანიზაციის გენერალური დირექტორის) 2015 წლის 22 ივლისის №კ-516 ბრძანება, კერძოდ:

3.1.1. დასაქმებულები აღდგენილ იქნენ პირვანდელ სამუშაო ადგილებზე;

3.1.2. მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მისი ყოველთვიური ხელფასის – 1060 ლარის გადახდა 2015 წლის 23 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ – 2300 ლარის (სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა მოთხოვნა და აღნიშნული განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა მხოლოდ სახელშეკრულებო ვადის პერიოდში – 2015 წლის 24 ოქტომბრამდე) გადახდა 2015 წლის 23 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს იმავე წლის 24 დეკემბრისა; მესამე მოსარჩელის სასარგებლოდ – 4 385 ლარის გადახდა 2015 წლის 23 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მეოთხე მოსარჩელის სასარგებლოდ – 2400 ლარის გადახდა 2015 წლის 23 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

3.1.3. მოპასუხეს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაე-

კისრა ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის, დაყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდა მათი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულებამდე.

3.2. საქალაქო სასამართლომ გადანყვეტილებაში მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში იმყოფებოდა საქმე №2/16513-15, რომელზედაც მხარეები იყვნენ ამ განჩინების პირველ და მეორე პუნქტებში დასახელებული დასაქმებულები და დამსაქმებელი; დავის საგანს წარმოადგენდა: სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

3.3. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ დამსაქმებელმა ისინი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა „პირადი განცხადების“ საფუძველზე, კერძოდ: პირველი დასაქმებული გათავისუფლდა 2012 წლის 30 ივლისის №კ-140 ბრძანებით; მეორე დასაქმებული – 2012 წლის 9 ივლისის №კ-118 ბრძანებით; მესამე დასაქმებული – 2012 წლის 26 ივნისის №კ-111 ბრძანებით; მეოთხე დასაქმებული – 2012 წლის 2 ივლისის №კ-114 ბრძანებით;

3.4. დამსაქმებლის ყველა ზემოხსენებული ბრძანება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადანყვეტილებით (საქმე №2/4283-13), ბათილად იქნა ცნობილი, ამავე გადანყვეტილებით მოსარჩელები აღდგენილ იქნენ იმ თანამდებობებზე, რომელიც მათ ეკავათ გათავისუფლებამდე და მოპასუხეს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მათი გათავისუფლების დღიდან – 2013 წლის 2 აპრილამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მათი ყოველთვიური ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით;

3.5. სასამართლოს ზემოხსენებული გადანყვეტილების აღსრულებამდე, დამსაქმებელმა ხელოვნურად გააუქმა ის სამშტატო ერთეულები, რომლებზედაც უნდა მომხდარიყო მოსარჩელეთა აღდგენა, ფაქტობრივად კი აღნიშნული სამსახურები არ გაუქმებულა, მხოლოდ დასახელებები შეიცვალა და სამსახურები კვლავ აღიჭურვა იმავე უფლება-მოვალეობებით, რაც წინამორბედ სამსახურებს გააჩნდათ;

3.6. მოსარჩელებმა 2014 წლის 30 დეკემბერს მიმართეს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, და მიანოდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოპასუხე არ ასრულებდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას;

3.7. აღმასრულებელმა 2014 წლის 10 დეკემბერს მიმართა მოპა-

სუხე საწარმოს გენერალურ დირექტორს და მოსთხოვა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება.

3.8. მხარეთა შორის (კრედიტორები: მოსარჩელები და მოვალე: დამსაქმებელი) შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა 2015 წლის 19 ივნისს. იმავე წლის 22 ივლისს მოპასუხე საწარმოს გენერალურმა დირექტორმა გამოსცა ბრძანება №კ-516, რომლითაც ოთხივე დასაქმებულს (განსახილველი დავის მოსარჩელებს) შეუწყდა შრომითი ხელშეკრულებები და ისინი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან; დასახელებული ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებულია სშკ-ის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი /„დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა“/.

3.9. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხე საწარმოს გენერალური დირექტორის №კ-516 ბრძანების ბათილად ცნობა, პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენა და 2015 წლის 23 ივლისიდან სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ასევე – თითოეული მათგანის სასარგებლოდ, ნებისმიერი ანაზღაურებისა და ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის, დაყოვნებული თანხის 0.07%-ის დაკისრება მოპასუხისათვის, მათი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

3.10. მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა; აღნიშნული გზავნილი მოსარჩელეს ჩაბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 74-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, 2015 წლის 2 სექტემბერს. მოპასუხეს სასამართლოში უნდა წარედგინა შესაგებელი, სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში; მოპასუხემ, დადგენილ ვადაში 11.09.2015 წელს, წარადგინა შესაგებელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

3.11. სასამართლომ საქმის მოსმენა მოსამზადებელ სხდომაზე დანიშნა 2015 წლის 12 ნოემბერს 15 საათზე, რაც მხარეებს ეცნობათ სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

3.12. სსსკ-ის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია

გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. ამავე კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

3.13. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის პირობები.

3.14. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომლის წარმომადგენელი სასამართლოს სხდომის ადგილისა და დროის თაობაზე ინფორმირებული იყო სსსკ-ით დადგენილი წესით; კერძოდ, სხდომის თარიღი ეცნობა მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელს ბ. მ-ს სატელეფონო შეტყობინების გზით, რაზედაც შედგენილია შესაბამისი აქტი;

3.15. მოპასუხეს, სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ სასამართლოსთვის არ უცნობებია.

3.16. სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

3.17. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის წინაპირობები და მოსარჩელის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დააკმაყოფილა.

4. მოპასუხის საჩივარი საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე და საქალაქო სასამართლოს განჩინება მისი უცვლელად დატოვების შესახებ

4.1. მოპასუხემ საჩივარი წარადგინა საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა იმ დასაბუთებით, რომ ის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით არ იქნა გაფრთხილებული დანიშნულ სხდომასთან დაკავშირებით, კერძოდ, დარღვეული იყო სსსკ-ის 70-ე-73-ე მუხლები, 233-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

4.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 იანვრის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის საჩივარი ამავე სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარ-

მოგების განახლების შესახებ და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

4.3. საოქმო განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა, რაც 2015 წლის 2 სექტემბერს ჩაბარდა სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით. მოპასუხეს სასამართლოში უნდა წარედგინა შესაგებელი სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, რომელიც დადგენილ ვადაში – 11.09.2015 წელს არის შეტანილი.

4.4. საქმე სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე განსახილველად დაინიშნა 2015 წლის 12 ნოემბერს 14:00 საათზე, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით „თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას“ – სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი/.

4.5. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეუძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის პირობებს.

4.6. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე. სასამართლოს სხდომის ადგილისა და დროის თაობაზე მოპასუხის წარმომადგენელი ინფორმირებული იყო სსსკ-ით დადგენილი წესით. კერძოდ, სხდომის თარიღი ეცნობა მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელს ბ. მ-ს სატელეფონო შეტყობინებით, რაზედაც შედგა შესაბამისი აქტი.

4.7. მოპასუხეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ არ უცნობებია. ამ უკანასკნელის გამოუცხადებლობის გამო მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე იშუამდგომლა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

4.8. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სსსკ-ის XXVI

თავით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.9. 2015 წლის 19 ნოემბერს მოპასუხის წარმომადგენელმა ა. ა-მა საჩივარი წარადგინა სასამართლოს ზემოაღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ „ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ“ აქტი სასამართლო მოხელემ არასრულყოფილად შეადგინა; აქტის შინაარსიდან ძნელი დასადგენი იყო, თუ რომელი მხარის წარმომადგენელს ესაუბრებოდა სასამართლოს მოხელე. საჩივრის ავტორის მტკიცებით, აქტის ჩანაწერი, რომ მხარეს ეცნობა სასამართლო უწყების შინაარსი, რეალურად არსებულ სიტუაციასთან შეუსაბამო იყო იმ თვალსაზრისით, რომ სატელეფონო შეტყობინების აქტში ზუსტად არ იყო გადატანილი 20.10.2015 წელს შემდგარი სატელეფონო საუბრის შინაარსი. საჩივრის ავტორის შეფასებით, გამოკვეთილი იყო სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება (იხ. ნორმის დეფინიცია 4.4 ქვეპუნქტში). კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სასამართლო უწყება ყველა ზემოხსენებულ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მოპასუხემ მოითხოვა საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 12 ნოემბერს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

4.10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამ 2016 წლის 26 იანვარს დანიშნა სასამართლო სხდომა საჩივრის განხილვის მიზნით, რის თაობაზეც მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ სსსკ-ით დადგენილი წესით, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინებით. მხარეები გამოცხადდნენ აღნიშნულ სხდომაზე. საჩივრის ავტორმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა იმ გარემოებებზე მითითებით, რაც ასახულია მის საჩივარში. მონინალმდევე მხარემ მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმ მოტივით, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და იგი გამოტანილი იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით.

4.11. მხარეთა პოზიციების მოსმენისა და შეჯერების შედეგად. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის საჩივარი და განმარტა, რომ სსსკ-ის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, ერთდროულად უნდა იყოს სამი პირობა იმისათვის, რომ სასამართლომ იხელმძღვანელოს აღნიშნული მუხლით და საქმეზე მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება; კერძოდ:

4.11.1. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელიც სხდომის თაობაზე გაფრთხილებული იყო სსსკ-ის 70-78 მუხლებით დადგენილი წესით და არ არსებობს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოება;

4.11.2. მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე შუამდგომლობს მოსარჩელე მხარე;

4.11.3. სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

4.11.4. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მოცემულ შემთხვევაში პროცესზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც სხდომის თაობაზე ეცნობა სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინებით.

4.12. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ სატელეფონო საუბრის ჩანაწერიდან ნათლად ირკვეოდა, რომ მოპასუხის წარმომადგენელი გაფრთხილებული იყო სასამართლო სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, მოსამართლის თანაშემწემ მას რამდენჯერმე გაუმეორა სხდომის ადგილისა და დროის თაობაზე, მოპასუხის წარმომადგენლისაგან მიღებულ იქნა დასტური შეტყობინების მიღების თაობაზე, ასევე, მას თანაშემწემ განუმარტა, რომ აღნიშნული შეტყობინება ოფიციალური იყო და მოპასუხეს დამატებითი უწყება აღარ გაეგზავნებოდა;

4.13. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლის თანაშემწემ მას არ განუმარტა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, საფუძვლად ვერ დაედებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმეში მონაწილე მხარეების, მოსამართლის ვინაობის, ასევე სასამართლო

სხდომის ჩატარების ადგილის, დროის და დარბაზის ნომრის თაობაზე, რაც სრულად ეცნობა მოპასუხის წარმომადგენელს; ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა მოპასუხის იურისტს (აღნიშნული დასტურდებოდა მოპასუხის მიერ გაცემული რწმუნებით); შესაბამისად, მისთვის თავისთავად იყო ცნობილი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესაძლო შედეგები;

4.14. სასამართლომ იმაზეც იმსჯელა, რომ საჩივრის ავტორის (მოპასუხის) წარმომადგენელმა – ა. ა-მა საჩივრის განხილვის მიზნით 2016 წლის 26 იანვარს გამართულ სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა არასწორად ჩაინიშნა თარიღი, რამაც გამოიწვია სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა.

4.15. ზემოხსენებული გარემოებების შეფასების შედეგად, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

4.16. საქმეში არსებული მტკიცებულებების, საჩივრის ავტორისა და მონინალმდგის განმარტებების საფუძველზე, სასამართლომ საჩივარი დაუსაბუთებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ მხარემ ვერ წარადგინა დასაბუთებული არგუმენტები, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

4.17. სასამართლოს შეფასებით, საჩივრის ავტორს არ წარუდგენია შესაბამისი მტკიცებულება და საკმარისად დასაბუთებული მითითებაც კი, რაც სასამართლოს შეუქმნიდა რწმენას, რომ სხდომაზე გამოუცხადებლობა ნამდვილად გამოიწვია ისეთმა საპატიო გარემოებამ, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების გონივრულ წინაპირობას შექმნიდა და სსსკ-ის 233-ე მუხლის მოთხოვნებთან იქნებოდა შესაბამისობაში.

5. მოპასუხის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

5.1. მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი ძალაში დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2016 წლის 26 იანვრის განჩინება იმავე არგუმენტებით, რაც მის საჩივარში იყო მითითებული (იხ. ამ განჩინების 4.1. ქვეპუნქტი).

5.2. აპელანტის მტკიცებით, აქტი „ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ“ გაყალბებულია, რადგან რეალურად მოპასუხის ინფორმირება სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ და მითითება გამოუცხადებლობის შედეგებზე, არ მომხდარა. ამ გარემოებას სასამართლომ მნიშვნელობა არ მიანიჭა და მიუთითა, რომ რადგან მოპასუხის წარმომადგენელი საზოგადოების იურისტ-

ტი იყო, მისთვის თავისთავად იყო ცნობილი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესაძლო შედეგების თაობაზე, რაც სააპელაციო საჩივრის ავტორის შეფასებით, არასწორი და დაუსაბუთებელი მსჯელობაა;

5.3. აპელანტის მტკიცებით, 20.10.2015 წლის 20 ოქტომბრის შეტყობინების შესახებ გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას და უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რაც სამოქალაქო დავებზე სასამართლო პრაქტიკის საკითხებზეა მიღებული.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და დასკვნები

6.1. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 26 იანვარს მიღებული საოქმო განჩინება.

6.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს 26.01.2016წ. განჩინების მსჯელობა და დასკვნები და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

6.3. სააპელაციო სასამართლომ ამ განჩინების 3.2-3.8 ქვეპუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა და აღნიშნა, რომ 2015 წლის ივნისში სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ საქმის მასალები სრულად გადაეგზავნა პროკურატურისათვის, მოვალის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო შესაბამისი რეაგირების მიზნით. საბოლოოდ, მხარეთა შორის (კრედიტორები – ოთხი მოსარჩელე და მოვალე – მოპასუხე) შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა 2015 წლის 19 ივნისს. იმავე წლის 23 ივნისს კრედიტორებმა წერილობითი განცხადებით მიმართეს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, სააღსრულებო წარმოების აღსრულებულად ჩათვლის და საქმის დასრულების თაობაზე; დამსაქმებელმა 2015 წლის 22 ივნისს გამოსცა № კ-516 ბრძანება, რომლითაც ოთხივე დასაქმებულს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულებები და ისინი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან; დასახელებული ბრძანების საფუძველად მითითებული სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის წერილობითი დასაბუთება განცხადებით მოითხოვეს დასაქმებულებმა.

6.4. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი შრომის კოდექსი ავალ-

დებულებს დამსაქმებელს, დასაქმებულის მოთხოვნიდან შვიდი დღის ვადაში განმცხადებლის ამ სახის მოთხოვნაზე რეაგირებას და დასაბუთებული პასუხის გაცემას, მოსარჩელეთა განმარტებით, მოპასუხეს დღემდე არ გადაუცია მათთვის წერილობითი დასაბუთება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე; შრომის კანონმდებლობა სწორედ დამსაქმებელს აკისრებს ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთს. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, მოსარჩელეებმა მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილება.

6.5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ამ განჩინების 3.9-3.16 ქვეპუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე და განმარტა, რომ არ იზიარებდა აპელანტის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ 2015 წლის 20 ოქტომბრის შეტყობინებისას დაირღვა სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, რის გამოც უწყება მხარისათვის ჩაბარებულად არ უნდა ჩათვლილიყო სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად და რომ გამოვლენილი იყო ამავე კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის თაობაზე.

6.6. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში - ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მონშეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მონშეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკითხები, ხოლო 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აგრეთვე დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება

უნდა შეიცავდეს: ა) სასამართლოს სახელწოდებასა და ზუსტ მისამართს; ბ) მითითებას გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ, ხოლო თუ უწყება ეგზავნება წარმომადგენელს, – აგრეთვე მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც არის; გ) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს, და მითითებას დავის საგნის შესახებ; დ) სასამართლოში დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე იმას, თუ რა სტატუსით არის იგი დაბარებული, და მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ; ე) წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება; ვ) მითითებას იმის თაობაზე, რომ ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია პირველი შემთხვევით დასაბაროს უწყება ადრესატს; ზ) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

6.7. სსკ-ის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება: ა) ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით;

6.8. სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ მოპასუხის წარმომადგენელს 2015 წლის 12 ნოემბერს (14:00 საათზე) დანიშნული სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის შესახებ ეცნობა 2015 წლის 20 ოქტომბერს ტექნიკური საშუალების გამოყენებით (ტელეფონით); აღნიშნულის თაობაზე სასამართლოს შესაბამისმა მოხელემ შეადგინა მხარის ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ აქტი. საქმეში წარმოდგენილი იყო მითითებული შეტყობინების აუდიო ვერსია, რომელიც ადასტურებდა მოპასუხის წარმომადგენლისათვის უწყების ჩაბარებას.

6.9. აპელანტი სააპელაციო საჩივარს ძირითადად იმაზე აფუძნებდა, რომ მოპასუხე გაფრთხილებული არ ყოფილა სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ საქმე განიხილა მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით.

6.10. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის პრეტენზიები და განმარტა, რომ იგი თავადვე ეწინააღმდეგებოდა მის მიერ წარდგენილ საჩივარში ასახულ პოზიციას; კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებში გან-

თავსებულ მოპასუხის საჩივარზე; დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ საჩივარში მოპასუხემ მიუთითა, რომ მისი გამოუცხადებლობა სხდომაზე გამონვეული იყო საწარმოს წარმომადგენლის (იგი წარმოადგენდა ამავე საზოგადოების იურისტს) მიერ შეტყობინების ჩაწერის დროს დაშვებული უნებლიე შეცდომით, კერძოდ, მან, ნაცვლად სასამართლოს მოხელის მიერ მითითებული თარიღისა, გასამართი სხდომის თარიღად მოინიშნა 11.12.2015წ. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მასალებში წარმომადგენილი საჩივრის მიხედვით, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მხარის გამოუცხადებლობა სასამართლოში საქმის განხილვის მიზნით დანიშნულ მოსამზადებელ სხდომაზე და მის მიერ საჩივარში მითითება საწარმოს იურისტისათვის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების მიუთითებლობის გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა;

6.11. სასამართლოს შეფასებით, წარმომადგენლის მიერ დაშვებული შეცდომა, რაც სასამართლო სხდომის გამართვის თარიღის არასწორად მონიშვნაში გამოიხატა, ვერ იქნებოდა მიჩნეული მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. ამასთან, მხარის წარმომადგენლის ინფორმირება სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე, მასვე აკისრებდა უშუალოდ მხარისათვის შესაბამისი ინფორმაციის გადაცემის ვალდებულებას და დამატებით ამ საკითხზე წარმომადგენლისათვის სასამართლოს მხრიდან გაფრთხილების წესს კანონი არ ადგენს.

6.12. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამავე 215-ე მუხლის მეხამე ნაწილის მიხედვით, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

6.13. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შე-

ფასებით, არ არსებობდა სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

6.14. სასამართლომ იმსჯელა სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 241-ე, 233-ე მუხლის მონესრიგებაზე და დაასკვნა, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. აპელანტის მიერ თავისი პოზიციის დასაბამებლად მითითებული არგუმენტები არ იყო საკმარისი ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში ასახული სამართლებრივპროცესუალური დასკვნების გასაბათილებლად; სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე და მას არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა, რომ არ არსებობდა სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოებები, ასევე მოპასუხის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის ფაქტობრივი საფუძველი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გააჩნდა საკმარისი პროცესუალური საფუძველი 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის და სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასებები გააკეთა 2016 წლის 26 იანვრის განჩინებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მოპასუხე მხარის საჩივრის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით; შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების პროცესუალურსამართლებრივი საფუძველები.

7. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველები

7.1. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, მისი და ქვემდგომი სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ საოქმო განჩინების გაუქმება მოითხოვა, ამასთან – საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობა სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

7.2. საკასაციო განაცხადი ძირითადად მოპასუხის საჩივრისა და სააპელაციო საჩივრის პრეტენზიების იდენტურ არგუმენტებზე უთითებს (იხ. ამ განჩინების 4.1 და 5.2-5.3 ქვეპუნქტები). კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას სსსკ-ის 72-ე მუხლის წინაპირობების დაცვის ფორმალურო-

ბის თაობაზე.

7.3. მოპასუხე შუამდგომლობს, საქმეს დაერთოს დამსაქმებლის იურიდიული სამსახურის სამსახურებრივი წერილი №0105/173 პერსონალის მართვის სამსახურისადმი, პერსონალის მართვის სამსახურის წერილი №0106/126 და მისი დანართები, რომელთა საფუძველზე, მოპასუხის მოსაზრებით, დასტურდება მოსარჩელეთა მიერ სამსახურიდან გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობები, რომლებზედაც აღდგენილი იქნენ დასაქმებულები გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს.

7.4. მოპასუხეს მიაჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება მისი აღსრულება, რაც დამატებითი არგუმენტია საკასაციო საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

8. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

8.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 იანვრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებამია მიღებული.

8.2. მოპასუხემ 2017 წლის 27 იანვარს წარმოადგინა საკასაციო შესაგებელი, რომლითაც მოითხოვს საკასაციო საჩივრის განხილველად დატოვებას იმის გამო, რომ არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი წინაპირობა საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობისათვის.

8.3. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და რეკომენდაციებზე კასატორის მითითების პასუხად, მოსარჩელეთა წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიზანია სასამართლოს ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა, დავების სწრაფი და გაჭიანურების გარეშე განხილვა, მხარეთა საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის – მიიღონ მონაწილეობა საქმის ზეპირ განხილვაში – შესრულება, საპროცესო ეკონომიის პრინციპის დაცვა.

8.4. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინებით მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა მიჩნეული არსებითად განსახილველად, სსსკ-ის 391-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, ხომ არ არის საქმეში ისეთი პროცესუალური დარღვევები, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მოპასუხის საკასა-

ციო საჩივრის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო განაცხადი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

9. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით დამსაქმებლის პრეტენზიათა ნაწილი, რომელიც ეხება სსსკ-ით დადგენილი წესით სასამართლო სხდომის შესახებ მხარისათვის უწყების ჩაბარების წესს დასაბუთებულია, ხოლო რაც შეეხება სამუშაოზე აღდგენის ნაწილში კასატორის მიერ მითითებულ არგუმენტს, რომ აღარ არსებობს ის სამუშაო ადგილები, რომლებიც დასაქმებულებს (მოსარჩელებს) ეკავათ და არსებული სახით სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დატოვების შემთხვევაში ის მაინც ვერ აღსრულდება, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარის აღნიშნული მოსაზრება ვერ დაედება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას ფაქტობრივსამართლებრივი საფუძვლის სახით, რადგან დამსაქმებლის მითითებული მტკიცება, თავისი შინაარსით, მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის შესაგებელს წარმოადგენს.

11. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი არსებითად განსახილველად დასაშვებად მიიჩნია სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შესაბამისად, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე სამართლებრივად უნდა შეფასდეს ხომ არ არის დაშვებული ქვემდგომი სასამართლოს მიერ ისეთი სახის პროცესუალური დარღვევა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

12. საკასაციო სასამართლოს განხილვისა და სამართლებრივი შეფასების საგანია სსსკ-ის 70-ე, 72-ე და 73-ე მუხლებით მოწესრიგებული სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარების საკითხი. სსსკ-ის 70.1 მუხლით დადგენილია, რომ უწყება მხარისათვის

და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰპარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო 72-ე მუხლის პირველი პუნქტით ამომწურავად არის დადგენილი, თუ რისგან შედგება სასამართლო უწყება (ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების 6.6. ქვეპუნქტში).

13. განსახილველ შემთხვევაში სხდომის დანიშვნის თაობაზე სასამართლომ მოპასუხეს სსსკ-ის 70.3 მუხლით დადგენილი წესით /მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკითხები, ხოლო 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აგრეთვე დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე“ აცნობა, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინების თაობაზე შედგენილი შესაბამისი აქტი საქმის მასალებშია (იხ. ამ განჩინების 4.6. ქვეპუნქტი). მოპასუხემ სადავო გახადა სასამართლოს მოხელის მიერ შედგენილი აქტი ანუ ის, რომ იგი არასრულყოფილად იყო შედგენილი და მასში არ იყო ასახული სატელეფონო საუბრის შინაარსი, რის გამოც სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქვეპუნქტით დადგენილი გარემოება ვლინდებოდა (იხ. ნორმის დეფინიცია 4.4. ქვეპუნქტში).

14. საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომლებიც წინამდებარე განჩინების 4.13-4.14 ქვეპუნქტებშია ასახული სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ გამოტანილი განჩინების გაუქმების მოთხოვნით მოპასუხის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვისას და არ დააკმაყოფილა ამ უკანასკნელის პრეტენზიები.

15. საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვის ფარგლებში გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომელიც ეხება სასამართლო უწყების მოპასუხისათვის ჩაბარებულად მიჩნევას (იხ. ამ განჩინების 6.9-6.14 ქვეპუნქტები), არ იზიარებს საკასაციო სასამართლო.

16. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებული მსჯელობის მიხედვით მოპასუხის განმარტებითვე დგინდებოდა, რომ მისმა წარმომადგენელმა არასწორად მოინიშნა სასამართლოს მოხელის მიერ შეტყობინებული სხდომის თარიღი, რაც მოპასუხის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ იქნებოდა მიჩნეული. მოპასუხის მთავარი პრეტენზია ეხებოდა იმას,

რომ 20.10.2015წ. აქტის აუდიოჩანაწერი არ შეიცავდა სსსკ-ის 72.1 მუხლით დადგენილ ინფორმაციას, სხვებთან ერთად, მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მხარის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ; მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე (იხ. სააპელაციო საჩივარი). აპელანტის ამ პრეტენზიასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარდგენილი შეტყობინების აუდიო ვერსია ადასტურებდა მოპასუხის წარმომადგენლისათვის უწყების ჩაბარებას (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება), თუმცა, საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის მასალებში, მოთავსებული აქტის აუდიოვერსიის მოსმენის შედეგად, დასტურდება, რომ სხდომის თარიღის, საათის, მხარეების, მოსამართლის ვინაობის, სხდომის დარბაზის შესახებ საქალაქო სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი აქტი არ შეიცავს სსსკ-ის 72.1. მუხლით დადგენილ სავალდებულო რეკვიზიტებს, კერძოდ, მხარისათვის მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ, ასევე, მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედვულებაზე არაა დამოკიდებული, შესაბამისად, სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი მოწესრიგების ფარგლებში, მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების წესის შემოწმება სასამართლოს ვალდებულებაა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე უთითებს, რომ დარღვეულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა, სასამართლოს მსჯელობა და დასაბუთება, რომ თავად მხარემ არასწორად მოინიშნა სხდომის თარიღი არაა გამართლებული, რადგან, უპირველესად, შესამოწმებელია, რამდენად დაიცვა სასამართლოს მოხელემ მხარისათვის შეტყობინების ჩაბარების დროს საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. ეს საკითხი არ წარმოადგენს იმგვარ ფორმალობას, რომელიც სასამართლოს განმარტების საგანია, რადგან სსსკ-ის 72.1 მუხლით ამომწურავად არის დადგენილი სასამართლო უწყების შინაარსი, რომლის რომელიმე ელემენტის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო უწყება არასრულად და კანონშეუსაბამოდ ჩაბარებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

18. ზემოხსენებული ფაქტობრივსამართლებრივი მოტივაციით დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდება იმა-

ვე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით

აღიარებითი სარჩელი

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-593-552-2017

31 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ბ. ალავიძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: შეთანხმების აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. მ. ს-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. მ-ის (შემდგომში – მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ მხარეთა შორის 2013 წლის 23 ივლისს დადებული შეთანხმების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 1987 წელს საკარმიდამო მიწის მიმდებარედ მოსარჩელის ოჯახმა დაიკავა 15 000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, შემოსაზღვრა ღობით, გააშენა ნარგავები და განკარგავდა, როგორც საკუთარს. 2004 წელს მოსარჩელის ოჯახს მიმართა ქ-ის სოფელ ბ-ში მცხოვრებმა პირმა, რომელმაც მოსარჩელის მიერ დაკავებულ ნაკვეთზე განაცხადა პრეტენზია, თუმცა, ეს ურთიერთობა მხარეთა მოლაპარაკების შედეგად მოგვარდა, კერძოდ, 2003 წლის 8 სექტემბერს პრეტენდენტმა წერილობით დაადასტურა, რომ ზემოხსენებულ მიწაზე პრეტენზიას აღარ განაცხადებდა და უძრავი ნივთი რჩებოდა მოსარჩელის საკუთრებაში. მოსარჩელის მიერ დაკავებული და მისი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნაწილი – 4 027 კვ.მ 2013 წელს დაექვემდებარა ქ. ქ-ის შემოსავლელი გზის მშენებლობის ზონას და ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობით საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დადგინდა ცნო მოსარჩელის საკუთრება-სარგებლობის უფლება დემარკაციის აქტით. 2013 წლის ივლისში მოსარჩელის ოჯახს დაუკავშირდა მოპასუხე და აღნიშნა, რომ მას ზემოხსენებული მიწის მიმდებარედ ასევე

გააჩნდა მიწები, რომელთაც არ ფლობდა, თუმცა, რადგან კანონი არ აძლევდა მათი აღრიცხვისა და ავტობანის მშენებლობიდან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას, შესთავაზა მოსარჩელეს, სახელმწიფო მოხელეებთან სათანადო კავშირების გამოყენებით დაკავებული მიწის საკუთრებად აღრიცხვა და მათი 70%-ის მოპასუხისათვის გადაცემა. ამგვარი შეთანხმება მხარეთა შორის დამონმდა სანოტარო წესით 2013 წლის 23 ივლისს, თუმცა მოპასუხეს რაიმე მიწის ნაკვეთი მოსარჩელისათვის არ გადაუფორმებია, ხოლო, შემოსავლელი გზის მშენებლობის გამო, მოსარჩელის მიერ მიღებული კომპენსაციიდან სადავოდ გახდილი შეთანხმების საფუძველზე მოპასუხე მოითხოვს თანხის ანაზღაურებას. მოგვიანებით მხარემ გააცნობიერა, რომ მოპასუხის მიწა არ მოხვდა შემოვლითი გზის მშენებლობის ზონაში და სადავო შეთანხმებაზე ხელმოწერას ის ამჟამად იყენებს მოსარჩელის საწინააღმდეგოდ, მოსარჩელის სარგებლობაში არსებული მიწის სანაცვლოდ გადახდილი კომპენსაციის ასანაზღაურებლად. მოპასუხეს წინასწარ ჰქონდა განზრახული თანხის მიღება და მოსარჩელის ოჯახის წევრთა შეთანხმებით, მას მოტყუებით მოაწერიდა ხელი გაურკვეველი შინაარსის გარიგებაზე. სწორედ ამ შეთანხმებაზე დაყრდნობით აღძრა ა. მ-მა სარჩელი მ. ს-ისათვის 28 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით, რაც სასამართლოს წარმოებაშია.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მითითება 15 000 კვ.მ მიწის კულტივირების, მრავალწლიანი ნარგავების დარგვის, მისი მყარი მიწნით შემოსაზღვრისა და ფაქტობრივ მფლობელობაში ქონის ფაქტებზე სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგანაც ეს მიწა მოპასუხის წინაპრების მფლობელობაში იმყოფებოდა, კოლმეურნეობისა და კომლის გაუქმების შემდგომ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ფაქტობრივად ფლობდა მოპასუხე და თავად გააშენა ტყე. მოსარჩელის ოჯახს დაკავებული აქვს სწორედ მოპასუხის კუთვნილი მიწის 10-15%, რის თაობაზეც არავითარი პრეტენზია მისი მხრიდან არ გაცხადებულა. ასევე, არასწორია მოსარჩელის მსჯელობა მისი კანონიერი საკუთრება-მფლობელობისა და შესაბამისი დემარკაციის აქტის შედგენის შესახებ. მან თავდაპირველად სცადა ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომაში შეყვანა, თუმცა, გარემოებათა გამოკვლევის შედეგად მოსარჩელეს შეეთავაზა მორიგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერავითარ თანხას იგი ვერ მიიღებდა გზის მშენებლობიდან. სწორედ მოსარჩელის თხოვნამ განაპირობა მოპასუხის მხრიდან სადავო გარიგებაზე დათანხმება, შესაბამისად, ყოველგვარ საფუძველსაა

მოკლებული მოსარჩელის მითითება სახელმწიფო მოხელეების დახმარებით მოპასუხის მიერ მიწის გადაფორმების შესახებ დაპირებასთან მითითებით, ისევე, როგორც მისი მსჯელობა მხარეთა შორის არსებულ სხვა დავაზე მიღებული გადაწყვეტილების უკანონობის შესახებ. სარჩელში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება დადებულია მოტყუებით და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 53-ე-56-ე, 90-ე-92-ე, 317-ე, 319-ე და 320-ე მუხლებზე, თუმცა, მოსარჩელე ვერ ხსნის გარიგების ბათილობის რომელი სამართლებრივი საფუძველია სახეზე. გასათვალისწინებელია, რომ ამავე კოდექსის 84-ე და 89-ე მუხლების თანახმად, მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 1 წელია, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, გასულია.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება, ხოლო სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული შემდეგი გარემოებების გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს

აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი. ვიდრე პალატა საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამომხმებდეს, ყურადღებას საკასაციო სამართალწარმოების რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე გაამახვილებს:

1.1.1. საკასაციო წესით მართლმსაჯულების განხორციელებისას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება ორი მიმართულებით, კერძოდ: სასამართლო, უპირველესად, ამოწმებს, სახეზე ხომ არ არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობა, ამ გარემოებათა ჩამონათვალი კი, რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის 393-ე მუხლში.

1.1.2. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ქვემდგომი სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემომხმება შეუძლებელია.

1.2. საკასაციო პალატა მიუბრუნდება განსახილველ საკითხს, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, აღიარებითი სარჩელის დასაბუთებობის კვლევას შეეხება. უნდა ითქვას, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაციას თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი იძლევა და დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია. აღიარებითი სარჩელის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება

სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელი, ბუნებრივია, სრულად უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ-შინა-არსობრივ მოთხოვნებს, თუმცა ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით დაწესებული დამატებითი მოთხოვნა ამ ტიპის სარჩელებისათვის – იურიდიული ინტერესი, რომელსაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობისას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ამონმებს, ხოლო, დაშვების შემთხვევაში, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობაზეა დამოკიდებული სარჩელის წარმატებულობა. გასათვალისწინებელია, რომ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემონმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, რა დროსაც პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი:

- ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში;
- ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;
- გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

1.2.1. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის განხილვისას, მნიშვნელოვანია, გაირკვეს, ხომ არ არსებობს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობები, რადგან ამგვარი წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელე ვერ შეძლებს თავისი ნამდვილი მიზნის (უფლების დაცვის) აღიარებითი სარჩელით მიღწევას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, საფუძველს აცლის აღიარებით მოთხოვნას. ამავედროულად, მხედველობაშია მისაღები საპროცესო ეკონომიის პრინციპი, რომელიც უფლების რეალური დაცვის ხელშეწყობის საშუალებაა და ემსახურება იმას, რომ დარღვეული უფლების დაცვა მხარემ ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უზრუნველყოს.

1.3. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ:

1.3.1. კასატორი ცხოვრობს ქ-ის რაიონის სოფელ ბ-ში, სადაც მას 2013 წლის ივლისამდე საკუთრებაში ერიცხებოდა მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. გარდა აღნიშნული მიწის ნაკვეთისა, იგი ასევე სარგებლობდა მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთით, რომელიც საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული. მისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ იყო სხვა მიწის ნაკვეთებიც, რომლებიც არ გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ვინაიდან გაშენებული იყო ტყე და ბუჩქნარი;

1.3.2. ქ. ქ-ის შემოვლითი გზის კმ12-კმ13 მონაკვეთის პროექტის ფარგლებში დამუშავდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა, რომელიც შეთანხმებულ იქნა აზიის განვითარების ბანკთან. შემოვლითი გზის განვითარების ზოლში მიწის ნაკვეთის მფლობელთა იდენტიფიკაცია განხორციელდა აღნიშნული გეგმის მომზადების პროცესში ჩატარებული საკადასტრო აზომებით და აღწერიწვენტარინზაციის სამუშაოების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მიწის ნაკვეთის მფლობელები, ასევე, საპროექტო ორგანიზაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის მიხედვით, გზის განთავსების ზოლში მოხვდა მოსარჩელის როგორც საკუთრებაში, ასევე – სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები და მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების მიმდებარე 4 027 კვ.მ სადავო ტერიტორიაც;

1.3.3. სადავო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით პრეტენზია განაცხადა მონინალმდევე მხარემ და მიმართა ბ-ის ტერიტორიულ ორგანოს კომპენსაციის გასაცემ პირთა სიაში შეყვანის თხოვნით. ამ განცხადების გამო შეჩერდა მოსარჩელის განცხადების განხილვა და მხარეებს განემართათ, რომ, დავის არსებობის შემთხვევაში, კომპენსაცია არ გაიცემოდა, რის შემდგომაც, 2013 წლის 23 ივლისს, მხარეთა შორის შორის შედგა და სანოტარო წესით დამოწმდა სადავო გარიგება, რომლის თანახმადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ქ-ის სოფელ ბ-ში მდებარე მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული 2 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის გარდა, რაც მოხვედებოდა ავტომატურად დაკავშირებით კომპენსაციის 70 პროცენტს, მოსარჩელე გადასცემდა მოპასუხეს“;

1.3.4. შეთანხმების გაფორმების შემდეგ მოსარჩელე შეყვანილ იქნა კომპენსაციის გასაცემ პირთა სიაში, 2013 წლის 24 ივლისს შედგა დემარკაციის აქტი და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მასთან გააფორმა ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის შესყიდვასა და სარეაბილიტაციო ხარჯების კომპენსა-

ციის შესახებ. იმავე დღეს გაფორმებული სარეაბილიტაციო ხარჯების კომპენსაციის ხელშეკრულებით კი, კასატორმა მიიღო აზიის განვითარების ბანკის მიერ დამტკიცებული მიწების შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ხარჯების კომპენსაცია 40 269 ლარი, ხოლო მხარეთა შორის სადავო მიწა მოქცეულ იქნა შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ზემოქმედების ფარგლებში;

1.3.5. კომპენსაციის მიღების შემდეგ მოსარჩელემ უარი განაცხადა მხარეთა შორის 2013 წლის 23 ივლისის შეთანხებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე – მოწინააღმდეგე მხარისათვის თანხის გადაცემაზე, რის გამოც ამ უკანასკნელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მაისის №... გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მ. ს-ეს დაევალა 2013 წლის 23 ივლისის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება (ა. მ-ისათვის 28 000 ლარის გადახდა). აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

1.4. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ იურიდიულ ინტერესზე – მოსარჩელეს სურდა აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლება და რამდენადაც დავის საგანი იყო თანხის დაკისრება, სასამართლო ვერ გასცდებოდა მხარის მოთხოვნას და შეთანხმების კანონიერებაზე ვერ იმსჯელებდა, რის გამოც, მან დამოუკიდებელი აღიარებითი სარჩელით მიმართა სასამართლოს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეს არა თუ ნამდვილი, ფორმალური იურიდიული ინტერესიც კი არ გააჩნია დავის მიმართ, ვინაიდან აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება სადავოდ ქცეული უფლების დაცვის არასათანადო გზას წარმოადგენს და შედეგად მხარე ვერ მიიღებს იმ სიკეთეს, რასაც აღიარებითი სარჩელის აღძვრით ისახავდა მიზნად, კერძოდ:

1.4.1. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.3.5. პუნქტში მითითებულ გარემოებას და განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ეწყარება რა შეჯიბრებითობის პრინციპს (სსსკ-ის მე-4 მუხლი), მხარის მოთხოვნის წარმატებულობას განაპირობებს მისი მხრიდან საკუთარი ინტერესების კვალიფიციური და სწორი საპროცესო სტრატეგიით დაცვა. სახელშეკრულებო მოთხოვნიდან გამომდინარე დავის შემთხვევაში, თუკი მოვალე სადავოდ ხდის მოთხოვნის საფუძვლის ნამდვილობას (ხელშეკრულების ნამდვილობა), შესაბამისი წინაპირობების დაცვით მან ამ პროცესის ფარგლებში უნდა განკარგოს

ის საპროცესო საშუალებები და დაამტკიცოს შედეგების საფუძვლიანობა, რომელზეც ამყარებს საკუთარ მოთხოვნას. ამ მხრივ, საპროცესო კანონმდებლობა მოპასუხეს აღჭურავს საპროცესო თავდაცვის ორი საშუალებით: ა) შესაგებლით (სსსკ-ის 201-ე მუხლი) და ბ) შეგებებული სარჩელით (სსსკ-ის 188-ე მუხლი), იმის მიხედვით, თუ რა ფაქტობრივი მოცემულობაა სახეზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის ფარგლებში, თავად მოდავე სუბიექტი წყვეტს თავდაცვის კონკრეტული საშუალების გამოყენებას.

1.4.2. წინამდებარე სარჩელის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის შემონახვისას, საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ მხარეს სურს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულების შესრულებიდან თავის დაღწევა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის კონტექსტში (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი), მას აღარ შეუძლია, სადავო გახადოს ის პრეიულიციული ძალის მქონე ფაქტები, რომლებიც სხვა პროცესშია დადგენილი და მათზე დაყრდნობით გამოტანილია გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანი ნაწილი – სარეზოლუციო ნაწილი. უფრო მეტიც, წინამდებარე დავის ფარგლებში თეორიულადაც რომ მივიჩნიოთ აღიარებითი სარჩელი საფუძვლიანად და ბათილად იქნეს ცნობილი სადავო გარიგება, ეს მაინც ვერ გახდება მოსარჩელის ინტერესების დაცვის საშუალება, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის, ასევე, 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას) მხარე ვერ მოითხოვს საქმის წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, რადგანაც, 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე

სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. უდავოა ის გარემოება, რომ წინამდებარე სარჩელში გარიგების ბათილად ცნობის წინაპირობები მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მაშინაც, როდესაც ა. მ-მა მის წინააღმდეგ ვალდებულების შესრულების თაობაზე აღძრა სარჩელი.

1.5. საკასაციო პალატა, საკითხის სრულყოფის მიზნით მოიშველიებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიაწინებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება.

1.6. მოხმობილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მართალია, ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემომწებაზე მასშია საუბარი, თუმცა, ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც სახეზე

გვაქვს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). რადგანაც განსახილველი აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

2.1. დაზუსტებულ საკასაციო საჩივარს მოსარჩელემ დაურთო საქმეში არსებული მასალების ასლები 20 (ოცი) ფურცლად.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, რაც შეეხება საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებების განმეორებით წარდგენას, ამგვარი ქმედება საერთოდ ცდება საქმის წარმოების სტანდარტს და არ ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელებას. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს წარმოდგენილი მტკიცებულებების გაზიარების საფუძველი, შესაბამისად, მის ავტორს უნდა დაუბრუნდეს ისინი 20 (ოცი) ფურცლად.

3. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების გამო, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს ი. ს-ის მიერ კასატორის სახელით 01.06.2017წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1 400 ლარის 70% – 980 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე, 187-ე, 372-ე, 399-ე, 407-ე

მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 თებერვლის განჩინება, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მ. ს-ის სარჩელი ა. მ-ის მიმართ, შეთანხმების აქტის ბათილად ცნობის თაობაზე დარჩეს განუხილველად.
3. მ. ს-ეს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს ი. ს-ის მიერ კასატორის სახელით 01.06.2017წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1 400 ლარის 70% – 980 ლარი.
4. კასატორს ასევე დაუბრუნდეს დაზუსტებულ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 20 (ოცი) ფურცლად.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აღიარებითი ჩვენება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1393-1313-2017

20 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: იჯარის ხელშეკრულების არსებობის აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლანჩხუთის რაიონის გამგეობის 2003 წლის 8 აგვისტოს №52 დადგენილებით დამტკიცდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის რაიონული კომისიის გადაწყვე-

ტილება და ი. (ი-ე) მ-ეს (შემდეგში: მოიჯარე, მოსარჩელე ან კასატორი) მიეცა თანხმობა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებაზე. აღნიშნული დადგენილებით რაიონის მიწის მართვის სამმართველოს დაევალა საიჯარო ხელშეკრულებების რეგისტრაციაში გატარება.

2. ლანჩხუთის რაიონის გამგეობის 2003 წლის 8 აგვისტოს №52 დადგენილების №1 დანართის თანახმად, მოსარჩელეს მიეცა თანხმობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 20.50 ჰა (მდებარე: ლანჩხუთის რაიონი, ნ-ის თემი, სოფელი ჭ-ა; შემდეგში მიწის ნაკვეთი) საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებაზე 10 წლით.

3. ვ. კ-ი, ზ. ო-ე და ი. გ-ე 2016 წლის 18 აგვისტოს ნოტარიულად დამონმებული განცხადებით ადასტურებენ, რომ მოიჯარემ 1997 წელს გააშენა სათევზე მეურნეობა (ტბორი) ხუთ ჰექტარზე, რომელიც აშუამად ფუნქციონირებს, მას თვითონ მოიჯარე უვლის და პატრონობს.

4. საქმეში წარმოდგენილია გადახდის ქვითრები (2005წ; 2007-2016წ.), რომელთაგან ზოგიერთზე გადახდის დანიშნულებაში მითითებულია: სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა ნ-ი, ზოგან კი – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი.

5. სარჩელის საფუძვლები

5.1. მოიჯარემ 2017 წლის 27 თებერვალს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით აღძრა სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ საიჯარო ხელშეკრულების უვადოდ გაგრძელების ფაქტის აღიარების მოთხოვნით.

5.2. მოიჯარემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა ამ განჩინების 1-4 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებზე დააფუძნა და განმარტა, რომ 2003 წლის 8 აგვისტოდან სარჩელის წარდგენის დღემდე მიწის ნაკვეთს ფლობს და ყოველწლიურად საიჯარო თანხას იხდის, რაც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობაა.

6. მოპასუხის შესაგებელი

6.1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 16 მარტის განჩინებით არასათანადო მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოთი (შემდეგში: მეიჯარე, მოპასუხე ან აპელანტი).

6.2. მოპასუხემ მის მიერ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქმეში არ არის წარდგენილი მტკიცებულება, რომელიც მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულების დადების ფაქტს დაადასტურებდა.

7. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

7.1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და აღიარებულ იქნა ლანჩხუთის რაიონის გამგეობის 2003 წლის აგვისტოს №52 დადგენილების საფუძველზე მოსარჩელესა და ლანჩხუთის გამგეობას შორის წარმოშობილი განუსაზღვრელი ვადით მოქმედი მიწის საიჯარო სამართალურთიერთობის ფაქტი მიწის ნაკვეთზე 20.5 ჰა (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი).

7.2. რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 25-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 581-ე, 592-ე, 593-ე მუხლებით და განმარტა, რომ მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის საფუძველი მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტია, იჯარის (ქირავნობის) ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწის სარგებლობის უფლებას ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფაქტობრივ ფლობას.

7.3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მიწის ნაკვეთზე იხდიდა მიწის გადასახადს (მიწის იჯარას), ხოლო სასამართლოს მიერ აღიარებით სარჩელზე მისაღები გადაწყვეტილების მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის განსაზღვრული, გარკვეული შედეგის მომტანი სამართლებრივი ურთიერთობის დადგენაში უნდა მდგომარეობდეს.

8. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

8.1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოიჯარის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

8.2. მოპასუხემ სააპელაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სასამართლომ ისე დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ არც კი უცდია გამოეკვლია გადახდები სადავო მიწის ნაკვეთს ეხებოდა თუ სხვა მიწის ნაკვეთის გადასახადს წარმოადგენდა. ამასთან, არ გამოკვლეულა კონკრეტული გადახდების დანიშნულება და მოიჯარის მიერ წარდგენილი გადახდები იჯარის ქირის დამადასტურებელ დოკუმენტად იქნა მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემთხვევაში, დანიშნულებაში მითითებული იყო „ქონების გადასახადი“, მისი გაიგივება საიჯარო ქირის გადახდასთან დაუშვებელია.

8.3. აპელანტმა აღნიშნა, რომ სსკ-ის 592-ე მუხლის მე-2 ნაწი-

ლის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარაზე ვრცელდება იჯარის წესები, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარისათვის სხვა რამ არ არის დადგენილი და ამ შემთხვევაში „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი გამოიყენება, რომელიც ის ერთადერთი ნორმატიული აქტია, რომლითაც რეგულირდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის სარგებლობაში გადაცემის საკითხები.

9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

9.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ივნისის განჩინებით №3/ბ-295-2017წ. ადმინისტრაციული საქმე მოიჯარის სარჩელის გამო მეიჯარის მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

9.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით, მეიჯარის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მოიჯარის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი შეფასება. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოსარჩელესა და ლანჩხუთის რაიონის გამგეობას შორის იჯარის ხელშეკრულების დადების ფაქტი.

9.4. სასამართლოს შეფასებით, ლანჩხუთის რაიონის გამგეობამ მოსარჩელეს მისცა თანხმობა ხელშეკრულების დადების თაობაზე, თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც ამ თანხმობის შემდეგ იჯარის ხელშეკრულების, თუნდაც ზეპირად, დადებას ადასტურებდა.

9.5. სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელისა და სხვა პირთა მიერ 2005-2015 წლებში გადასახადის გადახდა სადავო მიწის ნაკვეთზე იჯარის ხელშეკრულების დადებას არ ადასტურებს.

9.6. მიუხედავად მოიჯარის მითითებისა, რომ ხელშეკრულება ზეპირი ფორმით დაიდო, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ 2003 წელს, როდესაც მოსარჩელის მტკიცებით, მას ქონება იჯარით გადაეცა, სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წესს და ხელშეკრულების დადების ფორმას არეგულირებდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს №446 ბრძანებულება, რომლის მე-3 თავის მე-5 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე იჯარის ხელშეკრულების დასადებად დადგენილი იყო წერილობითი ფორმა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარიგების ბათილობას მო-

სარჩელე თვითონვე ადასტურებს.

10. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

10.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

10.2. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო სსკ-ის 327-ე მუხლის დანაწესს, თუმცა სსკ-ის 593-ე მუხლს გვერდი აუარა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა ის, ასევე, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

10.3. კასატორმა მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსზე (2004 წლის რედაქცია), ასევე – სსკ-ის 593-ე, 581-ე მუხლებზე და განმარტა, რომ კანონების დათქმიდან გამომდინარეობს, რომ იჯარის გადასახადის გადახდა მოიჯარის ვალდებულებაა და რომ არა შეთანხმება მასსა და მინის იჯარით გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს – ლანჩხუთის გამგეობას შორის, 2005 წლიდან 2016 წლის ჩათვლით მინის სარგებლობის გადასახადსაც არ გადაიხდიდა. შენაბამისად, სასამართლოს დასკვნა, რომ იჯარის თანხის გადახდა არ ადასტურებს იჯარის ხელშეკრულების დადებას, ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

11.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

11.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი

დასაბუთებულობის საკითხის შემონმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

13. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ – უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის ნამდვილ იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხებულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017 წ.; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.06.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

14. აღსანიშნავია, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაცია შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზით და დოქტრინაში განვითარებული შეხედულებით. სარჩელთა ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადანყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადანყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია.

15. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზო-

გადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

16. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს კვლევის საკითხია, თუ რა შეიძლება იყოს მოსარჩელის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელის – საიჯარო ხელშეკრულების უვადაოდ გაგრძელების ფაქტის აღიარების იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს (სსსკ-ის 180-ე მუხლი). მოიჯარე თავის სასარჩელო მოთხოვნას სსსკ-ის 581-ე, 559-ე, 593-ე მუხლებს აფუძნებს და განმარტავს, რომ ვინაიდან მეიჯარემ პრეტენზია არ გამოთქვა საიჯარო ურთიერთობის დასრულებასთან დაკავშირებით საიჯაროს ურთიერთობის დაწყებიდან 10 წლის გასვლის შემდეგ, საიჯარო ურთიერთობა უვადაოდ გაგრძელებულად უნდა ჩაითვალოს; როგორც ამ განჩინების მე-2 პუნქტშია მითითებული, იჯარის ხელშეკრულება მხარეთა შორის 10 წლიანი ვადით უნდა დადებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში იჯარის ხელშეკრულება წარმოდგენილი არ არის, თუ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საიჯარო ხელშეკრულების უვადაოდ გაგრძელების ფაქტის აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს, გასარკვევია თუ რა შედეგი მოჰყვება აღნიშნულს მოსარჩელისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მეიჯარე მოიჯარეს საიჯარო ურთიერთობის 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ (2003 წ. – 2013 წ.) არ შედავებია და პრეტენზია არ გამოუთქვამს და მოსარჩელე ახლაც ფლობს და უვლის უძრავ ქონებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მეიჯარეს – მესაკუთრეს (სახელმწიფოს), კანონით დადგენილი წესით, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის უფლება აქვს. მოსარჩელის მიზანს, რომ მესაკუთრის მიერ ამ უფლების გამოყენების პრევენცია წინასწარ მოხდეს, სამართლებრივი საფუძველი არ აქვს და განუხორციელებელია.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც არ დგება ის შედეგი, რისი მიღწევაც სავარაუდოდ მას სურს (სსკ-ის 604-ე მუხლი – საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნა). ხელშეკრულების უვადოდ გაგრძელება არ გულისხმობს ხელშეკრულების სამუდამოდ გაგრძელებას, ხელშეკრულების უვადოდ გაგრძელება ხელშეკრულების ერთ მხარეს ყოველთვის აძლევს უფლებას ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვოს, ამისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას. სსკ-ის 605-ე მუხლის თანახმად საიჯარო ურთიერთობა წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით. სამ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით, თუ ერთი მხარის წინადადებაზე – გაგრძელდეს საიჯარო ურთიერთობა – მეორე მხარე უარს არ იტყვის სამი თვის განმავლობაში. წინადადება და მასზე უარი წერილობით უნდა გაფორმდეს. ხოლო სსკ-ის 606-ე მუხლის თანახმად, თუ იჯარის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია საიჯარო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს ათი დღისა განაცხადოს მომდევნო საიჯარო წლისათვის იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. საიჯარო წლად ითვლება კალენდარული წელი. თუკი მხარეები შეთანხმდნენ უფრო მცირე ვადაზე, მაშინ ამის წერილობით გაფორმებაა საჭირო. თუ საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს კანონით დადგენილ ვადაზე ადრე, მაშინ იგი დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის დამთავრებისათვის. მოცემულ საქმეში, მეიჯარე არათუ თანახმა არ არის საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე, არამედ – იგი სადავოდ ხდის საიჯარო ურთიერთობის არსებობის ფაქტს.

18. საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად აღიარებითი სარჩელები, რომელთა ავტორები რაიმეს აღიარების იურიდიულ ინტერესს არ ასახელებენ/ასაბუთებენ და არც რაიმეს მიკუთვნებას ითხოვენ, განუხილველად რჩება (იხ. სუსგ-ები №ას-324-307-2017, 03.11.2017 წ., №ას-196-185-2017, 05.05.2017 წ., №ას-623-582-2017, 20.12.2017 წ., №ას-1151-1071-2017, 23.02.2018 წ.).

19. საკასაციო სასამართლო, განსახილველი საკითხის სიცხადის მიზნით მოიშველიებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ – სამარ-

თლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა არ მოჰყვება შედეგად.

20. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისწარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (რომლითაც შეიცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც მიღებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

21. საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 399-ე, 372-ე მუხლებითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამავე კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 187.2, 408.3 მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება;
3. ი. მ-ის სარჩელი დარჩეს განუხილველად;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სარჩელის უზრუნველყოფა

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-389-2021

14 მაისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. მ. დ-ამ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ზ-ისა და თ. ჩ-ძის (შემდგომ – მოპასუხეები) მიმართ და მოითხოვა: თ. ჩ-ძის და ნ. ზ-ის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა და თავისუფალ მდგომარეობაში მოსარჩელისათვის გადაცემა; 2015 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის ოქტომბერში ბინა ქირით გადასცა ს. ფ-ს. 2015 წლის 18 თებერვალს, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ნოტარიუსმა გასცა ყალბი მინდობილობა თ. ჩ-ძის სახელზე, რომლითაც ამ უკანასკნელს მიენიჭა უფლება, სადავო უძრავი ნივთი ნ. ზ-ის სასარგებლოდ დაეტვირთა იპოთეკით.

3. მოსარჩელის მითითებით, ხელშეკრულება გაფორმებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და ქონება გამოთხოვილ იქნეს მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილი:**

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

განმცხადებლის მოთხოვნა და საფუძვლები:

5. 2020 წლის 2 სექტემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

6. განმცხადებელმა გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტები და განმარტა, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას სასამართლოსთვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის წესით მიმდინარეობდა გამოძიება ს. ფ-ის, ი. ბ-ძის, ს. უ-ძისა და დ. ქ-ას მიმართ ყალბი მინდობილობების (მათ შორის, მ. დ-ას სახელით 2015 წლის 18 თებერვალს თ. ჩ-ძეზე გაცემული №150156759 მინდობილობის) დამზადებისა და გამოყენების საშუალებით მ. დ-ას კუთვნილ ბინაზე ქონებრივი უფლებების მოტყუებით მიღების ფაქტზე, სადაც მ. დ-ა დაზარალებულად იქნა ცნობილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 12 სექტემბრის განაჩენით დადგინდა ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობაც გამოიწვევდა მ. დ-ას სარჩელის დაკმაყოფილებას. კერძოდ, დადგინდა მ. დ-ას სახელით თ. ჩ-ძის სახელზე 2015 წლის 18 თებერვალს გაცემული №150156759 მინდობილობის სიყალბე. განაჩენის შეცვლის მოთხოვნით შეტანილი საკასაციო საჩივრები საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 3 აგვისტოს განჩინებით არ იქნა დაშვებული განსახილველად.

7. მ. დ-ას სარჩელს საფუძვლად ედო ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოსარჩელის სახელით თ. ჩ-ძეზე 2015 წლის 18 თებერვალს გაცემული №150156759 მინდობილობა, რომლითაც ამ უკანასკნელს მიენიჭა სადავო ბინის ნ. ზ-ის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვის უფლება, არის სადავოდ გამხდარი. მოსარჩელის მითითებით, 2015 წლის 21 აგვისტოს სესხის, იპოთეკის და ბინით სარგებლობის ხელშეკრულება გაფორმდა არაუფლებამოსილი პირის მიერ. შესაბამისად, მითითებული გარიგება არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს და არც ნ. ზ-ს ჰქონდა უძრავი ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი.

8. განმცხადებლის განმარტებით, ნ. ზ-ის მიერ სადავო ბინის ფლობის მართლზომიერების განმსაზღვრელია თ. ჩ-ძის სახელზე 2015 წლის 18 თებერვალს გაცემული №150156759 მინდობილობა. სწორედ, ამ მინდობილობის საფუძველზე გაფორმდა 2015 წლის 21 აგვისტოს სესხის, იპოთეკის და ბინით სარგებლობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ნ. ზ-ის (იპოთეკარი) მიერ თ. ჩ-ძის-

თვის (მსესხებელი) მიცემული სესხის – 35 000 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად დაიტვირთა მ. დ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი. სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი დადგა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ამდენად, საქმის განხილვისას სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა სადავო ბინასთან მიმართებით კეთილსინდისიერი მფლობელისა (ნ. ზ-ის) და მესაკუთრის (მ. დ-ას) უფლებებს შორის უპირატეს უფლებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენით დადგენილი 2015 წლის 18 თებერვალს თ. ჩ-ძეზე გაცემული №150156759 მინდობილობის სიყალბის ფაქტი რელევანტურია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებულ იურიდიულ და ფაქტობრივ დასაბუთებასთან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 3 დეკემბრის განჩინებით მ. დ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა, რაზეც მხარემ შეიტანა კერძო საჩივარი, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა წარმოებაში.

10. დადგინდა, რომ ნოტარიუს ი. ხ-ის მიერ 2018 წლის 19 დეკემბერს წელს გაცემული №181532710 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებულია №18182945 სააღსრულებო წარმოება, სადაც კრედიტორია ნ. ზ-ლი. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობაა 129.67 ლარი და 35 000 აშშ დოლარი. ვალდებულების ნებაყოფილობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, თანხის ამოღების მიზნით, სარეალიზაციოდ მიექცევა იპოთეკის საგანი, რომელიც საკუთრების უფლებით აღრიცხულია მ. დ-ს სახელზე.

განმცხადებლის მოთხოვნა და საფუძვლები:

11. 2021 წლის 16 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მ. დ-ამ, რომლითაც მოითხოვა ნოტარიუს ი. ხ-ის მიერ 2018 წლის 19 დეკემბერს გაცემული №181532710 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული №18182945 სააღსრულებო წარმოების შეჩერება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა, შეჩერდა ნოტარიუს ი. ხ-ის მიერ 2018 წლის 19 დეკემბერს გაცემული №181532710 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება №18182945 მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. იმისთვის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იქნეს გამოყენებული, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და ასევე მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც განმცხადებელს მიზანშეწონილად და გამართლებულად მიაჩნია. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის – მოსარჩელისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას.

14. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზემოხსენებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველია ამ სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გართულება ან ასეთი აღსრულების შეუძლებლობა, იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გატარების აუცილებლობის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტი თავისი არსით ემსახურება მოსარჩელის უფლებების დაცვას და მისი გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. გარდა ამისა, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შე-

დეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფის დანიშნულებაა სასამართლოს მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალური და სრული შესრულების უზრუნველყოფა. პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე – მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, როცა კანონმდებელი უშვებს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულობას.

15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას, მაგალითად, საქმეში – შპს „ი.“ და მ-ძე საქართველოს წინააღმდეგ, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა იმას, რომ სასამართლოს საბოლოო, სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი ერთი მხარის საზიანოდ (იხ. ზემოაღნიშნული *Hornsby*, §40) სასამართლო იმეორებს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმდითი დარჩენილიყო. კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. *Burdov v. Russia*, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; *Hornsby v. Greece*, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40).

16. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე №ა-3811-ბ-9-2018 (31.01.2019წ), „საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვისას პირის უფლებადამცავ ნორმას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 432-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, საქმის განახლების შესახებ განცხადება ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილე-

ბის აღსრულებას. სასამართლოს შეუძლია თავისი განჩინებით დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანა იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს. მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო ტ. ე-ძის სახელზე, შესაბამისად, ხსენებული ნორმა, თეორიული თვალსაზრისით, ვერ მოახდენდა მ. გ-ძის უფლების დაცვას. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის შეფასება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის ფარგლებში.“

17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა გულისხმობს იმგვარ ღონისძიებათა მიღებას, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გარანტირებულს გახდის სასარჩელო მოთხოვნათა რეალიზაციას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოთხოვნა უნდა შეეხებოდეს თავად დავის საგანს და უნდა ემსახურებოდეს მოსარჩელის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების აღდგენას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხს სასამართლო წყვეტს სწორედ სასარჩელო მოთხოვნის ხასიათისა და შინაარსის გათვალისწინებით, ასევე იმ იურიდიული ინტერესის მხედველობაში მიღებით, რაც გააჩნია მოსარჩელეს სარჩელის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ განცხადების დაუკმაყოფილების შემთხვევაში, მოხდება მ. დ-ას საკუთრების უფლების რეალიზაცია და ფაქტობრივად აზრს დაკარგავს დავა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობისა და ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ.

18. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, სარჩელის უზრუნველყოფის არარსებობის პირობებში, განცხადების (გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ), ხოლო შემდგომ, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებას არ მოყვება რეალური შედეგი, ვინაიდან უძრავი ნივთი რეალიზებული იქნება აუქციონზე. აღნიშნულით კი გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება დადგეს მესაკუთრისათვის. შესაბამისად, ერთადერთი გზა განმცხადებლის უფლებების დასაცავად სწორედ სადავო ქონებაზე საპროცესო სამართლებრივი შეზღუდვის გამოყენებაა.

19. მოსარჩელის მოთხოვნების აღსრულების მიზნებისათვის

პროცედურული ღონისძიებების, მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ვალდებულებადაც აცხადებს. საქმეში JGK STATYBA LTD AND GUSELNIKOVAS v. LITHUANIA, 2013 სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ ყადაღის ბრძანება, რომელიც იყო დროებითი და პრევენციული ხასიათის, მიმართული იყო, რათა უზრუნველყო მოსარჩელის სარჩელის აღსრულება. მისი მიზანი იყო აღმოეფხვრა ის რისკები, რომლებიც აფერხებდა ან ხელს უშლიდა კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ სამართალწარმოების სათანადოდ განხორციელება. სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოს სასამართლო სამართალწარმოების სათანადოდ განხორციელება, მათ შორის, მოსარჩელის მოთხოვნების აღსრულება, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს. სასამართლო მიუთითებს, რომ ქონების დროებითი დაყადაღება, შეესაბამება საზოგადოების ინტერესს, თუ ის მონოდებულია უზრუნველყოს კრედიტორის დაკმაყოფილება.

20. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა, როდესაც სახეზეა მისი გამოყენებისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, უზღუდავს მხარეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას და ქმნის უფლების მხოლოდ დეკლარაციულ დონეზე აღიარების საფრთხეს, რითაც საბოლოოდ ხელყოფს მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს და არღვევს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებულ სამართალწარმოების ეფექტურობის ვალდებულებას. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღუსრულებლობისგან დაცვა წარმოადგენს ლეგიტიმურ საჯარო მიზანს და გამომდინარეობს ეფექტური მართლმსაჯულების კონსტიტუციური უფლებიდან. მართლმსაჯულება ჯეროვნად ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო დავაში წარმატებულ მხარეს პრაქტიკულად და ხელშესახებად ეძლევა სასამართლო გადაწყვეტილების ფურცლებზე დეკლარირებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა.

21. სააპელაციო პალატამ უზრუნველყოფის შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობის შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ შუამდგომლობა აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებები საკმარისი საფუძველია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ემსახურება არა მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილე-

ბის აღსრულებას, არამედ იმ მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებასაც, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის გამოუყენებლობით მხარეს (მოსარჩელეს) შეიძლება მიადგეს.

საჩივრის ავტორის მოთხოვნა:

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. ზ-მა შეიტანა საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

23. საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ შუამდგომლობა განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რის თაობაზეც შუამდგომლობის ავტორს ეცნობა წინა დღით ისე, რომ არ მიეწოდათ საქმის მასალები. ამდენად, საჩივრის ავტორს არ მიეცა შესაძლებლობა, წინასწარ გაცნობოდა მასალებს, რაც იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ზეპირი განხილვა ფორმალურად იქნა ჩანიშნული. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება №2/239071-2016 საქმეზე არ ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მინდობილობა იყო გაყალბებული. მეტიც, საჩივრის ავტორის მკაფიო პოზიცია ყოველთვის ეფუძნება იმას, რომ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, იყო მინდობილობა გაყალბებული თუ არა, რაც გაიზიარა კიდევ სასამართლომ და ასახა გადაწყვეტილებაში. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენი, არ შეიძლება განხილულ იქნეს ახლად აღმოჩენილ გარემოებად და მტკიცებულებად, რომელიც აკმაყოფილებს საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, იმისათვის რომ გაუქმდეს გადაწყვეტილება და განახლდეს საქმის წარმოება, რაც მნიშვნელოვანია იმაზე მსჯელობისას, უნდა გამოეყენებინა თუ არა სააპელაციო სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიება.

24. სააპელაციო სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენა განცხადებაზე და არა სარჩელზე, იხელმძღვანელა სსკ-ის 191-ე-199-ე მუხლებით და გვერდი აუარა ამავე კოდექსის 432-ე მუხლის დანაწესს, რითაც კიდევ ერთხელ უხეშად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა.

25. საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა რიგი გარემოებები, რამაც გამოიწვია უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინების მიღება, კერძოდ: 1. შუამდგომლობის ავტორი ითხოვდა სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერებას, ხოლო სასამართლომ თავისი ინიციატივით მიიღო განჩინება სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ. სააღსრულებო წარმოება მოიცავს აღსრულების ყველა ეტაპს, მათ შორის, ქონების აუქციონზე რეალიზაციის შემდეგ პროცედურებსაც, მაგ: განკარგულების გაცემა, თანხის ჩარიცხვა და ა. შ. მაშინ, როდესაც სააღსრულებო ფურცელი ასრულებს მოქმედებას

იძულებითი აუქციონის წარმატებით დასრულების შემდეგ. ამ შემთხვევაში, იძულებითი აუქციონი დასრულდა წარმატებით, ანუ აუქციონზე დაფიქსირდა ბიჯი და ქონება გაიყიდა. ამ ფაქტის შემდეგ იქნა წარდგენილი სასამართლოს განჩინება აღსრულების ეროვნულ ბიუროში და აღსრულების პროცესის გაჩერება გამოიწვია სწორედ იმან, რომ სასამართლომ თავისი ინიციატივით მოახდინა შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნის ტრანსფორმაცია სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერებიდან სააღსრულებო წარმოების შეჩერებაზე, რითაც უხეშად დაარღვია საპროცესო კანონდებლობა, შეჯიბრებითობის პრინციპი, პროცესში მხარეთა თანასწორობა და ა. შ; 2. შუამდგომლობის ავტორის მიერ გასაჩივრებული არ ყოფილა სააღსრულებო ფურცელი, სანოტარო მოქმედება ან/და აღმასრულებლის რაიმე მოქმედება, არც აუქციონის დანიშვნის გადაწყვეტილება. ამდენად, გასაჩივრებული არ ყოფილა ის დოკუმენტი, რომელის საფუძველზეც მიმდინარეობდა აღსრულება; 3. გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის არც ერთი წინადადება, რომელიც ასახავდა საჩივრის ავტორის პოზიციას და სამართლებრივ არგუმენტს; 4. განჩინებაში მითითებულია, რომ სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე მიიჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაეკმაყოფილებულიყო, თუმცა სამწუხაროა, რომ სასამართლო ამ დასკვნამდე მივიდა შეჯიბრებითობის და პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპის უხეშად დარღვევით.

26. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართ პრეზუმირებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს, სანამ გაუქმების მსურველი მხარე ამას სარწმუნოდ არ დაასაბუთებს. თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული „პრეზუმფცია“ შეაბრუნა, როდესაც დააკმაყოფილა უზრუნველყოფის ღონისძიება, რადგან ასეთი ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო ასევე აფასებს იმასაც, თუ რამდენად სავარაუდოა წარმოების განახლების შესაძლებლობა. სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღების მიღმა დატოვა და არ იმსჯელა იმაზე, თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს განჩინებით კეთილსინდისიერ იპოთეკარ ნ. ზ-ს.

27. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სსსკ-ის 432-ე მუხლის შინაარსზე. განმცხადებელს არ წარმოუდგენია არანაირი გარანტია და, მხარის მითითების მიუხედავად, სასამართლოს აღნიშნულზე არ უმსჯელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლომ რამდენჯერმე სცადა განმცხადებლისაგან მიეღო დაზუსტებული პოზიცია, რა სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა, იყო საუბარი სარჩელის უზრუნველყოფა-

ზე და აპელირებდა სსსკ-ის 191-ე-199-ე მუხლების გამოყენებაზე, თუ ითხოვდა ამავე კოდექსის 432-ე მუხლის გამოყენებას, რაზეც დაზუსტებული პასუხი ვერ მიიღო, თუმცა საბოლოოდ, განმცხადებლის მიერ დაშვებული შეცდომები განჩინებით გასწორდა. სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღების მიღმა დატოვა ფაქტი, რომ საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელზეც უთითებს განმცხადებელი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და, შესაბამისად, დაუშვებელია ამ ნორმის საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება. სასამართლომ არ გაითვალისწინა და არც დასაბუთებულ განჩინებაში წარადგინა პოზიცია, თუ რატომ არ გაითვალისწინა „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (საალსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება. იმის თაობაზე, რომ იძულებითი აუქციონი უკვე მიმდინარეობდა, უტყუარად იყო ცნობილი სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

28. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის განჩინებით ნ. ზ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

29. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე №ა-3811-ბ-9-2018 (31.01.2019წ) და კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. დ-ას სარჩელი. აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით კი საქმე სასამართლოს წარმოებაშია. ამდენად, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 432-ე მუხლი ვერ უზრუნველყოფდა მოსარჩელის (განმცხადებლის, კერძო საჩივრის ავტორის) უფლების დაცვას, შესაბამისად, მ. დ-ას შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 191-ე-199-ე მუხლებით და დაკმაყოფილა შუამდგომლობა, ვინაიდან მიიჩნია, რომ აღნიშნული წარმოდგენდა კრედიტორის ინტერესის დაცვის ეფექტურ საშუალებას.

30. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, რამდენად იყო სავარაუდო საქმის წარმოების განახლება. კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საქმის წარ-

მოების განახლების შესახებ ემყარება კანონიერ ძალაში შესულ განჩინებას. შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო დაემყარა ვარაუდს, რომ შესაძლოა განახლდეს საქმის წარმოება და სარჩელი დაკმაყოფილდეს. მოცემული ნორმის (სსსკ-ის 191-ე მუხლი) დანაწესიდან არ გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ეტაპზე შემონმდეს სარჩელის (განცხადების) საფუძვლიანობა. სასამართლო შუამდგომლობის განხილვისას მოქმედებს ვარაუდის ფარგლებში. სასამართლოს ვარაუდი, სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების შესახებ, უნდა ემყარებოდეს არა მტკიცებულებათა კვლევას, არამედ შემონმებას, რამდენად აქვს მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მსჯელობისას, სასამართლო არ იკვლევს სარჩელის საფუძვლიანობას და მის დასაბუთებულობას, არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ შესაძლოა, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 05 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-16-354-09). ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების შესახებ ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც, სააპელაციო პალატამ მიუთითა უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომლის თანახმად, „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგია ის, რომ იგი სავალდებულოა, მას აქვს მაღალი ლეგიტიმაცია და სანდოობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას, მათ შორისაა სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული ნორმის კონსტიტუციურობა არ დამდგარა ეჭვქვეშ, არამედ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რაც ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა თუ მტკიცებულების არსებობისა და მისი საფუძვლიანობის შემთხვევაში „აპრიორი“ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას იწვევდა, მიუხედავად იმისა შეიცვლებოდა თუ არა გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით

დადგენილი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება უნდა დაეფუძნოს სასამართლოს მიერ გამოკვლეულ იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულ დავას თუნდაც ნაწილობრივ, მაგრამ სხვაგვარად მოაწესრიგებს. საკონსტიტუციო სასამართლო ამ გადაწყვეტილებით მიზნად ისახავს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებით არ დაზიანდეს და საფრთხე არ შეექმნას სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ საზოგადოებაში არსებულ მაღალ ნდობას (სუსგ №ა-5539-ა-7-2020. 21/10/2020).

31. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70.1 მუხლით, რომლის თანახმად, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა (არც საჩივარს ერთვის შესაბამისი მტკიცებულება).

32. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობის ავტორმა დაასაბუთა უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მოთხოვნის წარმატებულობა, რის საფუძველზეც პალატამ გაიზიარა შუამდგომლობის ავტორის მტკიცება უზრუნველყოფის აუცილებლობის თაობაზე და დააკმაყოფილა იგი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს სათანადო საფუძველი, რათა მიჩნეულ იქნეს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არ შეესაბამება სარჩელის მიზნებს და სხვაგვარად შეიძლება კრედიტორის ინტერესების დაცვა.

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გაეგზავნოს ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

სამოტივაციო ნაწილი:

34. საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

35. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე მოსარჩელის მიერ შეტანილი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო წარმოების შერეების კანონიერება.

36. მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მ. დ-ას სარჩელი ნ. ზ-ისა და თ. ჩ-ძის მიმართ უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის, ასევე, სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სადავო ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

37. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქალაქო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

38. განცხადება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 12 სექტემბრის განაჩენით დადგინდა ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობაც გამოიწვევდა მ. დ-ას სარჩელის დაკმაყოფილებას. კერძოდ, დადგინდა მ. დ-ას სახელით თ. ჩ-ძის სახელზე 2015 წლის 18 თებერვალს გაცემული №150156759 მინდობილობის სიყალბე.

39. მითითებული განცხადება პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა და ამჟამად დასახლებული განჩინების კანონიერების საკითხი მოსარჩელის კერძო საჩივრის საფუძველზე იხილება სააპელაციო პალატის მიერ.

40. საჩივრის ავტორის პრეტენზია ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო პალატამ გვერდი აუარა სსსკ-ის 432-ე მუხლის დანაწესს (საქმის განახლების შესახებ განცხადება ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს შეუძ-

ლია თავისი განჩინებით დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანა იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს), მოსარჩელის მოთხოვნა შეაფასა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების უზრუნველყოფის მოთხოვნად და იხელმძღვანელა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მარეგულირებელი ნორმებით.

41. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ის 432-ე მუხლი ვერ უზრუნველყოფს მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვას, შესაბამისად, ასეთ პირობებში მართებულია სსსკ-ის 425-ე მუხლის გამოყენება, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

42. სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებ-

ლობის შესახებ.

43. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

44. ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვესტირდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

45. სარჩელისა თუ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს.

46. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი ნესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში პოვებს გამოხატულებას. (იხ. შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3.). როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ არ მოხდება გადაწყვეტილების აღსრულება.

47. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და განმარტავს,

რომ „სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების შემდგომით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება“ (იხ „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №40765/02; *Burdov v. Russia*, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; *Hornsby v. Greece*, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 Hornsby; *Mutishev and Others v. Bulgaria*, 18967/03, §129, 3 December 2009; *Antonetto v. Italy*, no. 15918/89, §28, 20 July 2000).“

48. „მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდიდესი მნიშვნელობისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/2/466.). „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაღებ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №3/1/512.).

49. სასამართლო ამონმებს მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება მომავალი, მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე (შდრ. *Beck'sche Kurz-Kommentare Band1, Zivilprozessordnung mit Gerichtsverfassungsgesetz und anderen Nebengesetzen. Begründet von Dr. Adolf Baumbach, Professor Dr. Wolfgang Lauterbach, Dr. Jan Albers, Dr. Dr. Peter Hartmann. Verlag C.H. Beck, München 2003, 2375.*).

50. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო არსებითად არ განიხილავს დავის დასრულების პერსპექტივას და საუბარია მხოლოდ სავარაუდო შედეგის განსაზღვრაზე. ასეთ დროს მნიშვნელოვანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რაც ამა თუ იმ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით შეიძლება დადგეს.

51. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილი უფლების სასამართლო წესით დაცვის

პრინციპი თავის თავში მოაიზრებს არა მხარის ფორმალურ უფლებას, მიმართოს სასამართლოს, არამედ წარმოადგენს მართლმსაჯულების აქტით, დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის იმგვარ რეალურ გარანტიას, რასაც შესაბამისი შედეგი უნდა მოჰყვეს. სასამართლო გადაწყვეტილების უმთავრესი ფუნქცია ამ გადაწყვეტილებით დადგენილი მართლმსაჯულების სისრულეში მოყვანა და ამ გზით მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლმსაჯულების როლი ფორმალური გახდება. თავის მხრივ, სასამართლო ვალდებულია, გადანწყვეტილების გამოტანისას შეფასება მისცეს იმ საკითხსაც, ობიექტურად რამდენად შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად წარმართვა.

52. მოცემულ საქმეზე სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ სადავო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმით, სამომავლოდ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებას არ მოჰყვება რეალური შედეგი, ვინაიდან უძრავი ნივთი რეალიზებულ იქნება აუქციონზე, რამაც გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება მიაყენოს მესაკუთრეს. შესაბამისად, ერთადერთი გზა განმცხადებლის უფლებების დასაცავად სწორედ სადავო ქონებაზე საპროცესო სამართლებრივი შეზღუდვის გამოყენებაა.

53. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი საჩივარი არ შეიცავს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივ წინაპირობებს. ასეთად ვერ შეფასდება საჩივრის ავტორის მითითება ვერც საქმის განხილვის შესახებ მისთვის დროულად შეუტყობინებლობის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესის თაობაზე. შესაბამისად, საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ზ-ი საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-919-2021

06 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: რ. ნადარაია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე,
ლ. ქორიაშვილი

დავის საგანი: საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2021 წლის 25 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა სს მისო „ე. კ-მა“ (შემდეგში: საარბიტრაჟო მოსარჩელემ) და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 356¹⁸-ე მუხლის თანახმად საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. განმცხადებლის განმარტებით, 2017 წლის 5 დეკემბერს შპს მისო „ე. კ-სა“ და უ. კ-ძეს შორის დაიდო გენერალური ხელშეკრულება საკრედიტო ხაზისა და გირავნობის შესახებ №DLE17026739, რომლის საფუძველზეც 2017 წლის 5 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმდა საკრედიტო შეთანხმება №DLE17026739 და მსესხებელს – უ. კ-ძეს გადაეცა სესხის სახით 13 423 ლარი. სესხის უზრუნველსაყოფად რეგისტრირებული გირავნობით დაიტვირთა ავტომობილი შემდეგი ტექნიკური მონაცემებით: მარკა/მოდელი: HONDA FIT HYBRID, სარეგისტრაციო ნომერი: ..., ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №... საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, მსესხებელმა იკისრა ვალდებულება, გადაეხადა სესხი საკრედიტო შეთანხმებაზე თანდართული გადახდის გრაფიკის შესაბამისად, სესხზე წლიური 60.0912%-ის ოდენობით სარგებლის დარიცხვის პირობით. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, შპს მისო „ე. კ-სა“ და ი. ი-ს შორის 2017 წლის 5 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება სოლიდარული თავდებობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, თავდებმა სოლიდარულად იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის მიერ ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, როგორც სესხის ძირითადი თანხის, ასევე სარგებლის, პირგასამტეხლოს და სხვა

დამატებითი ხარჯების ნაწილში. ვინაიდან, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა არ იყო საკმარისი ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მოპასუხეებს საარბიტრაჟო მოსარჩელის მიმართ კვლავ ერიცხებათ დავალიანება.

2. განმცხადებლის მითითებით, ვინაიდან, მოპასუხე ნებაყოფლობით არ ასრულებს ვალდებულებას, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ი. ი-ის მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთს გაასხვიებს ან/და იპოთეკით დატვირთავს კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღებამდე და აღარ იარსებებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა. განმცხადებელი ითხოვდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹⁸-ე მუხლის შესაბამისად, ი. ი-ისათვის, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე: ქ. თბილისში, ..., „ე-ა“, საკადასტრო კოდი: ... რაიმე სახის განკარგვის აკრძალვას (გასხვისება ან/და იპოთეკით დატვირთვა).

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ივნისის განჩინებით სს მისო „ე. კ-ის“ განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ი. ი-ს აკრძალვა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ... „ე-ა“ ს/კ ... გასხვისება.

4. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის დავის საგანი დავალიანების დაფარვა 4 444.29 ლარის ოდენობით. დავალიანების გადახდაზე პასუხისმგებელნი იყვნენ მსესხებელი უ. კ-დე და თავადები ი. ი-ი. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის საგანი საჭიროებდა დაცვას და მოვალის მიერ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში, კრედიტორი ვერ განახორციელებდა საკრედიტო ხელშეკრულებით გაცემული თანხის დაბრუნებას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საკმარისი იყო, ი. ი-ს აკრძალვოდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება, ხოლო უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა, მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე, არ მიიჩნია მიზანშეწონილად.

5. ზემოსხენებულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა ი. ი-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი დიდია და თვითონაც აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას საპროცენტო განაკვეთის გონივრულ ფარგლებში შემცირების მოთხოვნით, შესაბამისად, შესაძლოა საარბიტრაჟო სარჩელი არ დაკმაყოფილდეს და გაუმართლებელი აღმოჩნდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. საჩივარში ასევე მითითებულია, რომ განმცხადებელს არ წარ-

მოუდგენია აუდიტის დასკვნა, თუ რა ღირებულების ქონებაზე ითხოვდა ყადაღის დადებას 4 444.29 ლარის უზრუნველსაყოფად, ხოლო უძრავი ქონების ღირებულება იმდენად აღემატება აღნიშნული თანხის ოდენობას, რომ სათანადო გარანტიის გარეშე სასამართლოს არ უნდა დაექმაცოფილებინა შუამდგომლობა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 6 სექტემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

7. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართებულად გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება, ამასთან, გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მხოლოდ მინიმალური დოზით ზღუდავს მოვალე მესაკუთრის უფლებას, ვინაიდან, უკრძალავს უძრავი ქონების მხოლოდ გასხვისებას და სხვა სანივთოსამართლებრივი უფლებები არ იზღუდება. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას, საპროცენტო განაკვეთის ოდენობის შესახებ, პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული გარემოებები საქმის არსებითი განხილვის დროს უნდა დადგინდეს და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე არ ხდება მათი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ გამოყენებული უზრუნველყოფა მიიჩნია ადეკვატურ და თანაზომიერ საშუალებად და მიუთითა, რომ უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსიდან გამომდინარე, გამოყენებული უზრუნველყოფის სახის დავის საგანთან ადეკვატურობა არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ სარჩელი საერთოდ უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე დარჩეს.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო სასამართლო მოსარჩელის საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

9. სსსკ-ის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამავე კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

10. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტით, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება სსსკ-ის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხ-

ლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

11. სსსკ-ის 356¹⁸-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები.

12. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი საკრედიტო ხაზისა და გირავნობის შესახებ ხელშეკრულებით, ასევე თავდებობის შესახებ ხელშეკრულებით ირკვევა, რომ დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეები შეთანხმდნენ კერძო არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვაზე. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ აღძრულია საარბიტრაჟო სარჩელი.

13. სსსკ-ის 356¹³-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 ნაწილისა და სსსკ-ის 197¹-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე წარდგენილი საჩივარი ექვემდებარება საკასაციო სასამართლოს მიერ განხილვას სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტისათვის დადგენილი წესების შესაბამისად (სუსგ №ას-970-2019, 19.07.2019წ.).

14. სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

15. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყე-

ნებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. ამიტომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ყოველთვის უნდა შეაფასოს, სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.

16. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, ვინაიდან მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

17. ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვესტირდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

18. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დამაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე.

19. მოცემული საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2017 წლის 5

დეკემბერს განმცხადებელსა და თავდებ ფიზიკურ პირს შორის დაიდო ხელშეკრულება სოლიდარული თავდებობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, თავდებმა სოლიდარულად იკისრა პასუხისმგებლობა მსესხებლის მიერ ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, როგორც სესხის ძირითადი თანხის, ასევე სარგებლის, პირგასამტეხლოს და სხვა დამატებითი ხარჯების ნაწილში (2017 წლის 5 დეკემბრის სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლი). განმცხადებელი მიუთითებდა, რომ შესასრულებელი ვალდებულების მოცულობა შეადგენდა 4 444.29 ლარს, რომლის უზრუნველსაყოფადაც სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

20. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიება მართლზომიერია. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედი მტკიცების სტანდარტის შესაბამისად, საჩივრის ავტორმა ვერ დაასაბუთა, რომ არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც სადავო აკრძალვის უკანონობას დაადასტურებს.

21. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი დიდია და თვითონაც აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას საპროცენტო განაკვეთის გონივრულ ფარგლებში შემცირების მოთხოვნით, შესაბამისად, შესაძლოა საარბიტრაჟო სარჩელი არ დაკმაყოფილდეს და გაუმართლებელი აღმოჩნდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა მიუთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობის დროს სასამართლო არ იკვლევს სარჩელის საფუძვლიანობასა და მის დასაბუთებულობას, მხოლოდ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ შესაძლოა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის დავის საგანია თანხის დაკისრება. ასეთი სარჩელი კი არის მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებითი სარჩელი. ეს ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე, არამედ – ასევე მოპასუხის ნებაზე – განახორციელოს გარკვეული მოქმედება, გადაიხადოს დაკისრებული თანხა. თანხის გადახდის თაობაზე ნების არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება. სასამარ-

თლო განმარტავს, რომ ვინაიდან შეუზღუდავია მესაკუთრის ნება, განახორციელოს საკუთარი ქონების მიმართ სამართლებრივი შედეგის მქონე მოქმედებები, მაგალითად გაყიდვა, გაჩუქება და სხვა, მოცემულ შემთხვევაში არ არის უსაფუძვლო, რომ თავდებმა ფიზიკურმა პირმა, სხვადასხვა მოტივით, განახორციელოს მითითებული მოქმედებები და უძრავი ქონება აღმოჩნდეს მესამე პირთა, შესაძლო კეთილსინდისიერ პირთა მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში, თუკი გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს ქონება, რომელზედაც შესაძლოა მიქცეული იქნეს იძულებითი აღსრულება, გადანყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადანყვეტილებად, ხოლო სარჩელის მიზანი მიღწეული ვერ იქნება. შესაბამისად, განცხადება შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, გადანყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის თაობაზე.

22. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია აუდიტის დასკვნა, თუ რა ღირებულების ქონებაზე ითხოვდა ყადაღის დადებას 4 444.29 ლარის უზრუნველსაყოფად, ხოლო უძრავი ქონების ღირებულება იმდენად აღემატება აღნიშნული თანხის ოდენობას, რომ სათანადო გარანტიის გარეშე სასამართლოს არ უნდა დაექმაცყოფილებინა შუამდგომლობა, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება მართლზომიერების შესახებ, მითუმეტეს, რომ სააპელაციო სასამართლომ საკმარისად მიიჩნია მხოლოდ გასხვისების აკრძალვა, ხოლო უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა, სწორედ მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე, არ დააკმაყოფილა.

23. ამასთან, სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მონინაალმდევე მხარის განცხადების საფუძველზე.

24. ამდენად, კანონმდებელი უშვებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას როგორც სასამართლოს, ისე მხარის ინიციატივითაც.

25. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სსსკ-

ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის სასამართლოს ინიციატივით გამოყენების საფუძველი, ხოლო მხარის დასაბუთებული შუამდგომლობა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ, წარდგენილი არ ყოფილა.

26. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებისა და ამ ინსტიტუტის დანიშნულებაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს, რაც ასახულია წინამდებარე განჩინებაში, სავსებით იზიარებს საკასაციო სასამართლო და დამატებით აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი მსჯელობა უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას შეესაბამება (იხ. სუსკ: №ას-54-2019, 06.06.19წ.).

27. ამდენად, წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 197¹.4, 264.3, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ი-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-678-2021

14 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „გ-იმ“ (შემდეგში: მოსარჩელე), 2018 წლის 3 მაისს, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შპს „ვ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი ან საჩივრის ავტორი) წინააღმდეგ თანხის 135 650 ლარის დაკისრების მოთხოვნით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით კი, მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებებზე ყადაღის დადება მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2018 წლის 04 მაისის განჩინებით მოპასუხეს ორი ერთეული უ. ქ., მდებარე: 1) მცხეთა, სოფელი ..., ს/კ №... და 2) მცხეთა, სოფელი ..., ს/კ №... გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა აეკრძალა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 56 332,99 ლარის გადახდა დაეკისრა.

4. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

5. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადებით მიმართა მოპასუხემ და გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების საგნის ნაწილობრივ შეცვლა მოითხოვა. კერძოდ, მოპასუხის კანონიერი ინტერესების შელახვისა და მისთვის უსაფუძ-

ვლო, განუზომლად დიდი მატერიალური ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, საჩივრის ავტორი ითხოვს შეიცვალოს უკვე მოქმედი უზრუნველყოფის ღონისძიება, გათავისუფლდეს გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვიდან უძრავი ქონება ს/კოდით №... მის ნაცვლად გამოყენებული იქნეს უფრო მყარი უზრუნველყოფის მოთხოვნა და ყადაღა დაედოს მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ს/კოდით №..., რომლის ღირებულება დასკვნის შესაბამისად 867 000 ლარს შეადგენს.

6. სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 იანვრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოპასუხემ 2021 წლის 9 თებერვალს საჩივრით მიმართა სასამართლოს და წინამდებარე განჩინების გაუქმება მოითხოვა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 მარტის განჩინებით მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმესთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი ქონების შეფასების თაობაზე დასკვნის მიხედვით, ქონების ღირებულება ე-ს გამოყვანილი აქვს შედარების მეთოდის გამოყენებით, რა დროსაც შესაფასებელი ქონების ღირებულება შედარებულია თბილისში აეროპორტის დასახლებაში, ვარკეთილსა და დიდ დილოში მდებარე მიწის ნაკვეთების ღირებულებასთან. სასამართლოს შეფასებით, ქონების საბაზრო ღირებულების დასადგენად შედარების მეთოდის გამოყენებით ე-მა ანალოგიური და მსგავსი სახის ქონების ყიდვა-გაყიდვის საბაზრო ინფორმაციით უნდა იხელმძღვანელოს. შეუძლებელია შედარების მეთოდის გამოყენებისას სოფელ ... მდებარე უ. ქ. ფასის დადგენა თბილისში მდებარე უძრავი ქონებებთან შედარებით, როდესაც აშკარად დიდი განსხვავებაა მუხრანსა და თბილისში არსებული უ. ქ. ფასებს შორის და ეს გარემოება სადავო არ გამხდარა. უზრუნველყოფის საგნის ღირებულების დამტკიცება და სასამართლოსათვის იმ შეუსაბამობის დამტკიცება, რაც მოთხოვნასა და გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას შორის შეიძლება არსებობდეს, საჩივრის ავტორის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. საჩივარი კი ამგვარ მტკიცებას არ შეიცავს.

9. დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 2 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო 2021 წლის 8 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

10. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 23 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

12. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია სააპელაციო სასამართლოს იმ განჩინების კანონიერების შემოწმება, რომლითაც მოპასუხეს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლაზე.

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

14. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის

ფის ღონისძიების გამოყენების მიზანი საქმეზე საბოლოო გადან-
ყვეტილების აღსრულების ხელშეწყობაა. ამასთან, მხარემ სარწმუ-
ნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ ღო-
ნისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას
რწმენა, კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე, სარჩელის უზ-
რუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების
დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ სარ-
ჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი
უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კა-
ნონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბა-
მისად, ზოგადად სარჩელის უზრუნველყოფისა და, მათ შორის, მი-
სი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადანყვეტისას და
ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში
შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვა-
რაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გა-
რეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულება საქ-
მის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადანყვეტილების აღ-
სრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ღო-
ნისძიების გატარების შედეგად დაცული უნდა იყოს სსსკ-ის მე-5
მუხლით განსაზღვრული მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

15. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კა-
ნონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერ-
სპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარ-
ჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ
ბედზე გავლენას ვერ მოახდენს.

16. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია,
რომ მოსარჩელემ სარჩელით და მისი უზრუნველყოფის შესახებ
განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოპასუხის უძრავ ქონე-
ბებზე ყადაღის დადება მოითხოვა, რაც საქალაქო სასამართლოს
2018 წლის 4 მაისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მო-
პასუხეს უძრავი ქონებების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა
აეკრძალა.

17. საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას მოპასუ-
ხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს გამოყენებული უზ-
რუნველყოფის ღონისძიების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე (იხ.
წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი).

18. საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე საკასაციო სასამარ-
თლო ამომნებს რამდენად საფუძვლიანია მოპასუხის მიერ წარდგე-
ნილი შუამდგომლობა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძი-
ების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე, ხომ არ შეუშლის ხელს მოთ-
ხოვნილი ცვლილების განხორციელება მიღებული გადანყვეტილე-

ბის აღსრულებას ან მისი განუხორციელებლობით მიადგება თუ არა ზიანი მხარის კანონიერ ინტერესებს.

19. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოპასუხის პოზიციას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცვლილების საფუძვლიანობის თაობაზე და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებული მსჯელობა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტი) გაუმართლებლად ზღუდავს და ზიანს აყენებს მხარის კანონიერ ინტერესებს. სასამართლოს განსჯით უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება სასარჩელო მოთხოვნის არაადეკვატურია და მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის და პროპორციულობის პრინციპს არღვევს.

20. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას თანაზომიერების პრინციპი უნდა იყოს დაცული. კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და არ უნდა იკვეთებოდეს აშკარა შეუსაბამობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს ვერ გაამართლებს.

21. სასამართლო, ყურადღებას მიაქცევს სსსკ-ის 196-ე მუხლს, რომლის თანახმად, მხარეთა თხოვნით, დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე.

22. დასახელებული ნორმა ადგენს საპროცესო სუბიექტთა უფლებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვონ უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების შეცვლა სხვა ღონისძიებით.

23. ასეთი ცვლილების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილად დაცვასა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაში მდგომარეობს. უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებია, რადგან სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე, ამასთან, სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად, მხარე თავად წყვეტს, თუ როდის მოითხოვოს აღნიშნული ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ და, მიუხედავად იმისა, ადგება

თუ არა მას ზიანი უზრუნველყოფის თავდაპირველი ღონისძიების დაწესების ეტაპზევე, მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება ენიჭება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, როდესაც მიიჩნევს ამას საჭიროდ (იხ. სუსგ საქმე №ას-1113-1033-2017, 24 ოქტომბერი, 2019წელი).

24. სსსკ-ის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელის მსგავსად, მოპასუხესაც შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადებით, მაგრამ მოპასუხის მიერ შეთავაზებული უზრუნველყოფის სხვა (მეორე) ღონისძიება უნდა უზრუნველყოფდეს გადაწყვეტილების აღსრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე დაემუქრება მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ „მითითებული ნორმით გათვალისწინებული შესაძლებლობა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მოწინააღმდეგე მხარის კანონიერ ინტერესებს“ (იხ. სუსგ-ები: საქმე №ას-1165-1095-2015, 25 ნოემბერი, 2015წელი; საქმე №ას-454-438-2016, 19 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-481-2019, 15 ოქტომბერი, 2020 წელი).

25. დადგენილია, რომ წინამდებარე სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს მხოლოდ 56 332.99 ლარის გადახდა დაეკისრა. საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის განჩინებით. ამასთან სასამართლოს 2021 წლის 2 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 191-ე მუხლის შესაბამისად, მიღებულია წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

26. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს შპს „უ. ქ. ე. ის“ მიერ 2020 წლის 26 დეკემბერს გაცემული უ. ქ. შეფასების დასკვნას, რომლითაც შეფასდა მოპასუხის სახელზე რიცხული უძრავი ქონება (ს/კ ...). წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, ზემოაღნიშნული უ. ქ. საბაზრო ღირებულება 867 000 ლარს შეადგენს. სწორედ აღნიშნული ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა აუკრძალა სასამართლომ მოპასუხეს მისსავე საკუთრებაში არსებულ სხვა უძრავ ქონებასთან (ს/კ №...) ერთად.

27. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს სადავო გარემოებათა მტკიცების გარ-

კვეულ სტანდარტს, კერძოდ, 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

28. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ გარემოების დადასტურება, რომ სარჩელის უზრუნველსაყოფად უკვე გამოყენებული ღონისძიება მას ზიანს აყენებდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ აღნიშნული საპროცესო მოვალეობა შეასრულა. იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ ორი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით/განჩინებით მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ გადასახდელი აქვს ჯამში – 56 332.99 ლარი, ხოლო საკასაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება/განჩინებით დაკისრებული თანხის მოპასუხის საუარესოდ შებრუნება დაუშვებელია, ამასთან, შეფასებული უ. ქ. ღირებულება გაცილებით აღემატება დაკისრებული თანხას, მხოლოდ ერთ უძრავ ქონებაზე (ს/კოდით ...) ყადაღის გამოყენება სრულად საკმარისია დაკმაყოფილებული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად და მისი განხორციელებით ადეკვატურად იქნება დაცული ორივე მხარის ინტერესი. აგრეთვე დაცული იქნება სასარჩელო მოთხოვნა სრულად ან ნაწილობრივ აღუსრულებლობისაგან.

29. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, გამოვლენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 იანვრისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 მაისის განჩინებების გაუქმებისა და საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 194-ე, 196-ე, 199-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ვ-ის“ საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის განჩინების გაუქმების თაობაზე, დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 იანვრის განჩინება;

3. შპს „ვ-ის“ განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ, დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხე შპს „ვ-ს“ (ს/ნ ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული უ. ქ. მდებარე: მცხეთა, სოფელი ..., ს/კ №... და მცხეთა, სოფელი ..., ს/კ №... გასხვისება და – იპოთეკით დატვირთვა;

5. ყადაღა დაედოს შპს „ვ-ის“ (ს/ნ ...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე: მცხეთა, სოფელი ..., ს/კ №...

6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სასამართლოს მთავარი სსდომა

სასამართლოში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1782-2018

25 იანვარი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
თ. ზამბახიძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ბ. რ-კამ“ (შემდგომში – „თავდაპირველი მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ნ-კ-ვას (შემდგომში – „მოპასუხე“, „საჩივრის ავტორი“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთების, მდებარე: თბილისი, ... ქ. №18, ბინა №50, ს.კ. ... და ბინა №33, ს.კ. ... (შემდგომში ერთობლივად – „სადავო უძრავი ნივთები“) გამოთხოვა და თავდაპირველი მოსარჩელისთვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მათი გადაცემა.

2. თავდაპირველი მოსარჩელის განმარტებით, სადავო უძრავი ნივთები მის საკუთრებაში ირიცხება. ისინი რეალურად ერთიან საცხოვრებელ ბინას შეადგენენ, რომელიც ყოფილი მესაკუთრის, მოპასუხის უკანონო მფლობელობაშია. იგი ნებაყოფლობით არ ათავისუფლებს უძრავ ქონებას და იქ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრობს.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 დეკემბრის ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებით თავდაპირველი მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს „თ. ბ-ი“ (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „ბანკი“).

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 07 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; დადგინდა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან სადავო უძრავი ნივთების გამოთხოვა და მოსარ-

ჩელისთვის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა.

6. საქალაქო სასამართლოს მითითებით, 2018 წლის 07 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე არ გამოცხადდა, ხოლო მისი შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამასთან, მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

7. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (მოსარჩელე არის სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე, ხოლო მოპასუხე აღნიშნულ ქონებას უკანონოდ ფლობს) დამტკიცებულად ჩათვალა.

8. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-ე, 170-ე, 172-ე, 311-ე-312-ე მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებდა მოსარჩელის მოთხოვნას, რაც სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენდა.

9. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ წარადგინა საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

10. საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ უკანონოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევით, არ გაითვალისწინა მის მიერ სასამართლოში წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაცია, შპს „თ. №... ს. მ. ც-ის“ მიერ 07.02.2018წ. გაცემული ფორმა №IV-100/ა, №588, საიდანაც ნათლად ჩანს მოპასუხის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც წარმოადგენდა პროცესზე მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 მარტის განჩინებით მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 07 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

12. საქალაქო სასამართლოს მითითებით, 2017 წლის 07 დეკემბერს ჩანიშნული სასამართლო სხდომა გადაიდო 2018 წლის 07 თებერვალს მხარეთა მორიგების მიზნით. 2018 წლის 07 თებერვლის სხდომაზე მოპასუხე არ გამოცხადდა, მან მიმართა შპს „თ. №... ს.მ. ც-ს“. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის თანახმად, მოპასუხეს აღენიშნებოდა მწვავე რესპირატორული დაავადება. საჩივარს ერთვის განმეორებით გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელშიც, ასევე, მითითებულია დიაგ-

ნოზი – მწვავე რესპირატორული დაავადება, პაციენტი იმყოფებოდა ამბულატორიულად შპს „თ. №... ს.მ. ც-ში“.

13. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, არც საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილ 2018 წლის 07 თებერვალს გაცემულ ცნობაში და არც შპს „თ. №... ს.მ. ც-ის“ მიერ იმავე თარიღითა და ნომრით განმეორებით გაცემულ ცნობაში მითითებული არ არის მოპასუხის სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული ცნობები, მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს არ ადასტურებდა.

14. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე, 233-ე და 241-ე მუხლებით და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ არ არსებობდა საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლები.

15. თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 07 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იმავე სასამართლოს 2018 წლის 28 მარტის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 სექტემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

17. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული „საპატიო მიზეზის“ მტკიცების ტვირთი, იმავე კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება საჩივრის ავტორს. ამასთან, ისეთ დროს, როდესაც აპელანტი საპატიო მიზეზად უთითებს მის ავადმყოფობაზე, მან ეს გარემოება უნდა დაადასტუროს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ საქმეზე დართული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით დგინდება, რომ პაციენტს აღნიშნებოდა მწვავე რესპირატორული დაავადება და მას სამედიცინო მომსახურება გაენია ამბულატორიული წესით. თუმცა, მოპასუხე სტაციონარში მოთავსებული არ ყოფილა, რაც მსგავსი შემთხვევების სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ითვლება. მეტიც, სასამართლოს შეფასებით, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროცესის გაჭიანურების მცდელობას. სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ 2018 წლის 07 თებერვლის სასა-

მართლო სხდომა გადაიდო მხარეთა მორიგების მიზნით, რაც ვერ განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეებს ამისთვის გონივრული ვადა მისცა. შესაბამისად, დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მტკიცება, რომ სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით მას სამართლიანი სასამართლოს უფლება წაერთვა.

18. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ წარდგენილი მტკიცებულებებით მოპასუხემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, ავადმყოფობით, რის გამოც არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება.

19. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

20. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

20.1. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხე ავად იყო მწვავე რესპირატორული დაავადებით და მან ავადმყოფობის პროგრესირების გამო მიმართა საავადმყოფოს. მოპასუხემ, ჯერ კიდევ საავადმყოფოში მყოფმა, თავისი მეგობრის მეშვეობით სასამართლო სხდომის დღეს მიმართა სასამართლოს ფორმა №100 და ითხოვა სხდომის მცირე დროით გადადება. მას არ შეეძლო სასამართლოში საკუთარი ინტერესების სრულყოფილი დაცვა;

20.2. ამდენად, ვინაიდან დაავადების სიმწვავემ განაპირობა იმ მოვლენის დადგომა, რომელმაც ხელი შეუშალა სასამართლოში მოპასუხის გამოცხადებას და ეს ფაქტი სასამართლოსთვის ცნობილი გახდა სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუშვებელი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

22. მოპასუხემ 2022 წლის 18 იანვარს განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

23. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის განხილვამდე იმსჯელებს კასატორის შუამდგომლობაზე მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ.

24. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თავად გადაწყვიტოს განიხილოს თუ არა საქმე ზეპირი მოსმენით.

25. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და დადგინდა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, რის თაობაზეც ეცნობათ მხარეებს. თავის მხრივ, კასატორს არ დაუსაბუთებია მისი შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე. იგი შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი მოთხოვნით.

26. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

27. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 სექტემბრის განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

28. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება. კასატორი დავობს, რომ სახეზე იყო მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი – ავადმყოფობა.

29. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას უზრუნველყოფს. ის საპროცესო დისციპლინის განმტკიცებასა და პროცესის გამარტივებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამარ-

თაღწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა.

30. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი მონესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით, რომლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

31. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, ხომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამბრკოლებელი გარემოებები. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამრიგად, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობისა და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. ამასთან, იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა –

სასამართლოს უფლებამოსილებაა (იხ. სუსგ საქმე №ას-1445-1459-2011, 31 ოქტომბერი, 2011 წელი; №ას-1410-1330-2017, 30 იანვარი, 2018 წელი; №ას-803-803-2018, 27 სექტემბერი, 2018 წელი).

33. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით ინფორმირებული იყო 07.02.2018წ. სასამართლოს სხდომის თარიღის, ადგილისა და დროის თაობაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ იგი 07.02.2018წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა, ხოლო მოსარჩელემ იმავე სხდომაზე იშუამდგომლა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. კასატორი დავობს, რომ მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ ავადმყოფობით: მას აღენიშნებოდა მწვავე რესპირატორული დაავადება.

34. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის საპატიო მიზეზის ცნებას განსაზღვრავს აღნიშნული კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანებსებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

35. დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სასამართლომ პროცესზე მხარის გამოუცხადებლობა ან სასამართლოსთვის შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობა საპატიოდ მიიჩნიოს, უნდა არსებობდეს ორი წინაპირობა: 1. გამოუცხადებლობა გამოწვეული უნდა იყოს განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით და 2. აღნიშნული განსაკუთრებული ობიექტური გარემოება მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს უნდა ხდიდეს მხარის პროცესზე გამოცხადებას ან/და გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ სასამართლოსთვის შეტყობინებას. იმისათვის, რომ სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მიზეზი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნიოს, მას უნდა შეექმნას მხარის გამოცხადების ობიექტური შეუძლებლობის მყარი შინაგანი რწმენა. ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც, ზოგადად, სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. ამასთან, სასამართლო სხდომაზე მხა-

რის გამოუცხადებლობის ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა შეფასდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალურად, საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

36. მოცემულ შემთხვევაში როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი, ისე სააპელაციო და სააკასაციო საჩივრები ემყარება იმას, რომ მოპასუხე საპატიო მიზეზით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ვერ გამოცხადდა 07.02.2018წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე. მოპასუხემ აღნიშნულის დასადასტურებლად პირველი ინსტანციის სასამართლოში წარადგინა შპს „თ. №... ს.მ.ც-ის“ მიერ 2018 წლის 07 თებერვალს გაცემული №588 ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ფორმა №IV-100/ა, საიდანაც ირკვევა, რომ მოპასუხე 2018 წლის 07 თებერვალს იმყოფებოდა ამბულატორიულ მიღებაზე და აღნიშნებოდა მწვავე რესპირატორული დაავადება. გარდა ამისა, მოპასუხემ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილ საჩივარს დაურთო განმეორებით გაცემული №588 ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სადაც დამატებით მითითებულია პაციენტის მოკლე ანამნეზი: სხეულის ტემპერატურის მომატება – 37.7C, თავის, ყელის და სახსრების ტკივილი, ცხვირის გაჭედვა, საერთო სისუსტე, შემცივნება. ავადმყოფობის მიმდინარეობა შეფასებულია მწვავედ.

37. სააკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ სამედიცინო დოკუმენტაციაში მითითებული ჩივილები და ავადმყოფობის მიმდინარეობის შეფასება იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო 2018 წლის 07 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. უფრო მეტიც, ამას შესაძლოა საფრთხე შეექმნა სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი სხვა პირებისთვის. სააკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ვინაიდან სამედიცინო დოკუმენტაცია არ შეიცავს პირდაპირ დათქმას მოპასუხის სასამართლოში გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, ამასთან, მას სამედიცინო მომსახურება გაენია ამბულატორიული წესით და იგი სტაციონარში მოთავსებული არ ყოფილა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ წარმოადგენდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოპასუხეს მანამდე არ მიუმართავს სასამართლოსთვის შუამდგომლობით სხდომის გადადების თაობაზე, რის გამოც სასამართლო, ასევე, დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროცესის გაჭიანურების მცდელობას.

38. საკასაციო პალატა კვლავ აღნიშნავს, რომ როდესაც მხარე სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიუთითებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, გამოუცხადებლობის შეუძლებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს. დაუშვებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მხოლოდ ფორმალურად განმარტება. მართალია, მოპასუხის მიერ წარდგენილ ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული სასამართლოში გამოუცხადებლობის შეუძლებლობის შესახებ, თუმცა მასში ასახული ინფორმაცია მოპასუხის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, საკასაციო პალატის შეფასებით, სწორედ კანონით გათვალისწინებული საპატიო მიზეზის შემადგენლობას იძლევა, ხოლო ცნობის ფორმალური შეუსაბამობა კანონთან, არ შეიძლება მის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობის მიმართ საპროცესო კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნები შესაძლებელია სასამართლომ არც კი შეაფასოს კრიტიკულად იმ შემთხვევაში, თუკი თავად ცნობის შინაარსი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ პირს არ შეუძლია სასამართლოში გამოცხადება, რამდენადაც თავად სამედიცინო ცნობა არაფრით განსხვავდება საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მტკიცებულებებისაგან და მას რაიმე წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩნია, არამედ იგი სასამართლომ მტკიცებულებათა კვლევით დადგენილი სტანდარტით უნდა შეამოწმოს (იხ. სუსგ საქმე №ას-955-917-2014, 24 ივლისი, 2015 წელი; №ას-187-179-2016, 06 მაისი, 2016 წელი; №ას-516-516-2018, 13 ივლისი, 2018 წელი; №ას-1674-2019, 14 სექტემბერი, 2020 წელი). შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე პირველი ინსტანციის სასამართლოში 2018 წლის 07 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს. ამრიგად, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო სამართლის ნორმების

დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. იმავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც წინამდებარე განჩინებაში ასახული დასაბუთების გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს და დაადგინოს, რამდენად არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების/ მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

42. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ნ-კ-ვას შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;
2. მ. ნ-კ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

მოპასუხის გამოუცხადებლობა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-274-2021

07 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუერი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ
ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის
ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, მატერიალური
და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. მ. ძემ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში შპს „T. G. P.“ (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ, რომელმაც
მოითხოვა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანე-
ბის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღა-
ურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, აგრეთვე, მატერიალუ-
რი და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2018 წლის 29 იანვრიდან დაინიშ-
ნა მოპასუხე კომპანიაში მდივნის თანამდებობაზე, 1000 ლარის
ოდენობის სახელფასო განაკვეთით უვადოდ/განუსაზღვრელი ვა-
დით, თუმცა, შრომითი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით არ
გაფორმებულა.

3. 2018 წლის მარტის ბოლოს მოპასუხემ განუცხადა, რომ მას-
თან შრომით ხელშეკრულებას წყვეტდა. გათავისუფლების დასა-
ბუთება გადაეცა 2018 წლის 26 მარტის წერილით, რომლითაც დას-
ტურებოდა, რომ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ასრუ-
ლებდა მდივნის მოვალეობას. მოსარჩელის მიმართ განხორციელ-
და დისკრიმინაციული მიდგომა და სამსახურიდან გათავისუფლე-
ბას საფუძველად დაედო დისკრიმინაცია ოჯახური მდგომარეობის
– დედობის ნიშნით, კერძოდ, 2015 წლის 3 მაისიდან მოსარჩელე

იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. 2017 წლის 24 ივლისს კი, შეეძინა შვილი.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე კომპანიაში მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა ორთვიანი გამოსაცდელი ვადით, რომელიც წარუმატებლად გაიარა. სწორედ აღნიშნული ვახდა მისი გათავისუფლების საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 10 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის 2018 წლის 26 მარტის №04/03-023 გადაწყვეტილება მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მოსარჩელე აღდგენილ იქნა მდივნის თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება თვეში 1000 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის გარეშე), 2018 წლის 26 მარტიდან სამუშაოზე აღდგენის ნაწილში გადაწყვეტილების აღსრულებამდე, დადგინდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის მიმართ, ოჯახური მდგომარეობის ნიშნით, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დისკრიმინაციული ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 10 000 ლარისა და მორალური ზიანის – 10 000 ლარის ანაზღაურება. ამავე სასამართლოს 2020 წლის 12 თებერვლის განჩინებით მოპასუხის სარჩელს ეთქვა უარი, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინება გაუქმდა და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, მოცემულ საქმეზე 2018 წლის 26 ივნისს მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი, მოგვიანებით კი, ორი დაზუსტებული შესაგებელი, რითაც არ ცნო მოსარჩელო მოთხოვნები. ამასთან, შედავება განახორციელა სარჩელში წარმოდგენილ

ყველა ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით.

8. საქმეზე წარმოდგენილი სასამართლოს სხდომის ოქმებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა 2019 წლის 15 მარტს, 2019 წლის 10 აპრილს, 2019 წლის 20 დეკემბერსა და 2020 წლის 10 იანვარს. 2019 წლის 20 დეკემბერს გამართული სასამართლო სხდომაზე საქმის შემდგომი განხილვა გადაიდო 2020 წლის 10 იანვარს, 16:00 საათზე.

9. მითითებული სასამართლო სხდომის შესახებ მოპასუხე მხარის წარმომადგენლები სასამართლო უწყებაზე ხელმოწერით გაფრთხილებულ იქნენ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, და განემარტათ, გამოუცხადებლობის გამო, მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2020 წლის 10 იანვარს 16.00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ, ხოლო მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე. მოპასუხეს (მის წარმომადგენელს) გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ სასამართლოსთვის არ უცნობებია.

11. 2020 წლის 10 იანვრის განცხადების თანახმად, მოპასუხის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი სასამართლოში 16:30 საათზე გამოცხადდა, რადგან მისთვის ცნობილი იყო, რომ 17:00 საათზე უნდა ჩატარებულიყო სხდომა, თუმცა, მოგვიანებით შეიტყო, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრდა მოპასუხის მიერ.

12. 2020 წლის 12 თებერვლის განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხეს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

13. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება სხდომაზე მოსარჩელის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ და მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წლის 10 იანვარს 16.00 საათზე სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, ვინაიდან სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელსაც

შეეძლო, ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის გამოცხადებისათვის.

14. საჩივრის განხილვის ეტაპზე მოპასუხის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ წარდგენილ იქნა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №VI-100ა. ცნობაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა სამკურნალო დაწესებულებას მიმართა 2020 წლის 10 იანვარს, მისი ჯანმრთელობის შესახებ დასკვნაში (დიაგნოზი) მითითებულია – მწვავე კვებითი ინტოქსიკაცია A05.9. მოკლე ანამნეზის თანახმად, პაციენტს აღენიშნებოდა ჩივილები: შეუპოვარი ლებინება, დიარეა, ტკივილი მუცლის ღრუს მთელ მოცულობაში, განსაკუთრებით მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში. ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და კონსულტაციების გრაფაში აღნიშნულია, რომ პაციენტმა კლინიკას მიაკითხა დღის სამი საათისათვის, ჩატარდა ოჯახის ექიმის კონსულტაცია... ექოსკოპიური კვლევით გამოვლინდა ნაღვლის ბუშტის მოცულობის გაზრდა 51 სმ 3 ღრუში არაერთგვაროვანი შიგთავსით, გასქელებული კედლებით; ავადმყოფობის მიმდინარეობა შეფასებულია მწვავედ; ჩატარებული მკურნალობა – 1. კუჭის ამორეცხვა სოდიანი წყლით; 2. ინტრავენურად ფიზიოლოგიური და რინგერის ხსნარებით, „B“ და „C“ ჯგუფის ვიტამინებით. მიეცა რეკომენდაცია ამბულატორიული რეჟიმის პირობებში გადასხმის ჩატარებაზე სამი დღის განმავლობაში, თ-ს კონტროლი, ექიმის მეთვალყურეობა. სააპელაციო პალატამ, ასევე, ყურადღება გაამახვილა საჩივარზე დართულ „სამედიცინო ცენტრი ც-ოს“ მიერ 2020 წლის 8 იანვარს გაცემულ ცნობაზე, რომლითაც ირკვევა მოსარჩელის წარმომადგენლის ორსულობის შესახებ, მოკლე ანამნეზში მითითებულია – ამენორეა, ზოგადი სისუსტე, დაღლილობა ტაქიკარდია.

15. სამედიცინო ცენტრ „ც-ოს“ მიერ 2020 წლის 8 იანვარს გაცემული №3772 ცნობით ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა სამედიცინო დაწესებულებას მიმართა 2020 წლის 6 იანვარს და დაუდგინდა დიაგნოზი – 3-4 კვირის ორსულობა, ხოლო მოკლე ანამნეზში კი, მითითა ამენორეა, ზოგადი სისუსტე, დაღლილობა და ტაქიკარდია, ასევე, დანიშნა სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები.

16. სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესი ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა ჩათვალოს საპატიოდ, თუკი, აღნიშნული მოქმედება მან ვერ შეასრულა ავადმყოფობის

გამო. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც ზოგადად სამოქალაქო სა-
მართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიც-
ების ტვირთი. მეტიც, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი პირ-
დაპირ განსაზღვრავს, თუ რა მტკიცებულებით უნდა დადასტურ-
დეს მხარის ავადმყოფობის ფაქტი და ასეთად მიიჩნევეს სამედიცინო
დოკუმენტს, რომელიც: ა) ხელმოწერილია სამედიცინო დაწე-
სებულების ხელმძღვანელის მიერ; ბ) პირდაპირ მიუთითებს მხა-
რის შეუძლოდ ყოფნაზე კონკრეტული დროის მონაკვეთში (რომ-
ლის განმავლობაშიც უნდა შესრულებულიყო სადავო საპროცესო
მოქმედება); გ) ასახავს პაციენტის ჯანმრთელობის იმგვარ გაუა-
რესებას, რაც გამორიცხავს საპროცესო მოქმედების შესრულების
შესაძლებლობას.

17. ზემოთ მითითებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესა-
ხებ წარმოდგენილი ცნობების გათვალისწინებით, სააპელაციო პა-
ლატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ არასწორად შეფასდა და-
უსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის უსა-
ფუძვლობა. მართალია, მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ წარ-
მოდგენილი ჯანმრთელობის შესახებ ცნობები არ შეიცავს პირდა-
პირ მითითებას, რომ პაციენტს დანიშნული აქვს წოლითი რეჟიმი
ან/და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა პროცესზე
გამოცხადების შესაძლებლობას, თუმცა ცნობაში ასახული დიაგ-
ნოზი – მწვავე კვებითი ინტოქსიკაცია A05.9.; ჩივილები: შეუპოვა-
რი ღებინება, დიარეა, ტკივილი მუცლის ღრუს მთელ მოცულობა-
ში და სხვა ჯანმრთელობის ცნობებში აღწერილი ჩივილები, ასევე,
ორსულობის პერიოდში ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობა (აღ-
ნიშნულთან დაკავშირებით იხ. სუსგ №ას-684-645-2011; 28 ივნისი,
2011 წელი) იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ საჩივრის ავ-
ტორის წარმომადგენელს გააჩნდა სხდომაზე გამოუცხადებლობის
საპატიო მიზეზი, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 215-ე მუხლის
მე-3 ნაწილით.

18. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ
მოპასუხე მხარის მეორე წარმომადგენელი დაგვიანებით გამოც-
ხადდა სასამართლოში, თუმცა მას თავი არ აურიდებია გამოცხა-
დებისთვის და გამოუცხადებლობით სასამართლოს მიმართ არ გა-
მოუჩინია უპატივცემულობა. მეტიც, მოპასუხის წარმომადგენლის
შეუძლოდ ყოფნის გამო სასამართლოში გამოცხადება ფორსირე-
ბულ რეჟიმში მოუხდა მეორე წარმომადგენელს, თუმცა ამ უკანას-
კნელმა ვერ შეძლო პროცესზე დროულად გამოცხადება, რა დრო-
საც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

19. სსსკ-ის 230-ე, 241-ე, 233-ე მუხლების თანახმად, სააპელა-
ციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოში 2020

წლის 10 იანვარს, 16.00 საათზე სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით და სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელსაც შეეძლო, ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის გამოცხადებისათვის. ამდენად, არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების თაობაზე განჩინების გაუქმების საფუძველები.

20. იმ პირობებში, როდესაც დადასტურებულია, რომ სასამართლო სხდომის დღეს მოპასუხის წარმომადგენელი იმყოფებოდა ავად, რაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით, სააპელაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული ფაქტობრივი მოცემულობა სასამართლოს მიერ უნდა განხილულიყო, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყოველგვარი ეჭვი სხდომაზე გამოუცხადებლობის არასაპატიობასთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს საჩივრის ავტორის სასარგებლოდ, რამდენადაც ფაქტია, რომ სხდომის დღეს მოპასუხის წარმომადგენელი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იმყოფებოდა სამედიცინო დაწესებულებაში. სააპელაციო პალატა აქვე განმარტა, რომ საქმის გარემოებებით არ დასტურდება მოპასუხის მიერ დავის მიმართ ინტერესის დაკარგვა. ის გარემოება, რომ მოპასუხეს სარჩელის მიმართ ინტერესი გააჩნდა დასტურდება იმითაც, რომ საქმეზე შემოტანილია სამი სხვადასხვა შესაგებელი და მის მიერ არცერთი სასამართლო სხდომა არ არის გადადებული და მხარე ყველა მათგანს ესწრებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 20 დეკემბრის სხდომის დროს სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, ხოლო მოპასუხე მხარის მიერ კი შესრულდა რა სასამართლოს დავალება 2019 წლის 27 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა შრომითი ხელშეკრულება.

21. ამგვარად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წლის 10 იანვარს, 16.00 საათზე გასამართ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რის გამოც, არ არსებობდა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური საფუძველი. ასევე განმარტა, რომ ცალკე აღებული წარმომადგენლის შეუძლოდ ყოფნის ფაქტი უკვე არის მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, მხარე არ უნდა „დაისაჯოს“ იმისთვის, რომ მისმა წარმომადგენელმა, შეუძლოდ ყოფნის

გამო, დასახმარებლად მიმართა სხვა წარმომადგენელს, რათა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობად არ ჩათვლილიყო მისი, როგორც მხარის გამოუცხადებლობა, რაც არ შეიძლება გახდეს უკვე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების საფუძველი. ამდენად, მხარის წარმომადგენელი კეთილსინდისიერად მოიქცა, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, და სასამართლო სხდომაზე არა გამოუცხადებლობა, არამედ მხოლოდ ერთხელ დაგვიანებით გამოცხადება (აღნიშნულს ადასტურებს განცხადება) არ შეიძლება გახდეს უკვე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების საფუძველი.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს თბილისის საქალაქო საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 10 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ იმავე სასამართლოს 2020 წლის 12 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

23. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგი საფუძვლებით:

24. კასატორის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა მისი ავადმყოფობის მოტივით შესაძლებელია იქცეს საპატიო მიზეზად, მაგრამ ამ მიმართულებითაც კანონმდებელი დამატებით მოთხოვნას უწესებს ასეთ პირს, კერძოდ, კი მას არ უნდა შეეძლოს ჯანმრთელობის გაუარესების გამო აღნიშნული საპატიო მიზეზის თაობაზე შეატყობინოს სასამართლოს (სსსკ-ის მუხლი 241-ე, მუხლი 215.3), საჩივრიდან კი ირკვევა, რომ მოპასუხის ერთი წარმომადგენელი დაუკავშირდა მეორე წარმომადგენელს და აცნობა თავისი მდგომარეობის თაობაზე, შესაბამისად, მას შეეძლო იგივე წარმატებით განეხორციელებინა შეტყობინება სასამართლოსათვის და ამ მიმართულებით დგინდება, რომ კომუნიკაციის ეს საშუალება მისთვის შესაძლებელი და ხელმისაწვდომი იყო. ამდენად, მოპასუხის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა ავადმყოფობის გამო ვერ მიიჩნევა საპატიოდ. ამასთან, მხარის წარმომადგენლებიდან ორ მათგანს, დირექტორს და მეორე წარმომადგენელს თავისუფლად შეეძლოთ, სასამართლო პროცესზე გამოცხადება. მათი გამოუცხადებლობა დაუდევრობის ბრალია და არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურ გარემოებად, საპატიო მიზეზად. მხოლოდ ცალკე აღებული ის გარემოება, რომ მხარე აქტიუ-

რობს და ჩართულია პროცესის მიმდინარეობაში, ვერ გახდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ერთადერთი საფუძველი, რადგან ეს არ გამომდინარეობს სსსკ-ის 241-ე მუხლის დანაწესიდან.

25. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებები და მიიღო ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. მისი დასაბუთება ძირითადად აგებულია მხარის წარმოდგენილ სამედიცინო დასკვნაზე, სადაც მითითებულია, რომ სამედიცინო მომსახურება მიიღო მხოლოდ ერთმა პაციენტმა მოპასუხის წარმომადგენელმა და არა სამმა პირმა – დირექტორმა და ორმა წარმომადგენელმა, რაც გამორიცხავს თ. ი-სა და ტ. რ-ის ჯანმრთელობის გამო დასკვნების გაკეთებას. ამასთან, იმ ვითარებაში, როდესაც მხარე პროცესზე წარმოადგენილია სამი წარმომადგენლით და მხოლოდ ერთის ჯანმრთელობის თაობაზე არსებობს კონკრეტული გარემოება (რაც თავის მხრივ საკვლევი), ასეთი გარემოების სხვა წარმომადგენელზე გავრცელება წარმოადგენს არარელევანტურ დასაბუთებას, რადგან ერთ-ერთის გამოცხადების შემთხვევაში პროცესი არსებითად გაიმართებოდა და სასამართლოს არ ექნებოდა საფუძველი, მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და თუ ეს ჭეშმარიტებაა, რომ მხარის ერთ-ერთი წარმომადგენლის გამოცხადება არ იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, მაშინ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს ცალ-ცალკე ყველა წარმომადგენლის გამოუცხადებლობის მიზეზი და ერთ-ერთი მათგანის პროცესზე გამოუცხადებლობის არასაპატიობის დადგენის შემთხვევაში უნდა დაასკვნას, რომ მხარის გამოუცხადებლობა იყო არასაპატიო. თუ მხარე არ ცხადდება პროცესზე, მისი წარმომადგენლებიდან ერთ-ერთის გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი უნდა გავრცელებულიყო ზოგადად მხარეზე, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რითაც ის შეენიანაღმდეგებოდა ზოგადად პროცესის წარმოებას და საპროცესო სამართლის არაერთ დანაწესს.

26. კასატორმა მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსსკ-ის 230-ე, 70-ე-78-ე მუხლების, 240-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულია კანონიერად, არ არსებობდა მისი მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები, არ არსებობდა მისი გაუქმების რელევანტური ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

27. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ გა-

მოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ქვემდგომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ამავე კოდექსის 215-ე, 233-ე, 240-ე-241-ე, 385-ე მუხლები, რადგან მოცემულ საქმეზე არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები, ასევე, მისი გაუქმების მოთხოვნა (საჩივარი) იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, ასევე არ არსებობდა რაიმე საპატიო მიზეზი, დადგენილიყო ასეთი გარემოება უტყუარად რაც საფუძვლად დაედებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

28. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 241-ე მუხლის ის დანაწესი, რომელიც უთითებს მხარის გამოცხადების შესახებ, კერძოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ დგინდებოდა ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის საპატიობა, ეს გარემოება ავტომატურად მიაქცია სხვა წარმომადგენელზე, რითაც დაარღვია პროცესის „მხარის“ ცნება, ბუნება და შეენიწაღმდეგა სხვადასხვა საპროცესო ნორმებსა და მათგან გამომდინარე საპროცესო ქმედებების განხორციელების წესს.

29. კასატორმა მიუთითა სსსკ-ის 79-ე, 83-ე, 93-ე და 98-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოცემულ საქმესთან მიმართებით მოპასუხე იურიდიული პირი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, მისი წარმომადგენლები კი არიან კომპანიის ხელმძღვანელები, დებულებითა და ბრძანებით განერილი ხელმძღვანელისაგან დელეგირებული პირები, ხელმძღვანელისაგან ამ კომპანიაში სხვა დასაქმებული მინდობილი პირები და სხვა წარმომადგენლები, ამასთან, საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს, თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა პროცესში, ანუ პირადად კომპანიის დირექტორიც უფლებამოსილია ან თუ ადვოკატი წარმომადგენელი ან სხვა წარმომადგენელი არა ჰყავს კომპანიას, დირექტორი ვალდებულია პირადად ჩაერთოს საქმეში. ამდენად, საქმეში უკვე წარმოდგენილი დოკუმენტებით, როგორცაა კომპანიის ამონაწერი სამენარჩეო რეესტრიდან და მინდობილობა, ზემოთ ჩამოთვლილი პირთაგან ჩანიშნულ პროცესზე ერთ-ერთის გამოცხადება გულისხმობს მხარის გამოცხადებას და ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება მიზანშეწონილი და კანონიერია, მათ შორის არ შეიძლება მიღებულ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მხარის მოცემული განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ წარმომადგენლობა და პროცესი მიიჩნია არაკანონიერად და ამ მიდგომით ითვლება, რომ თუ მხარის ერთ-ერთი წარმომადგენლის გამოცხადებით და მონაწილეობით დადგა მათთვის მიუღებელი/არასასურველი გარკვეული შედეგი, მაშინ სხვა წარმომადგენელს შეუძლია წარმოადგინოს რაიმე საპატიო გარემოების მამტიკიცებელი დოკუმენტი და დაასაბუთოს, რომ

კონკრეტულად მისი გამოუცხადებლობა ნიშნავს მხარის გამოუცხადებლობას და მოითხოვს ამ საფუძვლით გადაწყვეტილების გაუქმებას. ან კიდევ, მაგალითად, თუ მოცემულ საქმეზე არსებითი განხილვის შემდეგ დადგება კომპანიისათვის მიუღებელი გადაწყვეტილება და შევა კანონიერ ძალაში, კომპანიის დირექტორს შეუძლია, წარმოადგინოს რაიმე საპატიო გარემოების მამტიკიცებელი დოკუმენტი და დაასაბუთოს, რომ კონკრეტულად მისი გამოუცხადებლობა ნიშნავს მხარის გამოუცხადებლობას და მოითხოვს ამ საფუძვლით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას (ახლად აღმოჩენილი გარემოება). ასევე შესაძლებელია მოყვანილ იქნეს მრავალი გარემოება თუ მაგალითი, რომელიც შეპირისპირებულ იქნება მხარის ამ განმარტებასთან, რომელიც არღვევს ზოგადად დადგენილ საპროცესო სამართლის არსს, მრავალ საპროცესო ნორმას, ეწინააღმდეგება მათ და აზრს უკარგავს პროცესებს, პროცესში რამოდენიმე ადვოკატის ყოლას და საპროცესო ეკონომიის პრინციპს არღვევს. თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხარის ასეთ განმარტებას, ის დაადგენს ამ პრაქტიკას, რაც საქმის წარმოების ყველა პრინციპსა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპს არღვევს, ცალსახად მიუღებელია და უზენაესმა სასამართლომ არ უნდა დაადგინოს „მხარის“ ასეთი განმარტება, ხოლო სააპელაციო სასამართლოს დადგენილი და განმარტებული კი უნდა შეცვალოს მისი გაუქმებით.

30. სსსკ-ის 105-ე, 131-ე, 132-ე და 133-ე მუხლების თანახმად, კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა საქმეში არსებული წერილობითი აღიარება მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის თაობაზე, რაც არ იყო გაქარწყლებული ან უარყოფილი და რაზეც კასატორი თავის შესაგებელს ამყარებდა, ამასთან, აღნიშნული აღიარებისათვის უპირატესობა უნდა მიენიჭებინა სხვა გარემოებებთან მიმართებით, ხოლო თუ არ გაიზიარებდა ასეთ აღიარებას, მოტივები უნდა დაესაბუთებინა გადაწყვეტილებაში, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეთანა სათანადო დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, რაც მოცემულ საქმეზე არ განხორციელდა.

31. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 105-ე, 131-ე, 132-ე და 133-ე მუხლები. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტიკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავე-

ბა). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 1 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 11 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით (საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე).

სამოტივაციო ნაწილი:

33. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

34. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1. მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

35. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერება, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის

დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2020 წლის 12 თებერვლის განჩინება, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს არსებითად განსახილველად.

36. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო სამართალწარმოებაში ყოველთვის მონაწილეობს ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. ამ ორი მხარის აქტიური მონაწილეობა საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია მათი ინტერესით: მოსარჩელის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი, გამოიტანოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, ხოლო მოპასუხის ინტერესი – ესაა მოსარჩელისათვის სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ამ ინტერესების რეალიზაციისათვის მხარეებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი საპროცესო უფლებები. სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საპროცესო უფლებების გამოუყენლობას შეიძლება მოჰყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც ეს უფლება არ გამოიყენა. მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლებაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ უფლებას შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა შეატყობინოს მხარეს საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმის განხილვა და გადაწყვეტა მხარის შეუტყობინებლად უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, მის დაუსწრებლად, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსკ 394-ე მუხლი), ასევე საქმის წარმოების განახლების საფუძველია (სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

37. ორივე მხარის მონაწილეობას პროცესში აქვს მრავალმხრივი მნიშვნელობა, მათ შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლოს საშუალებას აძლევს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ, რა უნდა მოიმოქმედოს სასამართლომ, როცა საქმის განხილვაზე არ ცხადდება ერთ-ერთი მხარე (რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ) და არც არაფერი აცნობა სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ? საქმის განხილვა და ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ერთ-ერთი მხარის ნება-სურვილზე. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში საქმე განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს გამოუცხადებელი მხარის მონაწილეობის გარეშე.

38. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწ-

ყვეტილება – ესაა სასამართლო სხდომაზე (როგორც მოსამზადებელ სხდომაზე, ასევე მთავარ სხდომაზე) გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუცხადებლობას და არა საქმის მასალებს. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად უდევს ვარაუდი იმის შესახებ, რომ გამოუცხადებელი მხარე უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე მოწინააღმდეგე მხარის მიმართ (როცა მოსარჩელე არ გამოცხადდა) ან აღიარებს (ცნობს) ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სასარჩელო მოთხოვნას (როცა არ ცხადდება მოპასუხე).

39. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, როგორც წესი, დაკავშირებულია სასამართლოს მიერ არაერთი მოქმედების შესრულების განხორციელებასთან (გადაწყვეტილების მომზადება, მისი მხარისათვის ჩაბარება, საჩივრის დასაშვებობის შემოწმება, საჩივრის განხილვა და ა.შ.). იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები არ გამოდგეს გაუმართლებელი და მოხდეს სასამართლოს რესურსების მართლზომიერი გამოყენება, მხარე ვალდებულია, დროულად აცნობოს სასამართლოს, რომ ვერ ახერხებს სასამართლოში გამოცხადებას და დაასაბუთოს გამოუცხადებლობის საპატიობა. მსგავსი განცხადების არსებობისა და გამოუცხადებლობის მიზეზის საპატიობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენისას, სასამართლო უარს განაცხადებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. საპროცესო ეკონომიის მიზნებიდან გამომდინარე, მსგავსი მოქმედებათა განხორციელება შეეძის არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ მხარის ინტერესებშიც.

40. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ან/და არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მან დაკარგა ინტერესი, შეეწინააღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმფცია). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე კი არ იღებს გადაწყვე-

ტილებას, არამედ სარჩელში მითითებულ ფაქტებს უპირობოდ და-
დასტურებულად მიიჩნევს და თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად,
სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლე-
ვა, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (მდრ. სუსგ №ას-
1158-1113-2016, 10 თებერვალი, 2017).

41. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საჩივარი დაუსწრებე-
ლი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ
(საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე) თავისი შინაარსით
განსხვავდება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო და კერძო სა-
ჩივრისაგან. მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საჩი-
ვარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება ემყარებოდეს
მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუც-
ხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზებით. ამრიგად, საჩი-
ვარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ემყარებო-
დეს გარემოებებს, რომლებიც ასაბუთებენ მის უსწორობას არსე-
ბითად, მის შეუსაბამობას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან,
რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება არა საქმის მასა-
ლების საფუძველზე, არამედ მხარის გამოუცხადებლობის გამო.
ამიტომ გამართლებული და ახსნილი უნდა იქნეს ის, რასაც ეს გა-
დაწყვეტილება ეფუძნება – გამოუცხადებლობა, კერძოდ გამოუც-
ხადებლობის საპატიობა. სააპელაციო და საკასაციო საჩივრისგან
დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი იმითაც განსხვავდე-
ბა, რომ ამ საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ის სასა-
მართლო, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.
ამ მხრივ გამონაკლისია მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება,
რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 242-ე, 366-ე, 392-ე მუხ-
ლებით.

42. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის
გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამო-
ტანის საკითხი მოწესრიგებულია სსსკ-ის 230-ე მუხლით, რომლის
თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპა-
სუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე
მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს და-
უსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მი-
თითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლე-
ბა. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამარ-
თლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წი-
ნაალმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს
მის დაკმაყოფილებაზე.

43. სასამართლო ყოველთვის არის ვალდებული შეამოწმოს, ხომ
არ არსებობს სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზ-

ღვრული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები [სსსკ-ის 233.1. მუხლი].

44. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამომწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამრიგად, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობისა და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა (შდრ. სუსგ-ები №ას-803-803-2018, 27 სექტემბერი, 2018 წელი; №ას-1445-1459-2011, 31 ოქტომბერი, 2011 წელი; №ას-1410-1330-2017, 30 იანვარი, 2018წელი).

45. მაშასადამე, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ამგვარი გადაწყვეტილების საფუძვლად მიჩნეული ვარაუდი, თუ დამტკიცებს, რომ არსებობდა იმგვარი მოვლენა, რომელიც, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, გონივრული შეფასებიდან გამომდინარე, ქმნის პრეზუმფციას არა მარტო დაინტერესებული მხარის ინტერესის შესახებ განსახილველი საქმის მიმართ, არამედ გამოუცხადებლობის ობიექტურ ან/და ადამიანურ ფაქტორებზეც. მხოლოდ ამ გარემოებათა ერთობლივად შეჯერებითა და შეფასებით არის შესაძლებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება. სსსკ-ის 233-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს მხარის კანონიერი ინტერესების (მიიღოს მონაწილეობა საპროცესო სამართალწარმოებაში) დაცვას, ამასთან, ობიექტურ

გარემოებათა დადასტურების შემთხვევაში, მხარის გამოუცხადებლობას საპატიოდ მიიჩნევს და დაუშვებელია, რომ ამ მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილებისთვის დამახასიათებელი საპროცესო წესით დადგინდეს როგორც საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, ისე სამართლებრივი შედეგიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ისეთ ვითარებას, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნებოდა სანქცია არა მარტო უპასუხისმგებლო, ან პროცესის მიმართ ინტერესის არმქონე პირისთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც რეალური ინტერესი გააჩნია სამართალწარმოების მიმართ, მაგრამ საპატიო გარემოებების გამო ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. სსსკ-ის 233-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი სწორედ ისეთ შემთხვევებს ანებსრიგებს, რომ მხარეს არ ჩამოერთვას სამართლიანი სასამართლოს უფლება და მისი გამოუცხადებლობა ყველა შემთხვევაში მარტოდენ სანქციად არ იქცეს (შდრ: სუსგ №ას-1504-2019, 13 მარტი, 2020წელი).

46. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სწრაფი, ეკონომიური და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სასამართლო ხელისუფლების, ისე სამართალწარმოების მონაწილე პირთა პასუხისმგებლობა და საამისოდ ყველა ლეგიტიმური შესაძლებლობის გამოყენებაა საჭირო, რაც თანაბრად უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას საქმის განხილვის ყველა ეტაპზე და ხელს შეუწყობს სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების არიდებას. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრებულია პრინციპი, რომლის თანახმად მხარეებს (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს), შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში როგორც პირადად, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენლობა ესაა კანონით გარანტირებული შესაძლებლობა მხარემ აწარმოოს საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც ასრულებს სასამართლოში მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით. სასამართლო წარმომადგენლობა დაიშვება უკლებლივ ყველა საქმეზე, რომელიც სასამართლოს ექვემდებარება უწყებრივად. წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ: ა) ნებაყოფლობით ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობას; ბ) იურიდიული პირის წარმომადგენლობას; გ) კანონისმიერ წარმომადგენლობას. ნებაყოფლობითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენლობა წარმოიშობა მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე დავალების ხელშეკრულების დადებით (სსკ-ის 709-ე მუხლი). სსსკ-

ის 96-ე მუხლი ითვალისწინებს წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმების პროცედურებს, ხოლო სსსკ-ის 98-ე მუხლი კი, ითვალისწინებს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს. (იხ. ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2014, გვ.180-199).

47. სსსკ-ის 93-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს. მხარეებს, შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს – თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. მხარისა და წარმომადგენლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს, წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მარწმუნებლის უფლების კვალიფიციურად დაცვაზე. (შდრ. სუსგ №ას-803-803-2018, 27 სექტემბერი, 2018).

48. მართალია, სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება უფლებას ანიჭებს მხარეს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხარის სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი წარმომადგენელი არაა ვალდებული, გამოცხადდეს საქმის განხილვაზე. თუ თავად წარმომადგენელს არ გააჩნია სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ საკითხის სხვაგვარად გადწყვეტა აზრს დაუკარგავდა საპროცესო წარმომადგენლობის ინსტიტუტის არსებობას. (შდრ. სუსგ №ას-1666-1654-2011, 8 დეკემბერი, 2011 წელი; №ას-227-214-2015, 16 მარტი, 2015 წელი; სუსგ №ას-678-649-2016, 16 დეკემბერი, 2016).

49. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამძღვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. მითითებული ნორმის დანაწესი ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა ჩათვალოს საპატიოდ, თუკი აღნიშნული მოქმედება მან ვერ შეასრულა ავადმყოფობის გამო. ამ შემთხვევაში ისევე, როგორც ზოგადად სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. მეტიც, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს მხარის ავადმყოფობის ფაქტი და ასეთად მიიჩნევს სამედიცინო დოკუმენტს, რომელიც: ა) ხელმოწერილია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; ბ) პირდაპირ მიუთითებს მხარის შეუძლოდ ყოფნაზე კონკრეტული დროის მონაკვეთში (რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულებულიყო სადავო საპროცესო მოქმედება); გ) ასახავს პაციენტის ჯანმრთელობის იმგვარ გაუარესებას, რაც გამორიცხავს საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას. სამედიცინო ცნობაში გასაგებად უნდა იკითხებოდეს მხარის ჯანმრთელობის ისეთი მძიმე მდგომარეობის არსებობა, რომელიც რეალურად შეუშლის ხელს მხარეს გადაადგილებაში და სასამართლოსთან კომუნიკაციაში.

50. კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე და ამ გარემოების წინასწარ სასამართლოსათვის შეტყობინების შეუძლებლობაზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებაა. (მდრ. სუსგ საქმე №ას-1270-2018, 02 ნოემბერი, 2018).

51. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინ-

სტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებას და პროცესის გამარტივებას. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია (შდრ. სუსგ №ას-964-929-16, 06 მარტი, 2017)

52. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ 2020 წლის 10 იანვარს 16.00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ, ხოლო მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე. მოპასუხეს (მის წარმომადგენელს) გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ სასამართლოსთვის არ უცნობებია.

53. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წლის 10 იანვარს 16:00 საათზე სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით, ვინაიდან სასამართლოსათვის ცნობილი ვახდა, რომ ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელსაც შეეძლო, ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის გამოცხადებისათვის, კერძოდ, საჩივრის განხილვის ეტაპზე მოპასუხის ერთ-ერთი წარმომადგენლის – ს. დ-ის მიერ წარდგენილ იქნა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №VI-100ა. ცნობაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა სამკურნალო დაწესებულებას მიმართა 2020 წლის 10 იანვარს, მისი ჯანმრთელობის შესახებ დასკვნაში (დიაგნოზი) მითითებულია – მწვავე კვებითი ინტოქსიკაცია A05.9. მოკლე ანამნეზის თანახმად, პაციენტს აღენიშნებოდა ჩივილები: შეუპოვარი ლებინება, დიარეა, ტკივილი მუცლის ღრუს მთელ მოცულობაში, განსაკუთრებით მარჯვენა ფერდქვეშა მუცელში. ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და კონსულტაციების გრაფაში აღნიშნულია, რომ პაციენტმა კლინიკას მიაკითხა დღის სამი საათისათვის, ჩაუტარდა ოჯახის ექიმის კონსულტაცია... ექსკოპიური კვლევით გამოვლინდა ნაღვლის ბუშტის მოცულობის გაზრდა 51 სმ 3 ღრუში არაერთგვაროვანი შიგთავსით,

გასქელებული კედლებით; ავადმყოფობის მიმდინარეობა შეფასებულია მწვავედ; ჩატარებული მკურნალობა – 1. კუჭის ამორეცხვა სოდიანი წყლით; 2. ინტრავენურად ფიზიოლოგიური და რინგერის ხსნარებით, „B“ და „C“ ჯგუფის ვიტამინებით. მიეცა რეკომენდაცია ამბულატორიული რეჟიმის პირობებში გადასხმის ჩატარებაზე სამი დღის განმავლობაში, თ-ს კონტროლი, ექიმის მეთვალყურეობა. სააპელაციო პალატამ, ასევე, ყურადღება გაამახვილა საჩივარზე დართულ „სამედიცინო ცენტრი ც-ოს“ მიერ 2020 წლის 8 იანვარს გაცემულ ცნობაზე, რომლითაც ირკვევა მოსარჩელის წარმომადგენლის ორსულობის შესახებ, მოკლე ანამნეზში მითითებულია – ამენორეა, ზოგადი სისუსტე, დაღლილობა ტაქიკარდია. სამედიცინო ცენტრ „ც-ოს“ მიერ 2020 წლის 8 იანვარს გაცემული №3772 ცნობით ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა სამედიცინო დაწესებულებას მიმართა 2020 წლის 6 იანვარს და დაუდგინდა დიაგნოზი – 3-4 კვირის ორსულობა, ხოლო მოკლე ანამნეზში კი, მიეთითა ამენორეა, ზოგადი სისუსტე, დაღლილობა და ტაქიკარდია, ასევე, დანიშნა სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 215.3 მუხლით და მიიჩნია, რომ სახეზე იყო სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოება.

54. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას მოპასუხის გამოუცხადებლობის საპატიოობის შესახებ და აღნიშნავს, რომ მხარის წარმომადგენლებიდან ორ მათგანს – დირექტორს და მეორე წარმომადგენელს თავისუფლად შეეძლოთ, სასამართლო პროცესზე გამოცხადება. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოებები და გადაწყვეტილების დასაბუთება ძირითადად აგებულია მხარის წარმოდგენილ სამედიცინო დასკვნაზე, სადაც მითითებულია, რომ სამედიცინო მომსახურება მიიღო მხოლოდ ერთმა პაციენტმა მოპასუხის წარმომადგენელმა და არა სამმა პირმა – დირექტორმა და ორმა წარმომადგენელმა, რაც გამორიცხავს თ. ი-სა და ტ. რ-ის ჯანმრთელობის გამო დასკვნების გაკეთებას. ამასთან, იმ ვითარებაში, როდესაც მხარე პროცესზე წარმოადგენილია სამი წარმომადგენლით და მხოლოდ ერთის ჯანმრთელობის თაობაზე არსებობს კონკრეტული გარემოება (რაც თავის მხრივ, საკვლევი), ასეთი გარემოების სხვა წარმომადგენელზე გავრცელება წარმოადგენს არარელევანტურ დასაბუთებას, რადგან ერთ-ერთის გამოცხადების შემთხვევაში, პროცესი არსებითად გაიმართებოდა და სასამართლოს არ ექნებოდა საფუძველი, მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და თუ ეს ჭეშმარიტებაა, რომ მხარის ერთ-ერთი წარმომადგენლის გამოც-

ხადება არ იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, მაშინ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეაფასოს ცალ-ცალკე ყველა წარმომადგენლის გამოუცხადებლობის მიზეზი და ერთ-ერთი მათგანის პროცესზე გამოუცხადებლობის არასაპატიობის დადგენის შემთხვევაში, უნდა დაასკვნას, რომ მხარის გამოუცხადებლობა იყო არასაპატიო. (იხ. საკასაციო საჩივარი).

55. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა ამ ნაწილში წარმომადგინა დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2019 წლის 20 დეკემბერს გამართულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე საქმის შემდგომი განხილვა გადაიდო 2020 წლის 10 იანვარს, 16:00 საათზე. მითითებული სასამართლო სხდომის შესახებ მოპასუხე მხარის წარმომადგენლები სასამართლო უწყებაზე ხელმოწერით გაფრთხილებულ იქნენ, სსსკ-ის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, და განემარტათ, გამოუცხადებლობის გამო, მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. დაადგინილია, რომ 2020 წლის 10 იანვარს 16:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ, ხოლო მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე. მოპასუხეს (მის წარმომადგენელს) გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ სასამართლოსთვის არ უცნობებია.

56. საკასაციო პალატის განხილვის საგანია მოპასუხის გამოუცხადებლობა გამონეუული იყო თუ არა საპატიო მიზეზით. იმისათვის, რომ სასამართლომ პროცესზე მხარის გამოუცხადებლობა ან სასამართლოსთვის შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობა საპატიოდ მიიჩნიოს, უნდა არსებობდეს ორი წინაპირობა: 1. გამოუცხადებლობა გამონეუული უნდა იყოს განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით; და 2. აღნიშნული განსაკუთრებული ობიექტური გარემოება მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს უნდა ხდიდეს მხარის პროცესზე გამოცხადებას ან/და გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ სასამართლოსთვის შეტყობინებას. იმისათვის, რათა სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მიზეზი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნიოს, მას უნდა შეექმნას მხარის გამოცხადების ობიექტური შეუძლებლობის მყარი შინაგანი რწმენა. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც, ზოგადად, სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს

ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. ამასთან, სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით.

57. მოპასუხე სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად ერთ-ერთი წარმომადგენლის – ს. დ-ის შემთხვევაში, მიუთითებდა ჯანმრთელობის მდგომარეობას, ხოლო მეორე წარმომადგენლის – თ. ი-ს შემთხვევაში – სხდომის დღის შესახებ ინფორმაციის არასწორად მონიშვნას, რის გამოც, ეს უკანასკნელი სასამართლოში გამოცხადდა დაახლოებით 16:25 სთ.ზე.

58. საკასაციო პალატა აღნიშნავს, საქმეზე დადგენილია, რომ მოპასუხის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენდა ორი ადვოკატი: ს. დ-ი და თ. ი. ს. დ-ის გამოუცხადებლობის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს დასკვნები და შეფასებები წარმოდგენილია ამ განჩინების პპ: 13-21-ში, რომელ ნაწილშიც კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია და შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას, რომელიც შეეხება სასამართლო სხდომაზე ს. დ-ის გამოუცხადებლობის საპატიობას.

59. რაც შეეხება მოპასუხის წარმომადგენელ თ. ი-ის გამოუცხადებლობას, ამ ნაწილში, ძირითად არგუმენტად დასახელდა ის გარემოება, რომ სასამართლო სხდომის დროის გადამონმებისას, წარმომადგენელს სასამართლოს უფლებამოსილი პირისგან არასწორად ეცნობა 2020 წლის 10 იანვრის სასამართლო სხდომის დაწყების დრო – 17:00 საათი, ნაცვლად 16:00 საათისა.

60. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოპასუხის მიერ დასახელებულ არგუმენტს და არ მიიჩნევს მას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

61. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე

მხარეებს შორის.

62. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა [სსსკ-ის მე-3, მე-4 და 102-ე მუხლები]. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

63. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს შეფასების საგანია. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას (კვალიფიციური შედაგების მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნებისათვის). მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. იმავდროულად, ახსნა-განმარტება უნდა დასტურდებოდეს რელევანტური მტკიცებულებებით [სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი]. ამავე კოდექსის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას და-

ნიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს და ამის შესახებ აცნობებს სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებელ და საქმეში ახალჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღე ეცნობებათ ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესებით. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრით სადავოდ არ არის გამხდარი, რომ მოპასუხის წარმომადგენლებს: თ. ი-სა და ს. დ-ს, 10.01.2020წ. სასამართლო სხდომის შესახებ, სასამართლო უწყებაზე ხელმოწერით ეცნობათ 2020 წლის 10 იანვრის სასამართლო სხდომის შესახებ.

64. შესაბამისად, ასეთ პირობებში, არსებობს იმის პრეზუმფცია, რომ მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა ადეკვატურად აღიქვა და დაიმახსოვრა სასამართლო შეტყობინების შინაარსი, რისი გამაქარწყლებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება და არც საჩივრის ავტორს წარმოუდგენია. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქმის განხილვის თარიღის არასწორად ჩანიშვნა არ წარმოადგენს ისეთ ობიექტურ გარემოებას, რომელიც სსსკ-ის 215-ე მუხლის რეგულირების სფეროში ექცევა და სადავო საპროცესო მოქმედების – სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას გაამართლებს. გამოუცხადებლობის საპატიობაზე გავლენას ვერ მოახდენს ის ფაქტიც, თუ მანამდე რამდენჯერ გამოცხადდა მხარე პროცესზე“. (მდრ: სუსგ №ას-1440-1360-2017, 26 ოქტომბერი, 2018, პ.1-11; 32-33).

65. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სწრაფი, ეკონომიური და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სასამართლო ხელისუფლების, ისე სამართალწარმოების მონაწილე პირთა პასუხისმგებლობაა და საამისოდ ყველა ლეგიტიმური შესაძლებლობის გამოყენებაა საჭირო, რაც თანაბრად უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას საქმის განხილვის ყველა ეტაპზე და ხელს შეუწყობს სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების არიდებას. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრებულია პრინციპი, რომლის თანახმად მხარეებს (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს), შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში როგორც პირადად, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით.

66. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა, იურიდიული პირისთვის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება, რადგან ამ უკანასკნელს შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს სასამართლო პროცესზე სხვა წარმომადგენლის (თანამშრომლის) გამოცხადება (შეადრ: სუსგ №ას-780-780-2018, 22 ოქტომბერი, 2019 წელი).

67. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე არის იურიდიული პირი, რომლის ინტერესებს სასამართლოში იცავდა უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომელთაგან ერთ-ერთის – ს. დ-ის გამოუცხადებლობა მიჩნეულია საპატიოდ (სსკ-ის 215.3 მუხლი), ხოლო მეორე წარმომადგენლის – თ. ი-ის გამოუცხადებლობა, საკასაციო პალატას საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, არ მიაჩნია საპატიოდ (შდრ: სუსგ №ას-800-2020, 12 ნოემბერი, 2020 წელი). საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხის მიერ მინდობილობა გაცემულია იურიდიული კომპანიის – შპს-ის 5 იურისტზე.

68. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებით მნიშვნელოვანი დებულებებია ასახული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

69. მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეული მხარისაგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მონინალმდევე მხარესთან მიმართებით (იხილეთ *Nideröst-Huber v Switzerland*, 18/02/1997, § 23; *Kress v France* (დიდი პალატა), no.39594/98, § 72, ECHR 2001-VI; *Yvon v France*, no 44962/98, § 31, ECHR 2003-V; *Gorraiz Lizarraga and Others v Spain*, no. 62543/00, § 56, ECHR 2004-III. „სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი კონცეფცია“ მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხ. *Ruiz-Mateos V Spain*, 23/06/1993, § 63, ECHR, Series A, no.262; *Lobo Machado v Portugal*, 20/02/1996, § 31, 1996-I. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ „სამართლიანი სასამართლო განხილვის“ მოთხოვნების დაცვა თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში (იხილეთ *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 27.10.1993, § 33, seria A no. 274).

70. აღნიშნული პრინციპი იმასაც გულისხმობს, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (იხ. *Dilipak and Karakaya v Turkey*, no. 7942/05 და 24838/05, 04/03/2014, § 77). თუ სასამართლო დოკუმენტები, მათ შო-

რის სასამართლო სხდომის უწყებები მხარეს არ ჩაჰბარდა, მაშინ მას შეიძლება ხელი შეეშალოს სამართალწარმოების პროცესში საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში (იხ. *Ozgur-Karaduman v Germany*, no. 4769/02, 26/06/2007; *Weber v Germany*, no. 30203/03, 02/10/2007; *Zavodnik v Slovenia*, no.53723/13, 21/05.2015, § 70).

71. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს, მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებას, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით. (იხილეთ: *Azdažic v. Slovenia*, no. 71872/12, 08/10/2015, § 49; *Gankin and Oters v Russia*, no. 12938/12. 31/05/2016, § 26.) თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით კი მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე.

72. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ იურიდიული პირის (მით უფრო სამეწარმეო საზოგადოების) წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების ყველა შემთხვევაში გაუქმება დაუშვებელია, რადგანაც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ისე უნდა უზრუნველყოს თავისი საქმიანობა (მოცემულ შემთხვევაში, იურიდიული სამსახურის მუშაობა), რომ ამა თუ იმ თანამშრომლის მივლინებაში ან შვებულებაში ყოფნამ/ავადმყოფობამ არ შეაფერხოს იურიდიული პირის ნორმალური ფუნქციონირება. სათანადო მენეჯმენტის არქონა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად ვერ მიიჩნევა და, ცხადია, არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების ვალდებულებისგან (იხ. სუსგ-ები: №ას-780-780-2018, 22 ოქტომბერი, 2019 წელი; №ას-152-148-2016, 3 ივნისი, 2016 წელი; №ას-345-330-2016, 6 ივნისი, 2016 წელი; №ას-269-257-2015, 20 ივლისი, 2015 წელი).

73. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წლის 10 იანვარს, 16:00 საათზე გასამართ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობა ვერ იქნება მიჩნეული საპატიოდ და ამ მხრივ, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

74. საკასაციო პალატა ყურადღებას გამახვილებს მეორე მნიშვნელოვან საკითხზეც, რომელიც შეეხება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობას, კერძოდ, სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ

სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. ზემოაღნიშნული კანონის დანაწესის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა; 2. იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; 3. მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, 4. სარჩელში მითითებული გარემოებები (ფაქტები) იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

75. მითითებული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებენ თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია. (შდრ. სუსგ №ას-1468-1388-2017, 11 მაისი, 2018.)

76. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო არ იხედება საქმეში, არ ამომიშვებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს საჭირო არაა, რადგან გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ „იხედება კანონში,“ რათა მისცეს ამ დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ფაქტები ამართლებენ შესაბამისი კანონის თანახმად მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას

სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ.400).

77. მოპასუხე მხარის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის კონტექსტში დადგენილად მიიჩნევა დავის ფაქტობრივი გარემოებები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო დადგენილად მიიჩნევს არა მხარის მოსაზრებებს, არამედ, იურიდიული მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტებს, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას ქმნიან, რაც შეეხება ამა თუ იმ მოსაზრებას, რომელსაც მხარე ავითარებს, ისინი სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, რა დროსაც საქმის განმხილველი შემადგენლობა ამოწმებს ამ ფაქტებს მატერიალური სამართლის დანაწესებთან მიმართებით. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების აქტი, მიუხედავად იმისა, იგი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპითაა მიღებული თუ ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შედეგად, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მატერიალური სამართლის ნორმას. საქმის განხილვაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობა, თუნდაც ეს არასაპატიო მიზეზით იყოს განპირობებული, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილებისას, გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი სანქციის ფუნქცია შესძინოს და იურიდიული შეფასების გარეშე დააკმაყოფილოს გამოცხადებული მხარის ყველა პრეტენზია. სწორედ ამგვარი თვითნებობის თავიდან აცილებას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა.

78. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ იხილავს მტკიცებულებებს და არ შედის მათ არსებით კვლევაში, მსჯელობს მხოლოდ სარჩელში მითითებულ ფაქტებზე და, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე, მაგრამ არ გამოცხადდა მოპასუხე, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად, მაგრამ მოსარჩელის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის აუცილებელია ამ ფაქტების იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს ფაქტები იურიდიულად ასაბუთებენ (ამართლებენ) მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მოსარჩელის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში

სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას გამოცხადებული მოსარჩელის საწინააღმდეგოდ, რომლითაც უარს ეტყვის სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ეს იქნება არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით.

79. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 10 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის 2018 წლის 26 მარტის №04/03-023 გადაწყვეტილება მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მოსარჩელე აღდგენილ იქნა მდივნის თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება თვეში 1000 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის გარეშე), 2018 წლის 26 მარტიდან სამუშაოზე აღდგენის ნაწილში გადაწყვეტილების აღსრულებამდე, დადგინდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის მიმართ, ოჯახური მდგომარეობის ნიშნით, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დისკრიმინაციული ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 10 000 ლარისა და მორალური ზიანის – 10 000 ლარის ანაზღაურება.

80. იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია გამოარკვიოს, კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრას და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას (იხ., სუსგ №ას-780-780-2018, 22 ოქტომბერი, 2019 წელი).

81. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობას იმის შესახებ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, იურიდიულად ამართლებდა თუ არა სასარჩელო მოთხოვნას, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. [სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი)

82. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები.

83. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის მიზეზი არასაპატიოა და, შესაბამისად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნევა, სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების წრე და მისცეს მათ სათანადო სამართლებრივი შეფასება. სწორედ ეს საკითხი უნდა გახდეს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. თუ აღნიშნული მსჯელობის შედეგად სააპელაციო პალატა მივა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სახეზე იქნება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების სამართლებრივი საფუძველი.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. სააკველიციო სასამართლოს გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-475-2020

11 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შპს ან საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საქციო საზოგადოებაა, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი. L“-ის, საქართველო-გერმანიის ერთობლივი სადაზღვევო კომპანია შპს „ი. L I“-ისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I.“-ის უფლებამონაცვლეა, მისი საქმიანობის სფერო დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმებასა და განხორციელებას უკავშირდება.

1.1. საზოგადოების 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით ექვსი კომპანია – შპს „უ. ა-ა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი შვილობილი კომპანია), შპს „უ. ს-ე“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე შვილობილი კომპანია), შპს „უ. კ-ი“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესამე შვილობილი კომპანია), შპს „ი. დ-ი“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეოთხე შვილობილი კომპანია), შპს „ა-ი“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეხუთე შვილობილი კომპანია), შპს „G.W.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეექვსე შვილობილი კომპანია ან ერთობლივად მოხსენიებული, როგორც შვილობილი კომპანიები) დაფუძნდა, კომპანიები ფლობდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას და ეწეოდნენ ბიზნესსაქმიანობას.

2. გ. ფ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირვე-

ლი მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი), ლ. ნ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი), ლ. ნ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესამე მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი), ა. ლ-ძისა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეოთხე მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) და შპს „ს-დოს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეხუთე მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) მითითებით – ე.წ. „უ-ის“ კომპანიები ჰოსპიტალური სექტორის განვითარების შესახებ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა, რაც რეგიონებში თანამედროვე საავადმყოფოების მშენებლობასა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას გულისხმობდა.

3. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო რაიონების მიხედვით, სადაზღვევო ვაუჩერის ფასის დადგენისა და მზღვეველი კომპანიის გამოვლენის მიზნით, საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი კომპანიის 2010 წლის 20 აპრილის კონკურსში სხვადასხვა ლოტებში/რაიონებში საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიამ გაიმარჯვა. აღნიშნული ითვალისწინებდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით, გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №218 დადგენილების საფუძველზე, შესაბამის გამარჯვებულ რაიონებში/ლოტებში ჰოსპიტლების მშენებლობას, მშენებლობა-აღჭურვის დასრულებასა და ექსპლუატაციაში მიღებას, სახელდობრ:

ა) აჭარა:

ა.ა. ბათუმი – 100 – სანოლიანი – არაუგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა;

ა.ბ. ქობულეთი – 70 – სანოლიანი – არაუგვიანეს 2012 წლის 31 მარტისა;

ა.გ. ჩაქვი – 15 – სანოლიანი – არაუგვიანეს 2011 წლის 1 დეკემბრისა;

ა.დ. ქედა – 15 – სანოლიანი – არაუგვიანეს 2011 წლის 1 დეკემბრისა;

ა.ე. ხულო – 25 – სანოლიანი – არაუგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა;

ა.ვ. შუახევი – 15 – სანოლიანი – არაუგვიანეს 2011 წლის 1 დეკემბრისა;

ბ) კახეთი:

ბ.ა. თელავი – 70 – სანოლიანი – არაუგვიანეს 2012 წლის 31 მარტისა;

ბ.ბ. ყვარელი – 15 – სანოლიანი – არაუგვიანეს 2011 წლის 1 დე-

კემბრისა;

ბ.გ. ახმ. – 15 – საწოლიანი – არაუგვიანეს 2011 წლის 1 დეკემბრისა;

გ) სამცხე:

გ.ა. ადიგენი – 15 – საწოლიანი – არაუგვიანეს 2011 წლის 1 დეკემბრისა;

გ.ბ. ახალქალაქი – 15 – საწოლიანი – არაუგვიანეს 2011 წლის 1 დეკემბრისა.

4. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2010 წლის 6 სექტემბერს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიასა და სს „ს. ბ-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც კრედიტის გამცემი, ბანკი ან კრედიტორი) შორის გაფორმდა 15 000 000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, სახელდობრ,

4.1. პირველ შვილობილ კომპანიასთან 2010 წლის 6 სექტემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება №000739/525167/839601/839624, ხოლო 2010 წლის 7 სექტემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ 06.09.2010 წლის ხელშეკრულების შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება №767569, რომლის თანახმად, ბანკმა გასცა საკრედიტო ხაზის შემადგენელი კრედიტი – 6 200 000 აშშ დოლარის ზღვრული მოცულობით.

4.2. მეორე შვილობილ კომპანიასთან 2010 წლის 6 სექტემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება №000739/525167/839601/839624, ხოლო 2010 წლის 9 სექტემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ 06.09.2010 წლის ხელშეკრულების შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება №768843, რომლის თანახმად, ბანკმა გასცა საკრედიტო ხაზის შემადგენელი კრედიტი – 500 000 აშშ დოლარის ზღვრული მოცულობით.

4.3. მესამე შვილობილ კომპანიასთან 2010 წლის 6 სექტემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება №000739/525167/839601/839624, ხოლო 2010 წლის 9 სექტემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ 06.09.2010 წლის ხელშეკრულების შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება №767861, რომლის თანახმად, ბანკმა გასცა საკრედიტო ხაზის შემადგენელი კრედიტი – 3 300 000 აშშ დოლარის ზღვრული მოცულობით.

4.4. ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, კრედიტორის სასარგებლოდ, იპოთეკით დაიტვირთა სადაზღვევო და შვილობილი კომპანიების კუთვნილი უძრავი ქონება, გირავნობით დაიტვირ-

თა არსებული და ყველა სამომავლო მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთეც, კერძოდ, შპს „მ-ში“ პირველი მოსარჩელის კუთვნილი 50%-იანი წილი, მეორე მოსარჩელის კუთვნილი 50%-იანი წილი, პირველ შვილობილ კომპანიაში სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I“-ის კუთვნილი 100% წილი, მესამე შვილობილ კომპანიაში, სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I“-ის კუთვნილი 100% წილი და მეორე შვილობილ კომპანიაში სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I“-ის კუთვნილი 100% წილი.

4.5. საკრედიტო ხაზის მომსახურების ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით შპს „მ-თან“, პირველ, მეორე მოსარჩელეებთან და გ. ლ-ძესთან თავდებობის ხელშეკრულებებიც გაფორმდა.

5. მხარეთა შეთანხმებით, 2011 წლის 9 სექტემბერს საკრედიტო ხაზის მომსახურების ხელშეკრულებაში საკრედიტო ლიმიტის 35 000 000 აშშ დოლარამდე გაზრდის თაობაზე ცვლილება შევიდა. გაზრდილი საკრედიტო რესურსის უზრუნველსაყოფად 2011 წლის 12 სექტემბერს გირავნობის უფლებით დაიტვირთა შვილობილი კომპანიების – შპს „უ. ა-ის“, შპს „უ. კ-ისა“ და შპს „უ. ს-ეში“ პარტნიორის 100%-იანი წილები, რომელთა ქონებას წარმოადგენდა ყველა მშენებარე და აშენებული სამედიცინო ობიექტი. კრედიტორის სასარგებლოდ დამატებით გირავნობით დაიტვირთა საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიის არსებული და სამომავლო ყველა მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე – შპს „მ.“ პარტნიორთა, გ. ფ-ისა და ლ. ნ-ძის ჯამურად 100%-იანი წილი. 2011 წლის 9 სექტემბერს გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულებები თითოეულთან ოცდათხუთმეტი მილიონი აშშ დოლარის სოლიდარული თავდებობის შესახებ.

5.1. 2011 წლის 15 სექტემბერს ბანკსა და პირველ შვილობილ კომპანიას შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ 06.09.2010 წლის №000739/525167/839601/839624 ხელშეკრულების შემადგენელი №970593 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც გაიცა კრედიტი – 6 200 000 აშშ დოლარი. ამასთან, რესტრუქტურისაზღვის საკომისიო განისაზღვრა – 598 065 აშშ დოლარით, ხოლო კრედიტის ტრანშების ათვისება და კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა განხორციელდა თანდართული გრაფიკის მიხედვით, კერძოდ, 2012 წლის 15 აგვისტოდან. ამასთან, გრაფიკის მიხედვით, 2012 წლის 16 აპრილს უნდა დაწყებულიყო მხოლოდ პროცენტის გადახდა 2012 წლის 15 აგვისტომდე, მათ შორის – 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 16 აპრილამდე დაგროვებული პროცენტისაც.

ამასთანავე, 2011 წლის 15 სექტემბერს ბანკსა და პირველ შვი-

ლობილ კომპანიას შორის გაფორმდა საკრედიტო მომსახურების შესახებ 06.09.2010 წლის №000739/525167/839601/839624 ხელშეკრულების შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება №970702, რომლის თანახმადაც, მსესხებელზე – გაიცა კრედიტი 3 430 000 აშშ დოლარის ზღვრული მოცულობით. კრედიტის ტრანშების ათვისება და კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა ხორციელდებოდა თანდართული გრაფიკის მიხედვით, კერძოდ, 2012 წლის 15 აგვისტოდან. ამასთან, გრაფიკის მიხედვით, 2012 წლის 16 აპრილს უნდა დაწყებულიყო მხოლოდ პროცენტის გადახდა 2012 წლის 15 აგვისტომდე, მათ შორის – 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 16 აპრილამდე დაგროვებული პროცენტისაც.

5.2. 2011 წლის 15 სექტემბერს ბანკსა და მეორე შვილობილ კომპანიას შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ 06.09.2010 წლის №000739/525167/839601/839624 ხელშეკრულების შემადგენელი №970749 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც გაიცა კრედიტი – 500 000 აშშ დოლარი. რესტრუქტურირების საკომისიო განისაზღვრა – 42 097 აშშ დოლარით, ხოლო კრედიტის ტრანშების ათვისება და კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა ხდებოდა თანდართული გრაფიკის მიხედვით, კერძოდ, 2012 წლის 15 აგვისტოდან.

ამასთან, გრაფიკის მიხედვით, 2012 წლის 16 აპრილს უნდა დაწყებულიყო მხოლოდ პროცენტის გადახდა 2012 წლის 15 აგვისტომდე, მათ შორის – 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 16 აპრილამდე დაგროვილი პროცენტისაც.

2011 წლის 15 სექტემბერს სს ბანკსა და შპს „უ. ს-ეს“ შორის გაფორმდა საკრედიტო მომსახურების შესახებ 06.09.2010 წლის №000739/525167/839601/839624 ხელშეკრულების შემადგენელი №970828 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მსესხებელზე გაიცა კრედიტი – 225 000 აშშ დოლარის ზღვრული მოცულობით. კრედიტის ტრანშების ათვისება და კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა განხორციელდა თანდართული გრაფიკის მიხედვით, კერძოდ, 2012 წლის 15 აგვისტოდან. ამასთან, გრაფიკის მიხედვით, 2012 წლის 16 აპრილს უნდა დაწყებულიყო მხოლოდ პროცენტის გადახდა 2012 წლის 15 აგვისტომდე, მათ შორის – 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 16 აპრილამდე დაგროვებული პროცენტისაც.

5.3. 2011 წლის 15 სექტემბერს ბანკსა და მესამე შვილობილ კომპანიას შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ 06.09.2010 წლის №000739/525167/839601/839624 ხელშეკრულების შემადგენელი №970722 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც გაიცა კრედიტი – 3 300 000 აშშ დოლარი. რესტრუქტური-

ზაციის საკომისიო განისაზღვრა – 259 839 აშშ დოლარით, ხოლო კრედიტის ტრანშების ათვისება და კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა ხდებოდა თანდართული გრაფიკის მიხედვით, კერძოდ, 2012 წლის 15 აგვისტოდან. ამასთან, გრაფიკის მიხედვით, 2012 წლის 16 აპრილს უნდა დაწყებულიყო მხოლოდ პროცენტის გადახდა 2012 წლის 15 აგვისტომდე, მათ შორის – 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 16 აპრილამდე დაგროვებული პროცენტისაც.

2011 წლის 15 სექტემბერს ბანკსა და შპს „უ. კ-ს“ შორის გაფორმდა საკრედიტო მომსახურების შესახებ 06.09.2010 წლის №000739/525167/839601/839624 ხელშეკრულების შემადგენელი №970748 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მსესხებელზე გაიცა კრედიტი – 1 345 000 აშშ დოლარის ზღვრული მოცულობით.

კრედიტის ტრანშების ათვისება და კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა განხორციელდა თანდართული გრაფიკის მიხედვით, კერძოდ, 2012 წლის 15 აგვისტოდან. ამასთან, გრაფიკის მიხედვით, 2012 წლის 16 აპრილს უნდა დაწყებულიყო მხოლოდ პროცენტის გადახდა 2012 წლის 15 აგვისტომდე, მათ შორის – 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 16 აპრილამდე დაგროვებული პროცენტისაც.

6. მხარეთა განცხადებით, 2011 წლის 15 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხები, პირველი შვილობილი კომპანიის შემთხვევაში – 6 200 000 აშშ დოლარი, მეორე შვილობილი კომპანიის შემთხვევაში – 500 000 აშშ დოლარი, მესამე შვილობილი კომპანიის შემთხვევაში – 3 300 000 აშშ დოლარი, რეალურად არ გაცემულა და წარმოადგენდა 2010 წლის სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ თანხას. ფაქტობრივად, გაიცა 5 000 000 აშშ დოლარი (შპს „უ. ა-ა“ – 3 430 000 აშშ დოლარი; შპს „უ. კ-ი“ – 1 345 000 აშშ დოლარი; შპს „უ. ს-ე“ – 225 000 აშშ დოლარი), საიდანაც დაიქვითა სესხის რესტრუქტურისა და ზაციის საკომისიო – 900 001 აშშ დოლარი.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2020 წლის 10 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე პირველი აპელანტების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2010 წლის სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ერთი წლის განმავლობაში ასრულებდნენ სასესხო ვალდებულებებს და იხდიდნენ თანხას ყოველთვიურად.

ანაზღაურება ემსახურებოდა შპს „უ. ა-ის“ შემთხვევაში, კრედიტის თანხის – 6 200 000 აშშ დოლარის, შპს „უ. კ-ის“ შემთხვევაში, კრედიტის თანხის – 3300 000 აშშ დოლარისა და შპს „უ. ს-ის“ შემთხვევაში, კრედიტის თანხის – 500 000 აშშ დოლარის, დაფარვას. მისივე განმარტებით, მიუხედავად აღნიშნულისა, 2011 წლის

15 სექტემბრიდან თავიდან დაიწყო მითითებული კრედიტის თანხების მომსახურება.

8. შპს „ი. ჰ-ი“ (9.6118889% წილის მქონე აქციონერი), შპს „მ-ა“ (51% წილის მქონე აქციონერი) და შპს „ს-დო“ (5.3881111% წილის მქონე აქციონერი) 2012 წლის მაისამდე იყვნენ სს „სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-ის“ აქციონერები.

თავის მხრივ, შპს „ს-ში“ ა. ტ-ში იყო 62,93% წილის მესაკუთრე, ხოლო ი. ტ-ში – 37,07% წილის მესაკუთრე. შპს „მ-ში“ 50%-50%-იანი წილის მესაკუთრეები იყვნენ გ. ფ-ი და ლ. ნ-ძე, ხოლო შპს „ი. ჰ-ში“ ა. ლ-ძე ფლობდა 49,56%-იან წილს, ლ. ნ-ძე – 40,02%-იან წილს და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება – 10.42%-იან წილს.

9. 2012 წლის 21 მაისს ლ. ნ-ძესა და სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი ბ-ის“ შორის დაიდო შპს „ი. ლ ჰ-ში“ ლ. ნ-ძის კუთვნილი 40,02% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. შეთანხმების მიხედვით, წილის ღირებულება – 192 334 აშშ დოლარით განისაზღვრა, ნასყიდობის საფასური გამყიდველს აუნაზღაურდა.

10. 2012 წლის 24 აპრილს გ. ფ-ს, ლ. ნ-ძეს, შპს „მ-ა“ და სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი ბ-ს“ შორის დაიდო შპს „მ“-ში გ. ფ-ის კუთვნილი 50% წილისა და ლ. ნ-ძის კუთვნილი 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. რომლის მიხედვით, წილის ღირებულება 2 000 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. ნასყიდობის საფასური გამყიდველებს თავიანთი წილის პროპორციულად, თითოეულს 1 000 000 აშშ დოლარი აუნაზღაურდათ.

11. 2012 წლის 21 მაისს ა. ლ-ძესა და სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი ბ-ის“ შორის დაიდო შპს „ი. ლ ჰ-ში“ ა. ლ-ძის კუთვნილი 49,56% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 238 182 აშშ დოლარით, რომელიც გამყიდველს აუნაზღაურდა.

12. 2012 წლის 26 ივლისს შპს „ს-დოსა“ და შპს „ი.ე. ჰ-ს“ შორის გაფორმდა აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ს-დოს“ 62.93 % წილის მფლობელმა პარტნიორმა, ა. ტ-შმა – 1 695 336.57 აშშ დოლარი, ხოლო შპს „ს-დოს“ 37.07% წილის მფლობელმა პარტნიორმა, ი. ტ-შმა – 99 868.43 აშშ დოლარი მიიღეს.

13. 2014 წლის დეკემბერში, „ი. ლ I“-ის ყოფილმა აქციონერებმა მიმართეს შპს „G.G.C“-ს მომსახურების განვების მიზნით, კერძოდ კომპანია – შპს „G.G.C“-ს ევალუბოდა:

ა) განეხილა და გაენაწილა აუდიტორული დასკვნა და აუდიტორი BDO-ს მიერ იმედის საბალანსო ღირებულებაში შეტანილი კორექტირება 2012 წლის 31 მარტისთვის.

ბ) მოემზადებინა „ი. L-ის“ შეფასების დასკვნა 2012 წლის 1 აპრილისათვის ყველა შვილობილი კომპანიის ჩათვლით, შეესრულებინა ობიექტური საექსპერტო ქმედებები ამ შეფასების მომზადებისათვის.

გ) წარმოედგინა წერილობითი დასკვნა აქციონერებისათვის შეფასებასთან („ანგარიში“) დაკავშირებით.

დ) მიეცა ჩვენება სასამართლოში „ი. L-ის“ შეფასებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში.

14. საქმეში წარმოდგენილი G. V-ის საექსპერტო შეფასების ანგარიში აღნიშნავს აუდიტორებისა და „ი. L-ის“ ახალი მენეჯმენტის მიერ კომპანიის საბალანსო ღირებულებაში შეტანილი კორექტირების უმართებულობის მთავარ მიზეზს; აღწერს შესრულებული შეფასების პროცესს, შეფასების მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა „ი. L-ის“ ღირებულების დიაპაზონის დასადგენად 2012 წლის 1 აპრილის მონაცემებით.

14.1 საექსპერტო შეფასების ანგარიშის თანახმად, კომპანია „ი. L-ის“ სამართლიანი ღირებულების შეფასების შედეგად, დადგენილ იქნა დიაპაზონი 28.3 მილიონი აშშ დოლარიდან – 32.7 მილიონი აშშ დოლარამდე. კომპანიის ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ იქნა რამდენიმე მეთოდი, კერძოდ:

- პრეცედენტულ გარიგებათა ანალიზი – 20,312-24,005 მილიონი აშშ დოლარი;

- დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი – 20,836-24,702 მილიონი აშშ დოლარი;

- სადაზღვევო ბიზნესის შეფასება – 20,312-24,702 მილიონი აშშ დოლარი;

- ჯანდაცვის ბიზნესის შეფასება – 8,008-8,008 მილიონი აშშ დოლარი;

- მთლიანი სამართლიანი ღირებულება – 28,320-32,710 მილიონი აშშ დოლარი;

აღნიშნული დასკვნის მიხედვით, შეფასების შუა ნერტილი განისაზღვრა – 30 515 მილიონი აშშ დოლარით.

15. მოსარჩეველების მოთხოვნით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 5 ოქტომბრის №005880116 დასკვნის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი ექსპერტიზის დასკვნა) თანახმად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალების, კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, დაშვებებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, გაანგარიშებულ იქნა სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I-ის“ 100%-ის წილის საბაზრო ღირებულება, შვილობილი კომპანიების ღირებულების გათვალისწინების გარეშე 2012 წლის აპრი-

ლის მონაცემებით, რომელიც განისაზღვრა – 40 147 455 ლარით, რაც 2012 წლის 30 აპრილის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის ოფიციალური კურსის შესაბამისად – 24 678 790 აშშ დოლარია.

16. სს „ს.კ.ე-ის“ მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ბ.ტ.ჯ-ამ“ ლიმიტირებულად გაანალიზა/მიმოიხილა პირველი ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, შეფასებულია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი (DCF). ამ მეთოდის მოკლე შინაარსით: შემფასებელი/ანალიტიკოსი ახორციელებს შესაფასებელი კომპანიის მომავალი საოპერაციო ფულადი ნაკადების პროგნოზირებას. პროგნოზირება ხორციელდება მომავალი 5-10 წლის პერიოდისათვის, სტაბილური ფულადი ნაკადების მიღწევის მომენტამდე. ამ ფულადი ნაკადების პროგნოზირებისას ხდება ძირითადი საშუალებების შეძენასა და გადასახადებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებაც. საპროგნოზო პერიოდის ბოლოსათვის ტერმინალური ღირებულების გაანგარიშება აისახება საპროგნოზო პერიოდის შემდგომ კომპანიის ფულადი ნაკადების ღირებულებაში. ამ სახით განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლებზე განაწილებისა და ფინანსური ვალდებულების გასტუმრებისათვის ხელმისაწვდომი ფულადი ნაკადების ოდენობა.

16.1. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექსპერტის მიერ სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I-ის“ 100% წილის ღირებულება შეფასებულია 40 147 455 ლარად. შეფასებული ღირებულების ძირითადი გაანგარიშება მოცემულია ექსპერტიზის დასკვნის მე-4 დანართში. გაანგარიშებაში ნათლად ჩანს, რომ შეფასება განხორციელებულია არა სანესდებო კაპიტალისათვის, არამედ სანარმოსათვის ხელმისაწვდომი თავისუფალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით, ანუ FCFF ფულადი ნაკადის გამოყენებით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეფასებულია იმ ფულადი ნაკადების (დისკონტირების) გზით, რომელშიც არ არის ასახული ფინანსური ვალდებულების დაფარვასთან დაკავშირებული საპროგნოზო ფულადი თანხები. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნაში შეფასებული ღირებულება მეთოდოლოგიურად წარმოადგენს კომპანიის/სანარმოს ღირებულებას და არა კომპანიის წილთა/აქციითა 100%-ის ღირებულებას. თუ დავუშვებთ, რომ ყველა სხვა ასპექტში ექსპერტის დასკვნა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი და სწორია (მათ შორის – ადექვატურია საპროგნოზო შემოსავლების გაანგარიშებების ნაწილში), მაშინ სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I-ის“ 100% წილის საბაზრო ღირებულების გაანგარიშებისათვის აუცილებელია, ამ მიზნით სხვა ჩასწორებებთან ერთად, ექსპერტის მიერ გაანგარიშებული თანხა –

40 147 455 ლარი შემცირდეს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I“-ის სასახეო ვალდებულების 4 385 000 ლარისა და საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I“-ის მიერ თავის შვილობილი კომპანიების მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით გაცემული თავდებობის საბაზრო ფასით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექსპერტის დასკვნაში შეფასებული თანხა (40 147 455 ლარი) არ შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I“-ის წილთა/აქციათა 100%-ის საბაზრო ღირებულებად.

17. სს „ს.კ.ე-ის“ მოთხოვნით შემუშავებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 12 ივნისის №003264717 დასკვნით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე ექსპერტიზის დასკვნა), ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალების, კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, დაშვებებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, გაანგარიშებულ იქნა სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი. L I“-ის (მისი შვილობილი კომპანიების გათვალისწინებით) 100%-ის წილის საბაზრო ღირებულება 2012 წლის აპრილის მონაცემებით, რომელიც 10 207 700 ლარით განისაზღვრა.

18. სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი ბ-ის“, როგორც მყიდველსა და ლ. ნ-ძეს, როგორც გამყიდველს, შორის 2012 წლის 21 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, „ლ. ნ-ძემ მყიდველს უნდა წარუდგინოს მის მიერ ხელმოწერილი ვალდებულება დანართ „ბ“-ში მოცემული ფორმით, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავად ან მასთან დაკავშირებული პირების მეშვეობით არ გაუწევენ კონკურენციას მყიდველს ან/და „ი.ე.-ს“ (ან მათ შვილობილ კომპანიებს, რომელთა საქმიანობა ეხება სადაზღვევო, სადაზღვევო საბროკერო, გადაზღვევის და/ან ჯანდაცვის სფეროებს“) (იხ. შეთანხმების 4.1.2. პუნქტი).

18.1. აღნიშნული პირობა ლ. ნ-ძემ დააკმაყოფილა და 2012 წლის 21 მაისს წარადგინა კონკურენციის აკრძალვის თაობაზე განცხადება, რომლის ძალით მოპასუხის მიერ აღებულ იქნა შემდეგი ვალდებულება:

„წინამდებარე განაცხადით, „განმცხადებელი“ საკუთარი და მასთან დაკავშირებული/აფილირებული პირების (მათ შორის – მათი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების ან/და იმ იურიდიული პირების, სადაც განმცხადებელი ან/და მასთან აფილირებული პირები ფლობენ წილის / აქციების 5%-ზე მეტს ან სადაც დაკავებული აქვთ მმართველი თანამდებობა, ან სხვაგვარად აკონტროლებენ ამგვარ იურიდიულ პირებს) სახელით იღებს ვალდებულებას, რომ „განმცხადებელი“ ან/და მასთან დაკავშირებული/აფილირებული

პირები წინამდებარე „განცხადების“ ხელმოწერიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში, სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი ბ-ის“ წინასწარი წერილობით თანხმობის გარეშე, ერთობლივად და/ან ინდივიდუალურად არ აწარმოებენ (პირდაპირ ან მესამე პირების მეშვეობით) და უზრუნველყოფენ, რომ სხვა მათთან დაკავშირებულმა პირებმა არ აწარმოონ (პირდაპირ ან მესამე პირების მეშვეობით) ნებისმიერი იმ სხვა კომპანიის, ან პიროვნების საკონსულტაციო ან მსგავსი მომსახურება, რომლის ბიზნესიც კონკურენციას უწევს, ხელყოფს, ზოგადად, აზიანებს ან/და დაბრკოლებებს უქმნის სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი.ე. ი-ის“ ან/და „ა-ის“ (ან მათი შვილობილი კომპანიების) საქმიანობას ან რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება „კომპანიის“, „ა-ის“ ან/და მათი შვილობილი კომპანიების ინტერესებს. კერძოდ, აღნიშნული საქმიანობა მოიცავს სადაზღვევო, სადაზღვევო საბროკერო, გადაზღვევის და/ან ჯანდაცვის სფეროებს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს, აგრეთვე, ამგვარ კონკურენტ კომპანიაში (კომპანიებში) წილის/აქციების ფლობას ან დაქირავებულად (მათ შორის – მმართველ ან არჩევით თანამდებობაზე) მუშაობას.

19. 2011 წლის 16 ოქტომბერს სს „სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-სა“ და R-I-ს (რ-ი.) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა „რ-ი-ის“ მიერ სადაზღვევო კომპანიისათვის ფულადი სახსრების მოძიებაში დახმარების განევა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 9 თვით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევის თარიღით (რომელიც უფრო ადრე დადგებოდა);

19.1. ხელშეკრულების თანახმად, სადაზღვევო კომპანია ვალდებული იყო, „რ-ი-თვის“ ყოველთვიურად გადაეხადა ფიქსირებულიად 2000 აშშ დოლარი.

19.2. ამავე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, თუ დამკვეთი შეწყვეტს ამ ხელშეკრულებას ტრანზაქციის დახურვის ვადამდე და ამის მიზეზი არ იქნება აქ განსაზღვრული ვალდებულებების უხეში დარღვევა ან განზრახ შეუსრულებლობა კონსულტანტის მხრიდან, რასაც დაადასტურებს სათანადო სასამართლო საბოლოო განაჩენით, დამკვეთი გადაუხდის კონსულტანტს შეწყვეტის საზღაურს, 75 000 აშშ დოლარს;

19.3. ხელშეკრულების მიზნებისათვის ტრანზაქცია ნიშნავს: ცალკეულ ტრანზაქციას ან ტრანზაქციების ერთობლიობას, რომლის ფარგლებშიც დამკვეთი მოიზიდავს 30 მლნ აშშ დოლარამდე თანხას, რომ ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაანაცვლოს ს. ბ-ში ამჟამად არსებული/მოქმედი კრედიტი, გამოყოფილი აღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად, ხოლო „ტრანზაქციის დასრულება“ ნიშ-

ნავს ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა სავალდებულო ხელშეკრულების გაფორმების თარიღს.

20. 2012 წლის 8 აპრილს, ა. ლ-ქემ (რომელსაც ამ დროს ეკავა კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობა) იმ მოტივით, რომ დაგეგმილი იყო კომპანიის გასხვისება, ვადამდე შეწყვიტა 2011 წლის 16 ოქტომბრის ხელშეკრულება, კერძოდ, მან „რ-ი-ის“ უფლებამოსილ პირს – ვ. ვ-ის აცნობა, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-ის“ აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გაყიდონ კომპანია. ამავე წერილით აქციონერთა გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ა. ლ-ქემ მოითხოვა ვაშინგტონში 17 აპრილს ინვესტორებთან დანიშნული შეხვედრის გაუქმება და, შესაბამისად, „რ-ი-ის“ ნებისმიერი საქმიანობის შეწყვეტა 2011 წლის 16 ოქტომბრის ხელშეკრულების ფარგლებში. „რ-ი.“ დაეყრდნო ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობას, მოითხოვა ჯარიმის – 75 000 აშშ დოლარის გადახდა.

21. სადავო თანხის გადახდის მოთხოვნით, „რ-ი-მა“ შეიტანა სარჩელი ბერლინის საოლქო სასამართლოში, როგორც ამას ითვალისწინებდა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

21.1. „რ-ი-სა“ და სს „სადაზღვევო კომპანია ა-ს“ შორის დავა დასრულდა მორიგებით; სადაზღვევო კომპანიამ: 1) „რ-ი-ს“ გადაუხადა 25,000 ევრო, რომელიც გადახდის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის მიხედვით შეადგენდა – 57,180 ლარს; 2) შპს „ბ.ე.ს-ს“ გადაუხადა – 1,000 აშშ დოლარი და ასევე დღგ, რომელიც დადგენილი კურსის მიხედვით, ჯამურად შეადგენდა 2089.66 ლარს; 3) L. & S-ს ორ ნაწილად გადაუხადა – 4,368 ევრო, რომელიც გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით შეადგენდა – 10,282.83 ლარს; ზემოაღნიშნული გადარიცხვების საკომისიომ ჯამურად – 240.99 ლარი შეადგინა.

22. 2014 წლის 31 ივლისს განხორციელდა სს „სადაზღვევო კ. ა-ის“ რეორგანიზაცია (გაყოფა გამოყოფის გზით), რომლის შედეგადაც სს „სადაზღვევო კომპანია ა-ს“ (ს/კ: ...) გამოეყო ორი იურიდიული პირი: 1) სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი“, რომლის ძირითად საქმიანობაა ყველა სახის დაზღვევა, გარდა ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევისა და რომელსაც მიენიჭა ახალი საიდენტიფიკაციო კოდი – ... 2) სს „ს.კ.ე-ი“ ს/კ-თ ..., აღნიშნული კომპანიის საქმიანობის სფერო ჯანდაცვაა.

22.1. სს „სადაზღვევო კომპანია ა-მა“ (ს/კ ...) რეორგანიზაციის შედეგად შეიცვალა სახელწოდება და მის საფირმო სახელწოდებად განისაზღვრა სს „სადაზღვევო კომპანია ი. ე.“, თუმცა შეინარჩუნა რეორგანიზაციამდე არსებული საიდენტიფიკაციო კოდი – ...

ამ უკანასკნელის საქმიანობის სფერო ჯანმრთელობის, სიცოცხლის, უბედური შემთხვევებით გამოწვეული გარდაცვალებისა და/ან შრომისუუნარობისა და სამოგზაურო დაზღვევაა.

23. 2010 წლის 14 ნოემბერს სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-სა“ და შპს „ა. ს. ვ-ის“ შორის გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება და გაიცა ავიაგადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი SNW141110.

23.1. იმავე დღეს, აღნიშნულ პოლისში შევიდა ცვლილება SNW141110/1-Add, რომლის მიხედვით, მზღვევის პასუხისმგებლობის ლიმიტი – 500 000 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. პოლისი მოიცავდა მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის, მგზავრების წინაშე პასუხისმგებლობისა და ტვირთის გამო პასუხისმგებლობის დაზღვევას. სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა შემდეგნაირად: 14.11.2010 – 13.12.2010; ამავე ცვლილებით დაფარვის ტერიტორიას პაკისტანიც დაემატა.

24. ხელშეკრულების დადების პერიოდში 2010 წლის 14 ნოემბერს სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-ის“ გენერალური დირექტორი იყო ა. ლ-ძე, რომელიც ხელს აწერს 2010 წლის 14 ნოემბრის დაზღვევის ხელშეკრულებასა და სადაზღვევო პოლისებს.

25. 2010 წლის 28 ნოემბერს, სადაზღვევო SNW141110/1-Add პოლისით დაზღვეულმა შპს „ა. ს. ვ-ის“ თვითმფრინავმა IL-76TD რეგისტრაციის ნომრით ..., განიცადა კატასტროფა პაკისტანის ტერიტორიაზე, კარაჩიში, ჯინაჰის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ. შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა ოთხი ფიზიკური პირი: 1. ე. ჰ-ნი; 2. შ. ი-ი; 3. ბ. ბ-ში; 4. მ. რ-ს. შემთხვევის შედეგად ასევე დაზიანდა შემდეგი ორგანიზაციების ქონება: 1. კომპანია N. H. S. (HTS); 2. კომპანია M/s P. C; 3. კომპანია M/s I.C.(PVT) L.; 4. კომპანია M/s P. I.

26. 2010 წლის 2 დეკემბერს სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-ის“ გენერალურმა დირექტორმა ა. ლ-ძემ გააფორმა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება საერთაშორისო იურიდიულ კომპანიასთან „გ.ე.პ-თან“, რომელმაც აიღო ვალდებულება, გაეწია სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-თვის“ მომსახურება (სასამართლოში წარმომადგენლის ჩათვლით) პაკისტანის სასამართლოში.

26.1. შემთხვევის შედეგად დაზარალებული პირების მემკვიდრეების სასარჩელო მოთხოვნები შემდეგნაირად იყო განსაზღვრული:

1. ე. ჰ-ის მემკვიდრეები – სულ 320 163 აშშ დოლარის ეკვივალენტი;

2. შ. ი-ის მემკვიდრეები – სულ 454 803 აშშ დოლარის ეკვივალენტი;

3. ს. ბ. მემკვიდრეები – 318 118 აშშ დოლარის ეკვივალენტი;

4. მ. რ-ის მემკვიდრეები – 477 388 აშშ დოლარის ეკვივალენტი;

27. 2012 წლის 16 ნოემბერს განხორციელდა სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-ის“ შერწყმა/მიერთება სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი ბ-თან“, რის შედეგადაც, აღნიშნული თარიღიდან სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი ბ.“ გახდა სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-ის“ სამართალმემკვიდრე და უფლებამონაცვლე და მასზე, როგორც ახალ მზღვეველზე, გადავიდა ყველა ის უფლება-მოვალეობა, რომელიც წარმოშობილი და გათვალისწინებული იყო სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-სა“ და შპს „ა.ს.ვ-ს“ შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე. 2013 წლის 2 ივლისიდან სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი ბ-ის“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და გახდა სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი“.

28. სს „სადაზღვევო კომპანია ა-ის“ მიერ სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ი. ე. ი-ის“ მიერთების შემდეგ, სს „სადაზღვევო კომპანია ა-ი“ განაგრძობდა მითითებულ საქმეზე „გ. ე. პ-თან“ ურთიერთობას, ხოლო მოგვიანებით, 2013 წლის 31 ოქტომბერს „გ. ე. პ-ის“ რეორგანიზაციის შედეგად, სს „სადაზღვევო კომპანია ა-მა“ ხელშეკრულება გააფორმა იურიდიულ კომპანია „კ-სთან“ ისეთივე პირობებით, როგორც ეს განსაზღვრული იყო „გ. ე. პ-თან“.

29. საქმის მასალების შესწავლის შემდეგ იურიდიული კონსტულტანტების მიერ „სადაზღვევო კომპანია ა-ს“, მიეცა დაზარალებული პირების მემკვიდრეებთან საქმის მორიგებით დასრულების თაობაზე საბოლოო რეკომენდაცია. მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა თითოეული გარდაცვლილის მემკვიდრეთათვის 50 000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე შეთანხმება. მორიგების პირობით დაზარალებული პირების მემკვიდრეები სრულად ათავისუფლებდნენ შპს „ავიაკომპანია ს. ვ-ის“ და მის მზღვეველს, ასევე – სხვა პირს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, რაც შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო 2010 წლის 28 ნოემბრის ავიაკატასტროფასთან. აღნიშნული მორიგების აქტების გაფორმების საფუძველზე სს „სადაზღვევო კომპანია ა-მა“ გადაიხადა 200 000 აშშ დოლარი.

30. მითითებულ საქმეზე სადაზღვევო კომპანიის მიერ სარჩელის შეტანის თარიღისათვის გაღებულია იურიდიული მომსახურების ხარჯები – 41 509,80 გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარი.

31. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხეების წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სადაზღვევო კომპანიის მზარდი და წარმატებული განვითარების პირობებში, მათ, როგორც აქციონერების მიმართ მიზანმიმართულად განხორციელდა ძალადობრივი და იძულებითი ქმედებები, რაც გამოიხატა სადაზღვევო ბაზარზე არსებული კონკურენტი კომპანია „ა-ი ბისიის“ სასარგებლოდ, აქციების დაბალ ფასად დათმობაში. კერძოდ, სს „ს. ბ-ი“ მათი კონკურენტის კომპანია „ა-ი ბ.“ 100%-იანი წილის მესაკუთრე აქციონერი იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც უარი თქვეს კომპანიაში წილების ან პირდაპირ სადაზღვევო კომპანიის აქციების გასხვისებაზე, ბანკმა ყოველგვარი განმარტებისა და მიზეზის გარეშე უარი უთხრა საკრედიტო დაფინანსების გაგრძელებაზე. შესაბამისად, იძულებული გახდნენ, საბოლოოდ დათანხმებოდნენ კომპანიის წილების გასხვისებას, რომ არა ბანკის მხრიდან იძულება, ისინი მოცემულ სახელშეკრულებო ფასად აქციებს არ გაასხვისებდნენ.

32. სს სადაზღვევო კომპანია „ა-ის“ (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, მეორე აპელანტი ან კასატორი) სს სადაზღვევო კომპანია „ი. ე-ისა“ (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, მეორე აპელანტი ან კასატორი) და სს „სამედიცინო კორპორაცია „ე-ის“ (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესამე მოპასუხე ან აპელანტი) წარმომადგენლებმა სარჩელი არ ცნეს. წარდგენილი შესაგებლით გამორიცხეს მოთხოვნა და მიუთითეს, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას, კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, ა. ლ-ქემ თავად მიმართა ეროვნულ ბანკს სავალდებულო თანხმობის მოპოვების მოთხოვნით და შესაბამისი დოკუმენტაციაც წარუდგინა, რის საფუძველზეც გარიგებათა განხორციელებაზე ეროვნულმა ბანკმა გასცა კანონით გათვალისწინებული თანხმობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

33. მოპასუხეებმა წარადგინეს შეგებებული სარჩელიც, რომლითაც მესამე მოსარჩელისათვის თანხის დაკისრება, ხოლო მეოთხე მოსარჩელის მიმართ ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს.

34. შეგებებულ სარჩელზე დასახელებულმა მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

35. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით, როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სარჩელი უარყოფილ იქნა; სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდგომი სსკ-ის, 85-ე, 89-ე,

316-ე, 317-ე, 361-ე, 373-ე, 427-ე, 477-ე, 505-ე, 976-ე, 408-ე, 992-ე, 998-ე 1008-ე და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.5, მე-9¹ მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ და „ზ“ გვეპუნქტები და 3.7 მუხლები გამოიყენა.

36. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელეებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და მათი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

37. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 1 მაისის საოქმო განჩინებით, მესამე აპელანტის უფლებამონაცვლედ საქმეში სს „ე. ჰ-ბი“ და სს „ე. კ-ბი“ (შემდეგში ტექსტში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც მესამე მოპასუხის უფლებამონაცვლეები ან მეორე კასატორები) ჩაერთვნენ.

38. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით, სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

39. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მხარეებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვეს.

39.1. პირველი კასატორების/მოსარჩევეების მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებებიც უნდა დაედგინა და გადაწყვეტილებაც მიეღო, ვინაიდან, არც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შეუძლებლობისა და არც კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით არ ვლინდებოდა საქმის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების აუცილებლობა.

მაშინ, როცა მხარეებს ახალი არაფერი აქვთ წარსადგენი სასამართლოსთვის, მარტოოდენ საქმეში დაცული მტკიცებულებების ხელახლა გაანალიზების მიზნით საქმის საქალაქო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება არასწორია.

39.2. პირველი კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სწორი დასკვნები გამოიტანა, თუმცა თვითონ არ განიხილა საქმე არსებითად და დავა კვლავ საქალაქო სასამართლოს დაუბრუნა ხელახლა განსახილველად, რაც, მათი მოსაზრებით, მხოლოდ საქმის განხილვას გააჭიანურებს.

39.3. გარდა ამისა, პირველი კასატორების მტკიცებით, შესაძლებელი იყო მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივრები ცალ-

კე შეფასებისა და მსჯელობის საგანი გამხდარიყო და სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლად მიეღო სააპელაციო საჩივრების უარყოფის შესახებ ნაწილობრივი გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა კი, საერთოდ არ მსჯელობს, თუ რატომ დააკმაყოფილა მონინაალმდევე მხარის საჩივრები, პირველი ინსტანციის სასამართლოს რომელი მსჯელობა და დასკვნა იყო უმართებულო და, ხელახლა განხილვისას რა მითითებები უნდა გაითვალისწინოს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ.

39.4. მოპასუხეების/მეორე კასატორების მტკიცებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ყველა ფაქტობრივი გარემოება სრულყოფილად გამოიკვლია და შეაფასა, შესაბამისად, საქმის ხელახლა განსახილველად ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველი არ არსებობდა.

ის, რომ მოსარჩელებმა „იძულების“ ფაქტის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ წარადგინეს, სარჩელის უარყოფის, და არა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივრები დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

41. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

42. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 102-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმად, „1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვ-

ნებსა და შესაგებელს. 2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით“ და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახულია ყველა ის არგუმენტი, რომელიც ასაბუთებს საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს.

კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას, ისე უარყო იძულების შედეგად სადავო ქონებაზე გარიგების დადების ფაქტი, რომ შესაბამისი დასკვნა საქმეში დაცული ყველა მტკიცებულებების საფუძვლიანი ანალიზის და ურთიერთშეჯერების შედეგად არ გამოუტანია.

43. იძულებით დადებული გარიგების სამართლებრივი რეგულაცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, გარიგების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს იმგვარი ზემოქმედება კონტრაჰენტის ნებაზე, რომელიც თავის ამკარა თუ რეალური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლოს მიიყვანს დასკვნამდე, რომ შეუძლებელი იყო ნების თავისუფალი ფორმირება.

43.1. მუქარა/ფსიქიკური იძულება სამომავლო საფრთხის შესახებ შეტყობინებაა, რომლის რეალიზებასაც დამმუქრებელი საკუთარ ნება-სურვილზე დამოკიდებულად წარმოაჩენს, რათა, ამგვარად, ზეგავლენა მოახდინოს მუქარის ადრესატის ნების ჩამოყალიბებაზე და დაიყოლიოს შესაბამისი გარიგების დადებაზე. სამომავლო საფრთხე მოიცავს ნებისმიერ უარყოფით შედეგს როგორც მატერიალურს, ისე არამატერიალურს, დამოუკიდებლად მისი სიმძიმისა. მუქარის სიმძიმე მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მიზეზშედეგობრიობის დადგენისას (ი.ხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარული წიგნი-1, გვ. 495).

43.2. სასამართლოს ვალდებულებაა, სწორად მიმართოს მტკიცებითი საქმიანობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მან საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ სადავო და უდავო ფაქტები უნდა გამოიჯნოს ერთმანეთისგან. სადავო ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესიც სწორედ აქ ვლინდება. სასამართლომ, როგორც საპროცესო საქმიანობის წარმმართველმა სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გაანაწილოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციას. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პროცესუალური წესი მოცემულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის

პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მითითებული ნორმა საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლთან კავშირით იმ დასკვნის საფუძველს ქმნის, რომ მხარეს, რომელიც სასამართლოს მიმართავს კონკრეტული მოთხოვნით, აწევს როგორც ამ მოთხოვნის საფუძვლად არსებული ფაქტების მითითების, ასევე – მათი დამტკიცების, ანუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი, თუმცა საკასაციო სასამართლო იზიარებს იძულების დამტკიცებისათვის დამაჯერებელი არაპირდაპირი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებს და განმარტავს, რომ იძულების ფაქტის დადასტურება პირდაპირი მტკიცებულებებით რთულია. ასევე გასათვალისწინებელია მხარის ობიექტური შესაძლებლობა, სასამართლოს წარუდგინოს იძულების დამადასტურებელი მხოლოდ არაპირდაპირი ხასიათის მტკიცებულებანი.

44. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელებმა თავდაპირველი სარჩელით, მიუთითეს ბანკის მიერ სადაზღვევო კომპანია „ა-ის“ სასარგებლოდ განხორციელებული იძულების შესახებ, მხარეებს შორის კომპანია „ი. ე. ი-ის“ წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზნით.

ეს მოქმედება იმაში გამოიხატა, რომ ბანკმა შეგნებულად, წინასწარ შეუქმნა საზოგადოების აქციონერებს წინაპირობები, რათა არ მიეცა კომპანია „ი. ე. ი-ის“ საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2011 წლის 9 სექტემბრის შეთანხმებით გათვალისწინებული საკრედიტო დაფინანსება; აღნიშნული საკრედიტო რესურსით უნდა გაგრძელებულიყო სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პროცესში დაწყებული საავადმყოფოების მშენებლობა. საბანკო კრედიტის გაცემაზე უარის თქმიდან გამომდინარე მხარეები იძულებული გახდნენ, საბოლოოდ დათანხმებოდნენ კომპანიის წილების გასხვისებას.

ამავე გარემოების დასადასტურებლად თავდაპირველი სარჩელის ავტორებმა მიუთითეს 2012 წლის 04 მაისით დათარიღებულ 2011 წლის აუდიტის დასკვნის „ბ-ოს“ დრაფტ – ვერსიაზე და 2011 წლის დროისთვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ამსახველ 2012 წლის 14 მაისით ხელმოწერილ ანგარიშებზე.

ამასთან, ისინი უარყოფდნენ 2012 წლის 04 მაისის დასკვნაში ასახულ მონაცემებს და ამტკიცებდნენ, რომ შპს „ბ-ო“ კომპანია „ა-ის“ ზემოქმედების ქვეშ მოექცა, ფინანსური მაჩვენებლები გააყალბეს, მოახდინეს ციფრების მანიპულირება, რითაც კომპანია „ა-ისათვის“ სასურველი/შემცირებული ფინანსური მდგომარეობის

აღმწერი ანგარიში დაადასტურეს.

45. თავდაპირველი მოსარჩელები/კასატორები აქციათა საბაზრო ღირებულებასაც სადავოდ ხდიდნენ, არ ეთანხმებოდნენ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 12 ივნისის დასკვნასაც და ყურადღებას ამახვილებდნენ აუდიტორული კომპანია „ე. ე. ი-ის“ მიერ მომზადებულ „ა. ბ. ს. ა-ის“ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშებზე, აუდიტორ გ. ლ-ას 2012 წლის 13 ნოემბრის დასკვნაზე, მოწმეთა ჩვენებებზე და ა. შ.

46. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს [გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები], სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

ამრიგად, აღნიშნული მუხლი, ერთი მხრივ, უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნების საფუძვლებზე, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს აძლევს უფლებას, ამ საფუძვლების არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების სტანდარტიდან გამომდინარე, შეაფასოს, რა უფრო მართებულია – მის მიერ გადანყვეტილების გამოტანა, თუ საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება (იხ. სუსგ №ას-1234-1175-2014, 2015 წლის 23 თებერვალი).

47. ზემოაღნიშნული განპირობებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და თავის თავში მოიცავს ადამიანის უფლებას მისი საქმე გონივრულ ვადაში, სწრაფად და ეფექტიანად განიხილოს სასამართლომ (*Profitis and Others v. Greece*, §93; *Tierce v. San Marino*, §31; *Surmeli v. Germany* [GC], §129; *Capuano v. Italy*, §§30-31; *Versini v. France*, §29), რაც წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ თითოეული პირის უფლება გონივრულ ვადაში მიაღწიოს საბოლოო გადანყვეტილებას დავაზე, რომელიც მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეებების განხორციელებას ეხება (*Scordino v. Italy*

(no.1) [GC] §183, *Surmeli v. Germany* [GC], § 129).

48. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (*Von Maltzan and Others v. Germany* (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი პრინციპია.

49. სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილი სტანდარტის ჩრილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების განხილვა, თვალსაჩინოს ხდის, რომ რამდენიმე მათგანი, კერძოდ: ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული; გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც უწყებრივად სასამართლოს არ ექვემდებარება; დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; ე) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; ვ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; ზ) საქმეში არ არის სასამართლოს სხდომის ოქმი – პირდაპირ გამომდინარეობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპიდან, მათ შორის, საქმის განხილვაში მხარის მონაწილეობის და სამართლიანი და საჯარო განხილვის ფუნდამენტური უფლებიდან, და ქმნის იმ შემთხვევას, როდესაც ცალსახაა, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმ სასამართლოს, სადაც მოხდა აღნიშნული დარღვევა.

50. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული კიდევ ორი საფუძველი, კერძოდ: ა) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; და ბ) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია – წარმოადგენს ისეთ საფუძვლებს, რომლებიც, საკასაციო სასამართლოს აზრით, იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებების სრულყოფილი ანალიზის შედეგად და სამართლიანი სასამართლოს უფლების ჩრილში, საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების მართებული-არამართებული შიდასების საშუალებას.

51. მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების საფუძვლად ზოგადად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის საფუძვლებზე, ხოლო გარემოება, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების აუცილებლობა დაასაბუთა, ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას მასზედ რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით, გარიგების იძულებით დადების თვალსაზრით ერთობლიობაში არ შეფასებულა მოსარჩელების მიერ მითითებული ფაქტები და მტკიცებულებები.

გასათვალისწინებელია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას ყოველთვის წინ უძღვის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება, რაც მოიცავს მტკიცებულებების შემოწმებას დასაშვებობის, შემხებლობის და უტყუარობის კუთხით, აგრეთვე მტკიცებულებათა საკმარისობაზე მსჯელობას და მათ შეფასებას ერთობლიობაში.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ საქმის მასალებში დაცულია რამდენიმე არათანმხვედრადი შინაარსის ექსპერტიზის და/ან აუდიტის დასკვნები, რომელთა მიხედვით მხარეთა მიერ დასახელებული ფაქტების სისწორის შემოწმება მტკიცებულებათა საკმარისობის საპროცესოსამართლებრივი სტანდარტის დისბალანსის და სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამასთან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის მე-სამე ნაწილი ითვალისწინებს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმის განმხილველმა მოსამართლემ უნდა გამოიყენოს ისეთი სამოქალაქოსაპროცესო ინსტრუმენტი როგორცაა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა რამდენიმე ექსპერტის მონაწილეობით (სსსკ-ის 164-ე და 173-ე მუხლები) და ამგვარად მიიღოს საქმის გადანყვეტისთვის არსებით საკითხზე კვალიფიციური განმარტება.

52. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუტანია დასკვნა – ზემოხსენებული ფაქტებისა და არგუმენტების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით სრულყოფილად გაანალიზების საფუძველზე. (სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ

და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში). საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ – „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილდგრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადანყვეტილება, საქმე № ას-664-635-2016, პუნქტი 187).

53. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ „გარემოებათა მის მიერ (სააპელაციო სასამართლოს მიერ) გამოკვლევა მიზანშეუწონელია. ასეთ შემთხვევაში მხარე დაკარგავდა კიდევ ერთ ინსტანციაში (სააპელაციო სასამართლოში) ფაქტობრივ გარემოებაზე შედავების შესაძლებლობას, ვინაიდან მას გასაჩივრება მოუწევდა პირდაპირ საკასაციო სასამართლოში, რომელიც ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს არ წარმოადგენს“ (იხ. სუსგ-ები: №ას-261-248-2015, 10.07.2015წ; №ას-450-429-2015, 28.07.2015წ.).

ამასთან, „სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში,

როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება“... (იხ. სუსგ №ას-№-ას-471-450-2015, 30.10.2015წ; შდრ. სუსგ-ებს: №ას-973-922-2015, 16.02.2016წ; №ას-151-147-2016, 19.04.2016წ; №ას-1132-1088-2016, 17.02.2016წ).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი დავა მართებულად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს შესაბამისი სამართლებრივი მითითებებით, რაც საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრიდან გამომდინარეობს და იმავდროულად, უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების კანონის წინაშე თანასწორობის საწყისებზე განხორციელებას.

ზემოაღწერილი მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად დასადგენ მნიშვნელოვან გარემოებათა წრეს, მტკიცების ტვირთის ასევე მტკიცების საგნის სრულყოფილად განსაზღვრის აუცილებლობას და არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას მასზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის საქალაქო სასამართლოს-თვის ხელახლა დაბრუნება მიზანშეუწონელია.

54. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლების გარდა მნიშვნელოვანია პირველი ინსტანციის სასამართლომ გაითვალისწინოს წინამდებარე განჩინებაში განვითარებული საკასაციო პალატის მოსაზრებები მათ შორის რამდენიმე საექსპერტო და აუდიტორულ დასკვნებს შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრის შესახებ და ისე გადაწყვიტოს დავა.

55. დადგენილია, რომ მოპასუხეებმა წარადგინეს შეგებებული სარჩელი, რომლითაც მესამე მოსარჩელისათვის თანხის დაკისრება, ხოლო მეოთხე მოსარჩელის მიმართ ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელიც უარყოფილ იქნა, რაც ასევე სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს შეგებებულ სარჩელზე მოსარჩელებმა.

შეგებებული სარჩელი მოპასუხის მიერ მისი ინტერესების დაცვის საპროცესო საშუალებაა და მისი მიზანი სარჩელთან ერთად შეგებებული სარჩელის ერთობლივი განხილვა და გადაწყვეტაა (პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, გარდა 245.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, სსკ-ის 189.3 მუხლი).

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შეგებებული სარჩელის

მიღების პირობებში დაწყებულ პროცესში თავდაპირველი და შეგებებული სარჩელების განცალკევებულად განხილვა ხელყოფს მხარეთა ინტერესებს, გაართულებს სამოქალაქო საქმის განხილვას, მისი დასრულების გონივრულ ვადებს. ამასთან, ამგვარი მიდგომა არ შეესაბამება საპროცესო საშუალებათა ეკონომიის პრინციპს და ხელს არ შეუწყობს სამართლებრივი ურთიერთობის სრულყოფილ გამოკვლევას.

ზემოთ განვითარებული მსჯელობის შედეგად, მართებულია სააპელაციო პალატის დასკვნა სამართალწარმოების დისპოზიციურობის, პროცესის ეკონომიისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების გათვალისწინებით, ძირითად სარჩელთან ერთად შეგებებული სარჩელის მოთხოვნის ნაწილშიც საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზეც.

56. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

57. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრებს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

58. კასატორებს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვთ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 407-ე, 408.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. ფ-ის, ლ. ნ-ძის, ლ. ნ-ძის, ა. ლ-ძისა და შპს „ს-დოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. სს „ე. ჰ-ბის“, სს „ე. კ-ბის“, სს „ს. კ. ი. ე.-ისა“ და სს „ს. კ. ა-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-1365-1285-2017

11 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. ლ. ბ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორის მონინალმდებე მხარე ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ი-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინალმდებე მხარე, საჩივრის ავტორი, კასატორი ან მოვალე) მიმართ მიყენებული ზიანის – 20 400 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელეს საკუთრებაში გააჩნია სიღნაღის რაიონის სოფელ მ-ოში მდებარე 388 001 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია რქანითელის ჯიშის ვენახი. მიწის ნაკვეთი ვარგისია მაღალი ხარისხის ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად. მოსარჩელე ყოველწლიურად ახორციელებს რამდენიმე ტონა ყურძნის მოსავლის რეალიზაციას. 2014 წლის ყურძნის მოსავალი მთლიანად გაანადგურა მოპასუხის მფლობელობაში არსებულმა გარეული ღორის კოლტმა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია მოწეულიყო 6,8 ტონა ყურძენი. შესაბამისად, სამ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე მისაღები შემოსავალი შეადგენდა 20 ტონასა და 400 კილოგრამს. ერთი კილოგრამი ყურძნის ღირებულება შეადგენდა 1 ლარს. ამდენად, მოპასუხის კუთვნილმა ღორის კოლტმა მოსარჩელეს მიაყენა 20 400 ლარის ზიანი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ ის სამეურნეო დანიშნულებით არ ეწევა ღორების გამრავლებას, არ აქვს მონყობილი ღორის სადგომები

და არც ღორები არ ჰყავს. საკუთრებაში არ გააჩნია ღორი. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ მოპასუხის კუთვნილმა ღორებმა გაანადგურეს მისი კუთვნილი ვენახი, არასწორია. კახეთში, იორის ალკვეთილის ტერიტორიაზე 834 ჰა ფართობზე მოპასუხე ფლობს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემულ სამონადირეო მეურნეობის სპეციალურ ლიცენზიას. აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში ნადირობს ცხოველებსა და ფრინველებზე, მათ შორის, გარეულ ღორებზე, განსაზღვრული კვოტით, ამასთან, მოპასუხეს ევალება, დაიცვას ლიცენზიის პირობები, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია და მისი ბიომრავალფეროვნება. 834 ჰა მიწის ნაკვეთის უმეტესი ნაწილი დაფარულია ტყის მასივით და მასში ბინადრობს სხვადასხვა სახეობის ცხოველი: ტურა, მგელი, მელა, მარვი, კურდღელი, ენოტი, კაკაბი, ხოხობი და ასევე გარეული ღორი. ამასთან, არც ერთი გარეული ცხოველი მოპასუხეს არ ეკუთვნის და მასზე არც მფლობელობის უფლება არ გადაუცია ვინმეს. გარეული ცხოველები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და ბინადრობენ არა მხოლოდ სალიცენზიო ტერიტორიაზე, არამედ მის გარეთაც, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ასევე, სხვა საწარმოების სამონადირეო მეურნეობებშიც, შესაბამისად, გარეული ჯიშის ღორები თავისუფლად ახორციელებენ მიგრაციას, რისი ალკვეთაც მოვალეს არ შეუძლია. მას არც ევალება ცხოველების სამოძრაო ტერიტორიის შემოფარგვლა და მათი კონტროლი. მოსარჩელემ თავად უნდა უზრუნველყოს საკუთარი მეურნეობის დაცვა გარეული ცხოველებისგან. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ 2014 წელს მოსარჩელე მიიღებდა 24 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენს და მიიღებდა შემოსავალს 20 400 ლარის ოდენობით.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კრედიტორმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 10 200 ლარის დაკისრება.

5. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტი-

ლებით მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, 10 200 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით, მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 10 200 ლარის ანაზღაურება;

5.2. ამავე სასამართლოს 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებით მონინალმდეგე მხარის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოვალემ, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო პალატის შეფასების საგანს სასამართლო სხდომაზე აპელანტის მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის საპატიოობა და ის გარემოება წარმოადგენს, არსებობდა თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. ამ თვალსაზრისით, კასატორი ძირითადად ორ პრეტენზიას გამოთქვამს: ა) მისი, როგორც მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობა სასამართლოს უნდა მიეჩნია საპატიოდ და ბ) დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის მიზნებისათვის კანონდარღვევად განიხილება სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი მოძიება ან მისი არასწორი გამოყენება ან/და განმარტება. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. თავის მხრივ, განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ სა-

კასაციო საჩივრის წარმატებას თავად კასატორის მიერ ზემოხსენებულ საფუძვლებზე მითითება და ამ გზით საკასაციო შედეგებთან დასაბუთება განაპირობებს.

1.3. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს საკითხის შეფასებისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 02.09.2016წ. განჩინებით კრედიტორის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 7 დეკემბერს, 11:00 საათზე;

1.3.2. მოწინააღმდეგე მხარეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე და 373-ე მუხლების შესაბამისად, გაეგზავნა სააპელაციო საჩივარი და თანდართული მასალები და განესაზღვრა ვადა შესაგებლის წარსადგენად, მასვე გაეგზავნა სასამართლო უწყება საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეიცავს ამომწურავ განმარტებას სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის ნეგატიური შედეგების შესახებ. საფოსტო უკუგზავნილზე შესრულებული მინაწერის თანახმად, კორესპონდენცია ჩაიბარა მოპასუხის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა 2016 წლის 9 სექტემბერს;

1.3.3. 2016 წლის 7 დეკემბერს დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე, გამოცხადებულმა აპელანტმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, რაც სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გაზიარებულ იქნა;

1.3.4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილ საჩივარში გამოუცხადებელი მხარე აპელირებდა შემდეგზე:

ა) 2016 წლის 7 დეკემბერს, 11:00 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, 2016 წლის 6 დეკემბრის საღამოს იმყოფებოდა ქ. ქუთაისში მძიმე ავადმყოფის, ახლო ნათესავის მოსახულებლად. მეორე დღეს, დილის 07:00 საათზე, გამოემგზავრა საქალაქთაშორისო მიკროავტობუსით ქ. თბილისში იმ ვარაუდით, რომ მოასწრებდა პროცესზე გამოცხადებას, თუმცა, რიკოთის უღელტეხილზე, უამინდობისა და ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, მოძრაობა იყო შეფერხებული, რამაც მიკროავტობუსის დაახლოებით ერთი საათით დაყოვნება გამოიწვია. საბოლოოდ, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი თბილისში ჩამოვიდა 11:20 საათზე;

ბ) სასამართლო სხდომაზე გამოცხადების დაგვიანების გამო, 11:00 საათამდე ცდილობდა მოსამართლის თანაშემწესთან ტელეფონით დაკავშირებას, თუმცა ეს მხოლოდ 11:19 საათზე მოახერ-

ხა. სააპელაციო სასამართლოში იგი გამოცხადდა 11:25 საათზე, თუმცა, დაუსწრებელი გადანყვეტილება უკვე გამოტანილი იყო;

გ) 2016 წლის 7 დეკემბერს, 11:00 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მონააღმდეგე მხარე მონვეული არ იყო კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, უწყებაში, რომელიც მხარეს ჩაჰბარდა, მითითებული იყო №7 სხდომის დარბაზი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სხდომა ჩატარდა №15 დარბაზში, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე სხდომის დარბაზად მითითებული იყო №21;

დ) საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას, რადგან მოპასუხე არ წარმოადგენდა იმ სუბიექტს, ვისაც რაიმე ბრალი მიუძღოდა ზიანის დადგომაში – იგი არ არის იმ ნივთის მფლობელი ვისმა მოქმედებამაც ზიანი მიაყენა მოსარჩელეს.

1.3.5. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივარში მითითებული გარემოებები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა მიღებული დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმების წინაპირობები, რასაც კასატორი არ ეთანხმება იმ საფუძვლით, რომ:

ა) მხარე არ იყო მონვეული კანონით დადგენილი წესით, რამდენადაც უწყებაში მითითებული იყო სხვა სხდომის დარბაზი, ხოლო სასამართლომ სხდომა ჩაატარა სხვა დარბაზში, ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 72-ე მუხლის მოთხოვნებს;

ბ) სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით მოპასუხე მოთხოვნას არ ეთანხმებოდა იმ მოტივით, რომ არ იყო ცხოველის მესაკუთრე, რომელმაც, მოსარჩელის მტკიცებით, მას მიაყენა ზიანი;

გ) 2016 წლის 6 დეკემბერს კასატორის წარმომადგენელი იმყოფებოდა ქუთაისში, ახლო ნათესავის მოსანახულებლად, რომელიც იყო მძიმედ ავად (ეს გარემოება არასწორად შეაფასა სააპელაციო პალატამ და არასწორად არ მიიჩნია, რომ იგი წარმოადგენდა სსსკ-ის 215.3 მუხლით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზს, ეს პირი გარდაიცვალა და მისი გარდაცვალების მოწმობის წარდგენა კასატორის მხრიდან მოწმობს მათ ნათესაურ კავშირს) და თბილისში 2016 წლის 7 დეკემბერს გამოემგზავრა დილის 07:00 საათზე საქალაქთაშორისო ტრანსპორტით (რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებაც მას არ გააჩნია), იმ ვარაუდით, რომ მოასწრებდა სააპელაციო სასამართლოში გამოცხადებას, უამინდობისა და ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, რიკოთის უღელტეხილზე მოძრაობა იყო შეზღუდული და დაახლოებით ერთი საათით შეყოვნდა ტრანსპორ-

ტი (ეს გარემოება დასტურდება მოწმე დ. ბ-ის ჩვენებით, რომელიც მგზავრობდა კასატორის წარმომადგენელთან ერთად, სასამართლომ ამ მოწმის ჩვენება არასწორად არ მიიჩნია სადავო გარემოების დამადასტურებლად და უპირატესობა მიანიჭა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემულ ცნობას, რომელიც მითითებულ პერიოდში რიკოთის უღელტეხილზე გადაადგილების შეფერხებას არ ადასტურებს). მხარის წარმომადგენელი თბილისში 11:20 საათზე იყო, დაგვიანების გამო ცდილობდა მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირებას ჯერ კიდევ 11:00 საათამდე, თუმცა, უშედეგოდ, კომუნიკაცია შედგა მხოლოდ 11:19 საათზე, 11:24 საათზე დარეკვისას თანაშემწემ მოახსენა, რომ სხდომის მდივანს აცნობა მხარის დაგვიანების თაობაზე სასამართლოს შიდა საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით, 11:25 საათზე (სატელეფონო ნომრის ამონაწერით დასტურდება ხსენებული გარემოება), სააპელაციო სასამართლოს შენობაში შეხვდა აპელანტის წარმომადგენელს, რომელმაც სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ შეატყობინა, სხდომის დარბაზში გამოცხადებისას არც მოსამართლე და არც სხდომის მდივანი აღარ იმყოფებოდა. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის განცხადებას სასამართლოს შესასვლელსა და სხდომის დარბაზში სათვალთვლო კამერის ჩანაწერის, ასევე, მოსამართლის თანაშემწისა და სხდომის მდივნის კომუნიკაციის ამსახველი მტკიცებულებების გადაცემის თაობაზე, რეაგირება არ მოჰყოლია, მას გადაეცა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს №15 დარბაზში სხდომის მიმდინარეობის ვიდეოფაილი, მანდატურის სამსახურის უფროსის განმარტებით, კამერების ჩანაწერის ამოღება ხდება სასამართლოს განჩინების საფუძვლზე, ხოლო შიდა საკომუნიკაციო ქსელის მიმონწერა არ ინახება. ვიდეოფაილში ადვოკატის გამოცხადება არ ჩანს, რადგანაც ჩანაწერი სხდომის დამთავრებისთანავე წყდება, თავად სხდომის ოქმში, 11:24 საათზე ფიქსირდება სხდომის მდივნის მიმართვა თანაშემწის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მოსმართლისათვის მოხსენების შესახებ და სასამართლოს მოსაზრება, რომ დაგვიანებულია, რადგანაც სხდომა 25 წუთის დაწყებულია;

დ) სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა შესაგებელში მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოთქმულ პოზიციას, ასევე იმას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა – სასამართლო შეიძლება დაემყაროს მხარის განმარტებას, გაგებულ უნდა იქნეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ამ განმარტების შესაბამისობის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, სასამართლოს არ გაუთვალისწინებია, რომ „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი ბუნებრივ პი-

რობებში მყოფ ცხოველებს სახელმწიფოს მიაკუთვნებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის განმარტების თანახმად, სააპელაციო სასამართლო სწორედ რომ ვალდებული იყო, შეემონმებინა გამოცხადებული მხარის განმარტების შესაბამისობა საქმეში არსებულ მასალებთან. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1003-ე მუხლი და ზემოხსენებულ ნორმასთან ერთობლიობაში მან არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელე მოითხოვდა ბუნებრივ გარემოში გარეული ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ასეთ ვითარებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 1003-ე მუხლი, შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას (ბერუ თურქეთის წინააღმდეგ).

1.4. საკასაციო სასამართლო კასატორის პოზიციის სისწორის შეფასების მიზნით განმარტავს, რომ:

1.4.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მოწესრიგებას (სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება. იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემონმდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის დადგენის შემდეგ, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამონმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამატკობლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული

შემთხვევა. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარემ სასამართლო სხდომის დაწყებამდე ვერ უზრუნველყო სასამართლოს ინფორმირება, გარდა ამისა, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული მისი მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარე არ იყო მოწვეული კანონით დადგენილი წესით. კანონის ხსენებული მოთხოვნა არ ატარებს ფორმალურ ხასიათს, არამედ, უნდა განიმარტოს ფართოდ. შესაძლებელია ვივარაუდოთ კიდევაც, რომ სხდომის დარბაზის ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ფარგლებში მხარის ინფორმირების კანონიერებას აყენებდეს კიდევაც ეჭვქვეშ, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე სასამართლოში დათქმულ დროს არ გამოცხადდა, არამედ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ შეძლო სასამართლო სხდომის დარბაზში შესვლა, რაც ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ სხდომის დარბაზის ცვლილება არ გამხდარა მისი დროულად გამოუცხადებლობის წინაპირობა (უწყებაში მითითებულ დარბაზში სხდომის ჩატარების შემთხვევაშიც ბუნებრივია ის მაინც ვერ გამოცხადდებოდა სასამართლოში). გარდა ამისა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებს თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია. უპირობოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ როგორც შესაგებლის დროულად წარდგენა, ისე – საქმეში არსებული მასალები დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველების კვლევის წინაპირობა ვერ გახდება, რადგანაც ასეთ დროს კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ სარჩელში/სააპელაციო საჩივარში მითითებული მხარის განმარტებები დადასტურებულად მიიჩნევა. ამ მხრივ ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მიერ გამოთქმული პრეტენზიები მტკიცებულებათა შეფასებისა თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით დადგენილ მართლწესრიგთან ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობის შეუსაბამობის თაობაზე (საქართველოს უზენაესი სასამარ-

თლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება შეეხება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას და ამ შემთხვევასთან რაიმე შეხება არ გააჩნია, საკასაციო სასამართლო რასაკვირველია სრულად იზიარებს დიდი პალატის განჩინებაში გამოთქმულ მოსაზრებებს, მათ შორის რეგისტრაციუნიარიან ნივთებზე, უფლების შემონმების შესახებ, რომელიც სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის გარანტია, თუმცა, ეს გარემოება, მსგავსად დიდი პალატის მიერ ხსენებულ საქმეზე განხილული სხვა სამართლებრივი საკითხებისა, არსებითად განსხვავდება წინამდებარე დავის ფაქტობრივ-სამართლებრივი საკითხებისაგან (იხ. სუს დიდი პალატის განჩინება №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი).

1.4.2. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო პალატას სრული წინაპირობები ჰქონდა აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოხსენებული საპროცესო დანაწესებიდან გამომდინარე, კანონის ძალით დადგენილად მიჩნევა სარჩელში მითითებული ფაქტები (იხ. აღწერილობითი ნაწილი 1.2. პუნქტი), ასევე, სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტება, რომ მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენდა ზიანის მიმყენებელი ცხოველის იურიდიულ მფლობელს, რაც აბათილებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, მოპასუხის მხრიდან უშუალოდ მის მფლობელობაში არსებული ცხოველის მიერ ზიანის მიყენების ფაქტის დაუდასტურებლობის თაობაზე. ამ გარემოებას ვერ გააქარწყლებს კასატორის მითითება „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონზე, რადგანაც ხსენებული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, ცხოველთა სამყაროს ობიექტებს წარმოადგენენ: ქორდიანი (მათ შორის ხერხემლიანები – ძუძუმწოვრები, ფრინველები, ქვეწარმავლები, ამფიბიები, თევზები და სხვა) და უხერხემლო (ფეხსახსრიანები, მოლუსკები და სხვა) ცხოველები, მათი ყველა სახეობა და პოპულაცია განვითარების ნებისმიერ სტადიაში (კვერცხი, ემბრიონი, ჭუპრი და სხვა), რომლებიც იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების პირობებში, ასევე, გარეულ ცხოველთა დერივატები, ხოლო კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ცხოველთა სამყაროს ობიექტი შეიძლება გაიცეს სარგებლობისათვის, კანონმდებლობით დადგენილი ვადით და ოდენობით. ამდენად, გარეული ცხოველის მართლზომიერი ფლობის ფაქტი არ შეიძლება კანონსაწინააღმდეგოდ იქნეს მიჩნეული, უფრო მეტიც, დადგენილად მიჩნეული გარემოებები საკასაციო პალატის მოსაზრებით, სა-

მოქალაქო კოდექსის 1003-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიულად სრულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას (იხ. სუსგ №3კ/482-02მ 28 ივნისი, 2002 წელი). ამ კუთხით დაუსწრებელი გადაწყვეტილება არც ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკისგანაა განსხვავებული რამდენადაც საქმეზე *Beru v. Turkey* (განაცხადი №47304/07) ევროსასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) და მე-6 მუხლის (უფლება სამართლიან განხილვაზე) დარღვევა დაადგინა იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პირის სიცოცხლის დაცვა მანანალა ძაღლების თავდასხმისაგან და ამ საქმის ეროვნული სამართლწარმოების ფარგლებში განხილვა გაგრძელდა არაგონივრული ვადით.

1.4.3. რაც შეეხება მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლების თანახმად, იგი დაიშვება, თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაამტკიცებს, რომ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

ე) არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც მხარე ვერ გამოცხადდა სასამართლოში და ამავდროულად, ვერ შეძლო სასამართლოს წინასწარ ინფორმირება.

1.4.4. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო აღარ მსჯელობს მხარის ინფორმირების საკითხთან დაკავშირებით, რაც შეეხება სხვა გარემოებებს, საკასაციო საჩივრის ფარგლებში (სსსკ-ის 404.1 მუხლი) პალატა აფასებს მხარის გამოუცხადებლობის საპატიოობას და იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ საჩივრის ავტორმა ვერ დაამტკიცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათალისწინებული წინაპირობების არსებობა. უდავოა, რომ მხარემ ვერც ქუთაისიდან თბილისში საქალაქთაშორისო ტრანსპორტით გადაადგილების და ვერც გზაზე შეფერხების ფაქტი ვერ დაადასტურა, ამ მხრივ დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოწმის ჩვენება ვერ გააქარწყლებს საპატრულო პოლიციის მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტს იმის თაობაზე, რომ პროცესის დღეს რიკოთის უღელტეხილზე, არც ავტოსაგზაო შემ-

თხვევის და არც უამინდობის გამო არ ყოფილა მოძრაობა შეფერხებული, ამასთანავე, რომც გავიზიაროთ მხარის არგუმენტი, რომ მან პროცესის წინა დღეს მართლაც მოინახულა ავადმყოფი ნათლია, უდავოა, რომ იგი იმავე დღეს უკან არ დაბრუნებულა, ხოლო უამინდობისა და პროცესზე გამოუცხადებლობის სხვა რისკები, მას, როგორც წარმომადგენელს ეკისრება. რაც შეეხება სასამართლოსთან სატელეფონო კომუნიკაციის არსებობას, თავად კასატორი ადასტურებს, რომ მოსამართლეს ინფორმაცია სხდომის დაწყების შემდგომ გადაეცა, ხოლო საპროცესო სამართლის არც ერთი ნორმა არ ითვალისწინებს სასამართლოს ვადებულებას, გამოუცხადებელ მხარეს დაუკავშირდეს თუნდაც ტელეფონით და მისი სიტყვიერი განმარტების საფუძველზე შეცვალოს სხდომის დრო.

1.5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება კანონიერია და მის წინააღმდეგ კასატორს არ წარმოუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული შედავება, რის გამოც, ამავე კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, პალატა არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებულ საპროცესო აქტებს.

2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, არ არსებობს ამ ინსტანციაში საქმის განხილვაზე განეული ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე გადახდილ ბაჟს, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, იგი უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა ღ გ ი ნ ა:

1. შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი ძალაში დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. საქმის წარმოების განახლება

განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ა-4092-ა-12-2019

26 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ის (შემდეგში – მოსარჩელე ან აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი მ. ზ-ის, დ. კ-ის, კ. კ-სა (შემდეგში – მოპასუხე ან კასატორი ან განმცხადებელი) და ნ. ნ-ის (შემდგომში ერთად წოდებული – მოპასუხეები) მიმართ, ბინის ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ მოსარჩელის სარგებლობაში არსებული 90.06 კვ.მ ფართის, მდებარე, თბ., ... ქ. №...-ში საკუთრების უფლების აღრიცხვის შესახებ, არ დაკმაყოფილდა; ასევე, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეების მიმართ, 13 827 აშშ დოლარის მესაკუთრეთა შორის მათ წილთა შესაბამისად განაწილების შესახებ.

2. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება.

4. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა (მოსარჩელე) და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სრულად დაკმაყოფილება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა. მოსარჩელე ცნობილი იქნა ქ. თბილისში, ... ქუჩა ...-ში მდებარე თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი ...) 90.06 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი ..., ..., ...) საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ, კერძოდ, მოსარჩელეს ნ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4880 აშშ დოლარის გადახდა, დ. კ-ის სასარგებლოდ – 1627 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო კ. კ-ის სასარგებლოდ 813 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. კ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 თებერვლის განჩინებით კასატორს დაუდგინდა ხარვეზი საკასაციო საჩივარზე, კერძოდ, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში 691,35 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა. განჩინებით კასატორს განემარტა, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩებოდა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად იმ საფუძველით, რომ კასატორმა დადგენილ ვადაში არ გამოასწორა საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი, კერძოდ, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ კასატორს დაუდგინდა ხარვეზი საკასაციო საჩივარზე. საქმეში წარმოდგენილი სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტით დადასტურდა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 თებერვლის განჩინება, სსსკ-ის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა კასატორს 2019 წლის

18 თებერვალს. შესაბამისად, კასატორისათვის ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2019 წლის 19 თებერვალს და ამოიწურა ამავე წლის 25 თებერვალს. ამდენად, კასატორი ვალდებული იყო ხარვეზი შეეცხო 2019 წლის 25 თებერვლის ჩათვლით. საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში კასატორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსთვის. ამდენად, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 59-ე, 63-ე და 396.3 მუხლებით და საკასაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

9. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განჩინება სასამართლო მოხელის მიერ სატელეფონი შეტყობინებით ეცნობა კასატორს 2019 წლის 11 აპრილს.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №...-...) შევიდა კანონიერ ძალაში და 2019 წლის 14 მაისს მასზე გაცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორია – მოსარჩელე, ხოლო ერთ-ერთი მოვალე – კასატორი/განმცხადებელი.

11. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შემდეგ, 2019 წლის 15 აპრილს, საკასაციო პალატას განცხადებით მომართა კ. კ-მა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2019 წლის 11 აპრილს ეცნობა საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ხარვეზის დადგენის შესახებ. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იგი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რის გამოც, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. განმცხადებელმა განცხადებას დაურთო 2019 წლის 25 მარტს მომზადებული ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, საიდანაც ირკვევა, რომ ქულა მინიჭებულია 2017 წლის 25 თებერვალს.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის განჩინებით კ. კ-ს 2019 წლის 15 აპრილის განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა დაცვით შედგენილი განცხადების წარმოდგენა, კერძოდ, განმცხადებელს განემარტა, რომ განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას, ბ) მითითებას იმ საფუძვლებზე, რომელთა გამოც, უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება; დ) მითითებას განსჯადობის წესების დაცვის

თაობაზე; ე) მითითებას იმის შესახებ, თუ რა ზომით და რა ფარგლებში მოითხოვს განმცხადებელი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და სხვა გადაწყვეტილებით მის შეცვლას. აღნიშნული განჩინება განმცხადებელს ჩაბარდა 2019 წლის 30 მაისს.

13. 2019 წლის 3 ივნისს განმცხადებელმა კვლავ მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელშიც აღნიშნა, რომ მის მიერ 2019 წლის 15 აპრილის განცხადება, რომელსაც ერთვის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან წარმოადგენს არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლების (ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ან ბათილად ცნობის საფუძველით) მოთხოვნას, არამედ მითითებული განცხადებით კ. კ-მა აღმოფხვრა 2019 წლის 4 თებერვლის განჩინებით დადგენილი ხარვეზი.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ივნისის განჩინებით კ. კ-ს 2019 წლის 15 აპრილის განცხადებაზე გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა და განემარტა, რომ 2019 წლის 11 აპრილის სატელეფონო შეტყობინებით კასატორს ეცნობა 2019 წლის 11 მარტის განჩინება მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და არა განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაშია შესული და მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ საქმის წარმოების განახლებისათვის დადგენილი წესით, რაც დასაშვებია დაინტერესებული პირის მიერ საქმის წარმოების განახლების განცხადების წარდგენით. ასეთი განცხადება მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილია ხარვეზით, კერძოდ, იგი არ პასუხობს სსსკ-ის 427.1 მუხლის მოთხოვნებს. აღნიშნული განჩინება განმცხადებელს ჩაბარდა 2019 წლის 11 ივლისს, რომელმაც, იმავე წლის 17 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა განცხადება და მოითხოვა ხარვეზის ვადის გაგრძელება, იმ საფუძველით, რომ არის მატერიალურად შეჭირვებული და ესაჭიროება უფასო ადვოკატის აყვანა. განმცხადებლის მოთხოვნა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ და განმცხადებელს 5 დღით გაუგრძელდა ვადა მის მიერ 2019 წლის 15 აპრილს წარმოდგენილ განცხადებაზე.

15. 2019 წლის 21 აგვისტოს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი იქნა კ. კ-ის განცხადება (№...), რომელშიც აღნიშნულია შემდეგი:

16. საკასაციო საჩივარზე საკასაციო პალატამ დადგინა ხარვეზი, რომლითაც კასატორს დაავალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლო-

ბის საფუძვლით. კ. კ-მა, ხარვეზის შევსების მიზნით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. მითითებული განცხადება საკასაციო პალატამ მიიჩნია ახალ, დამოუკიდებელ განცხადებად, რის გამოც, 2019 წლის 25 აპრილის განჩინებით განმცხადებელს დაავალა დაეზუსტებინა სსსკ-ის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხები.

17. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განჩინება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და განახლდეს საქმის წარმოება სსკ-ის 422-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით. განმცხადებელს მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ არ იქნა დაცული კანონით დადგენილი წესები ხარვეზის შესახებ განჩინების მიღებისა და მისი მხარისათვის გადაცემის შესახებ, რაც ცალსახად გამოორიცხავს საქმეზე საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 სექტემბრის განჩინებით კ. კ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა განცხადების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

20. საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს წინამდებარე განჩინების პპ.-... მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ სადავოდაა გამხდარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, იმ საფუძვლით, რომ კასატორმა დადგენილ ვადაში არ გამოასწორა საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი. დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 თებერვლის განჩინებით კასატორს დაუდგინდა ხარვეზი საკასაციო საჩივარზე, კერძოდ, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში 691,35 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

განჩინებით კასატორს განემარტა, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩებოდა. საქმეში წარმოდგენილი სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტით დადასტურდა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 თებერვლის განჩინება, სსსკ-ის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა კასატორს 2019 წლის 18 თებერვალს. შესაბამისად, კასატორისათვის ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2019 წლის 19 თებერვალს და ამოიწურა ამავე წლის 25 თებერვალს. ამდენად, კასატორი ვალდებული იყო ხარვეზი შეევსო 2019 წლის 25 თებერვლის ჩათვლით. საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში კასატორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსთვის. შესაბამისად, სსსკ-ის 59-ე, 63-ე და 396.3 მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განჩინება შესულია კანონიერ ძალაში.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის კვლევისათვის პირველ რიგში, ყურადღებაა გასამახვილებელი კანონის იმ დანაწესზე, რომელიც საქმის წარმოების განახლების საპროცესო სამართლებრივ მექანიზმს ითვალისწინებს, ხოლო შემდგომ, დასადგენია ამ საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის კანონით გათვალისწინებული წინამძღვრების არსებობა.

23. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

24. კანონმდებლობით ამომწურავადაა დადგენილი, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ახლად აღმოჩენილ გარემოებად ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება

დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე.

25. კანონმდებელი, სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობის საფუძვლად საქმის სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ განხილვას მიიჩნევს; ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, განჩინების ბათილობის კანონისმიერი საფუძვლების კვლევისათვის უნდა შემოწმდეს გააჩნდა თუ არა საკასაციო სასამართლოს საქმის განმხილველ შემადგენლობას საქმის განხილვის კომპეტენცია განცხადებაში მითითებულ საფუძვლებთან მიმართებით (დამატებით იხ., სუსგ №ა-2778-ბ-11-2015, 28 სექტემბერი, 2015).

26. სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შინაარსის შესაბამისად კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება, ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე. ამ შემთხვევაში, კანონმდებელს, ისეთი მხარე ყავს მხედველობაში, რომელიც ჩაბმულია, მონაწილეობს საქმეში, მაგრამ საქმის განხილვაში არ იყო მონვეული და არ მიეცა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა თუ სსსკ-ის მე-4 მუხლით გარანტირებული შეჯიბრობითობის შესაძლებლობა (შეადრ: სუსგ №ას-730-2020 12.10.2020, პ.10).

27. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პროცესის მონაწილე მხარე უფლებამოსილია იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის (ხარვეზის დადგენა, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა და ა. შ) შესაბამისი ინსტანციისათვის გათვალისწინებული წესის შესახებ, ვინაიდან კონკრეტულ საქმეზე მიღებული საბოლოო/შემაჯამებელი განჩინება თუ გადაწყვეტილება ეხება მის კანონიერ უფლებებს და აკისრებს მას კანონით დადგენილ ვალდებულებებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და

გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადანყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი (მრავალთა შორისაა სუსგ №ას-710-2011-09, 07.09.2009წ.). ფაქტების პრეიუდიციულობის შემონმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადანყვეტილება (იხ. სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015წ)).

28. რაც შეეხება 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს, ნორმის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადანყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. მითითებული ნორმის შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძლიანობის შესამოწმებლად, მნიშვნელოვანია განიმარტოს ვინ არის ამ ნორმით გათვალისწინებული საფუძვლით გადანყვეტილების ბათილად ცნობის უფლების მქონე სუბიექტი, სხვაგვარად, ვის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს „ეხება უშუალოდ“ გასაჩივრებული გადანყვეტილება, და შესაბამისად, ვისი მოწვევა იყო აუცილებელი საქმის განხილვაზე. კანონმდებელი, ასეთ მხარედ იმას გულისხმობს, რომელიც საერთოდ არ იყო ჩაბმული საქმეში, მაგრამ მას შეეხო გადანყვეტილება, ანუ გადანყვეტილება გამოვიდა მის წინააღმდეგ. ტერმინი „უშუალოდ ეხება“ მოცემულ ნორმაში მიუთითებს მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველზე, რომელიც ახასიათებს პროცესუალურ ტერმინს „მხარე“, რაც გულისხმობს, რომ სასამართლო გადანყვეტილება „უშუალოდ ეხება“ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის თანახმად გააჩნიათ მოთხოვნის უფლება (მოსარჩელე), ეკისრებათ პასუხისმგებლობა (მოპასუხე) ან აქვთ დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ დავის გადანყვეტის შედეგად მიღებული გადანყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მათ უფლებებსა და ინტერესებ-

ზე. შესაბამისად, სსსკ 422.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გადანყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა, მაგრამ სასამართლოს გადანყვეტილებამ მხარედ აქცია, რადგან გადანყვეტილება უშუალოდ შეეხო მის რეალურ, ფაქტობრივად არსებულ და კანონით დაცულ ინტერესს. ასეთი პირები არიან პოტენციური მოსარჩელე, მოპასუხე ან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი (შეადრ: სუსგები №ა-4173-ბ-11-2019, 4 დეკემბერი, 2019. პპ: 59-66; №ას-409-409-2018, 18 მაისი, 2018; №ას-269-269-2018, 20 მარტი, 2018; №ას-88-88-2018, 27 თებერვალი, 2018; №ას1450-1370-2017, 06 თებერვალი, 2018).

29. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელმა კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის დასაბუთებაში მიუთითა, რომ საკასაციო საჩივარზე საკასაციო პალატამ დაადგინა ხარვეზი, რომლითაც კასატორს დაავალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუესებლობის საფუძვლით. კ. კ-მა, ხარვეზის შევსების მიზნით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. მითითებული განცხადება საკასაციო პალატამ მიიჩნია ახალ, დამოუკიდებელ განცხადებად, რის გამოც, 2019 წლის 25 აპრილის განჩინებით განმცხადებელს დაავალა დაეზუსტებინა სსსკ-ის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხები. წარმოდგენილ განცხადებაში კ. კ-ი აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განჩინება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და განახლდეს საქმის წარმოება სსსკ-ის 422-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით. განმცხადებელს მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ არ იქნა დაცული კანონით დადგენილი წესები ხარვეზის შესახებ განჩინების მიღების, მისი მხარისათვის გადაცემის, რაც ცალსახად გამორიცხავს საქმეზე საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას (იხ., წინამდებარე განჩინების პპ-15-17).

30. საკასაციო პალატა განმცხადებლის ყურადღებას გაამახვილებს ამ განჩინების პპ: 7, 8-ში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 თებერვლის განჩინებით კასატორს საკასაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში 691,35 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახ-

და. განჩინებით კასატორს განემარტა, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩებოდა. საქმეში წარმოდგენილი სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტით დადასტურდა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 თებერვლის განჩინება, სსსკ-ის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა კასატორს 2019 წლის 18 თებერვალს. შესაბამისად, კასატორისათვის ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2019 წლის 19 თებერვალს და ამოიწურა 2019 წლის 25 თებერვალს.

31. წინამდებარე განჩინების პ.11-ით დადგენილია, რომ კ. კ-მა (კასატორი/განმცხადებელი), მხოლოდ მას შემდეგ წარმოადგინა ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო დოკუმენტი (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი), რაც მისი საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა და განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა.

32. საკასაციო პალატა განუმარტავს კასატორს სსსკ-ის 59-ე, 63-ე და 396.3 მუხლების პროცესუალურ შედეგს: სსსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. სსკ-ის 63-ე მუხლის დანაწესით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დაინიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. სსსკ-ის 396.3 მუხლის მიხედვით კი, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

33. რაც შეეხება თავად საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის თაობაზე ხარვეზის დადგენის მართლზომიერებას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობას უდგენს გარკვეულ შეზღუდვებს, მათ შორის, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა (სსსკ-ის 46-ე-48-ე მუხლები), აწესებს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდის ვალდებულებას (სსსკ-ის 38-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი, 39.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, 52-ე მუხლი) და გარკვეულ მოთხოვნებს

უყენებს თავად საკასაციო საჩივარს ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით, რომელთა შესრულება სავალდებულოა კასატორისათვის.

34. საკასაციო პალატა მიუთითებს ამ განჩინების პ. 11-ით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე და კასატორის ყურადღებას გაამახვილებს სსსკ-ის 396.3 მუხლზე, რომლის შინაარსის გათვალისწინებით თუ, საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეაესოს ხარვეზი. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან კ. კ-ის მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟი და არც საქმის წარმოების შესაბამის ეტაპზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების უტყუარი მტკიცებულება იყო წარმოდგენილი საკასაციო საჩივართან ერთად, კასატორს სწორად დაუდგინა ხარვეზი.

35. შესაბამისად, გასაზიარებელი არაა განმცხადებლის მითითება იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს მიერ არ იქნა დაცული კანონით დადგენილი წესები ხარვეზის შესახებ განჩინების მიღების, მისი მხარისათვის გადაცემის, რაც ცალსახად გამორიცხავდა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.

36. საკასაციო პალატა არ იზიარებს, კ. კ-ის მიერ, 2019 წლის 15 აპრილის განცხადებაში მითითებულ გარემოებას იმის შესახებ, რომ კასატორს 2019 წლის 11 აპრილს ეცნობა საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ხარვეზის დადგენის შესახებ. საკასაციო პალატა განმცხადებლის ყურადღებას გაამახვილებს ამ განჩინების პ. 11-ზე რომლითაც დადგენილია, რომ კასატორს საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ ეცნობა 2019 წლის 18 თებერვალს, მან კი, 2 თვის შემდეგ – 2019 წლის 15 აპრილს მომართა საკასაციო პალატას და ის დოკუმენტი წარმოადგენა, რომლის ხარვეზის აღმოსაფხვრელად იყო საჭირო.

37. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ სსსკ-ის 422-ე მუხლით ზუსტად განსაზღვრულ წინამძღვრებს. აღნიშნულ დათქმაში კანონმდებელი გულისხმობს, რომ საქმისწარმოების განახლება სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მორიგ ეტაპს არ წარმოადგენს, არამედ დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას.

38. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია აგრეთვე ახლად აღმოჩენილ გარემო-

ებათა გამო (სსსკ-ის 423-ე მუხლი), შესაბამისად, საკასაციო პალატა კ. კ-ის 2019 წლის 21 აგვისტოს განცხადებას შეამოწმებს სსსკ-ის 423-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძვლებთან მიმართებითაც.

39. სსსკ-ის 423-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. თ) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ - კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილი იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება.

40. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოებები იურიდიული ფაქტებია, რომლებიც არსებობდა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მომენტში და დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმის სწორად გადასაწყვეტად, მაგრამ ეს გარემოებები არ იყო ცნობილი განმცხადებლისათვის. ამ გარემოებებზე (ფაქტებზე) დამოკიდებულია მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების

ბების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. ასეთი გარემოება უნდა შეეხებოდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამთავრებულ საქმეზე განხილულ მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობას და ზეგავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს საქმეზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

41. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საკითხის გადასაწყვეტად კანონი არ მოითხოვს სასამართლოს მიერ კანონის გამოყენების სისწორის, ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების, მტკიცებულებათა შეფასების სისწორის შემოწმებას. „სასამართლოს მთავარი ამოცანაა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა სახეზე ახლად აღმოჩენილი გარემოებები მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში და დაადგინოს, მოახდინეს თუ არ მათ გავლენა გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების სისწორეზე“. (იხ. დამატებით: შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა), თბილისი, 2015 წელი, 732.).

42. მაშასადამე, ახლად აღმოჩენილი გარემოება არის იურიდიული ფაქტი, რომელიც რეალურად არსებობდა საქმის განხილვის მომენტში და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული საქმისათვის, ე.ი. იწვევს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

43. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება) შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. სსსკ-ის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

44. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიც-

ცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ამ გარემოებების და მტკიცებულებების შესახებ მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ; გ) მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. მაშასადამე, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებში იგულისხმება მხარეთა სადავო ურთიერთობისათვის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტები; გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა ამ ფაქტების გაუთვალისწინებლად; თუ ეს ფაქტები ცნობილი იქნებოდა საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, მაშინ მათი გათვალისწინებით საქმეზე გამოტანილი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

45. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 423-ე მუხლში მოცემული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების ჩამონათვალი ამომწურავია და არ შეიძლება განიერცოს. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „დაუშვებელია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ არასწორადაა გამოყენებული მატერიალური ან საპროცესო სამართლის ნორმები. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების გადასინჯვის მექანიზმი, სრულიადაც არ არის მომარჯვებული ამ ამოცანათა შესრულებაზე, ამიტომ მისმა გამოყენებამ ამ მიზნებით შესაძლოა სასამართლო წესით უფლების დაცვის გარანტიების განმტკიცება კი არ გამოიწვიოს, არამედ მათი დარღვევა. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული საფუძვლით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმა, არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლში განმტკიცებულ ადამიანის უფლებათა სასამართლო წესით დაცვის გარანტიას“ (იხ. დამატებით: შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა), თბ., 2015 წელი, 738).

46. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი განცხადება ვერ მიიჩნევა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლად, რადგან კანონმდებელი ასეთად მიიჩნევს მხარის მიერ ახალი გარემოებისა და მტკიცებულების, ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტის (ფაქტობრივი ვითარების) და ისეთი მტკიცებულების შეტყობას, რომე-

ლიც საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე არსებობდა, ობიექტურად იყო უცნობი და საშუალო წინდახედულობის ფარგლებში მათი შეტყობა მხარისათვის შეუძლებელი იქნებოდა და ეს ფაქტი (ფაქტები) ცნობილი თუ იქნებოდა სასამართლოსათვის გადაწყვეტილების გამოტანის დროს, მაშინ სასამართლო გამოიტანდა საპირისპირო გადაწყვეტილებას (მთლიანად ან ნაწილობრივ). კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით – სსსკ-ის 422-ე და 423-ე მუხლებით იმპერატიულად განსაზღვრულ შემთხვევებს, რადგან საქმის წარმოების განახლება, როგორც საპროცესო მოქმედება, არ წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მორიგ ეტაპს და ამდენად, გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების დამატებით საპროცესო მექანიზმს. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, და ისიც, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას.

47. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, იმ დაშვების შემთხვევაშიც, რომ 2019 წლის 21 აგვისტოს განცხადება წარმოადგენს სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებას, მაინც არ არსებობს განსახილველ შემთხვევაში საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობა, რადგან სსსკ-ის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ საკასაციო საჩივარზე ხარვეზის შესახებ განჩინება კასატორს კანონით დადგენილი წესით ეცნობა 2019 წლის 18 თებერვალს. ხარვეზის შეუვსებლობის გამო, საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა 2019 წლის 11 მარტის განჩინებით, ხოლო კასატორმა კი ხარვეზის საფუძვლად მითითებული გარემოების აღმოსაფხვრელად, 2019 წლის 15 აპრილს წარმოადგინა 2019 წლის 25 მარტს მომზადებული ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მას ქულა მინიჭებული ჰქონდა ჯერ კიდევ, 2017 წლის 25 თებერვალს. განმცხადებელი არ უთითებს, რატომ არ დაურთო აღნიშნული ამონაწერი საკასაციო საჩივარს ან რამ შეუშალა ხელი, ეცნობებინა ამის თაობაზე საკასაციო სასამართლოსათვის განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად,

განმცხადებლის მიერ დარღვეულია სსსკ-ის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული დანაწესიც.

48. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

49. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 04 თებერვლის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ, კასატორს ჩაბარდა 2019 წლის 18 თებერვალს, რომელსაც საკასაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არც ხარვეზი გამოუსწორებია და არც ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელება მოუთხოვია.

50. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. ის განამტკიცებს კანონის უზენაესობის პრინციპს, რომელსაც ემყარება დემოკრატიული საზოგადოება და სასამართლოების უზენაესი როლი, განახორციელონ მართლმსაჯულება. კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უფლებას – უფლებას სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე.

51. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით შექმნილი პრეცედენტული სასამართლიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: „უფლება სასამართლოზე“ არ არის აბსოლუტური უფლება, იგი შეიძლება სახელმწიფოს მიერ შეიზღუდოს. თუ საქმე არა ერთმა, არამედ ორმა ინსტანციამ არსებითად განიხილა, ხოლო საკასაციო ინსტანციის სასამართლომ იგი დასაშვებობის პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო განუხილველად დატოვა, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული „სასამართლო ხელმისაწვდომობის“ უფლების ხელყო-

ფად. საკასაციო პალატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობაზე ბაჟის სახით გონივრული შეზღუდვის დაწესება სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებაა, რა დროსაც, დაცული უნდა იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესს შორის. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარის ქონებრივი მდგომარეობა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რასაც მხარე თავად წარმოადგენს. ამდენად, მართალია, სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გარკვეული სტანდარტი, თუმცა, კანონმდებლობა შეზღუდვიდან გამონაკლისს უშვებს, ხოლო გამონაკლისით სარგებლობის უფლება მხარის განსაკუთრებული უფლებაა, რომლის გამოყენება მას მის მიერვე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეუძლია.

52. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მონესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებსა და ვადებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე დამოკიდებული ვერ იქნება.

53. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის არგუმენტები არც ცალცალკე და არც ერთობლიობაში, არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რის გამოც, განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე, 422-ე, 423-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. კ. კ-ის განცხადება კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 მარტის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge